

**შალვა აბაშიძე**

**ოქისა და უროქის გმირები  
აჭაროდან**

**ბათუმი  
2018წელი**

# შალვა აბაშიძე

## ოქისა და შრომის გვირგვინი აჭარრიდან

ბათუმი  
2018 წელი

## რედაქტორისაგან

ისტორიკოსისა და მკვლევარის – შალვა აბაშიძის მცირეფორმატიანი წიგნი „ომისა და შრომის გმირები აჭარიდან“ თავისი მრავალმხრივი დატვირთვით ფრიად მნიშვნელოვანია. დღევანდელი ჩვენი საზოგადოების წინაშე, წინა თაობის ადამიანთა წარმოჩენასთან ერთად, რომლებიც მართლაც თავდადებით, შემოქმედებითად შრომობდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ესაა იმ პერიოდის სულისკვეთების, აღმშენებლობის საზგასმაც, რომელმაც უკეთესი ცხოვრება შეუქმნა მომავალ თაობებს და შესაძლებელი გახადა დიდ სამამულო ომში გამარჯვება. მათ მაგალითზე გაიზარდნენ ახალგაზრდები, შთამომავლები ამჟამინდელი ღირსეული წინაპრებით. ესაა ჩვენი ახლო წარსულის მართლაც პერიოკული ისტორია. ამიტომაც ძალიან გამიხარდა, როცა ბატონმა შალვამ ამ წიგნის დაწერის სურვილი გამანდო და მისი რედაქტორობა მთხოვა. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი და გზადაგზა ერთად ვმუშაობდით და ვთანხმებდით კიდევ სხვადასხვა საკითხს. მან ჭეშმარიტად დიდი მუშაობა გასწია ამ კრებულით შესაქმნელად. მოიძია და შეისწავლა ათასობით გაზეთი, საბუთი, ფოტოარქივი და სხვა დოკუმენტური მასალა. ჩვეული გულმოდგინებით, აკურატულად, საქმის ცოდნით დაამუშავა ისინი და დიდი პასუხისმგებლობით მომზადებული მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას.

წყნაც შეგვხვდა – ვითომდა „იმ ავადსახსენებელი კომუნისტური პერიოდის“ მოკრიტიკენი, უარყოფენი, ფსევდოლიბერალური და ფსევდოდემოკრატიული იდეების მეხოტბე ადამიანები, სინამდვილეში კი ავანტიურისტები და ავყიები ბატონ შალვას არჩევანს უწუნებდნენ. რა დროს სოციალიზმი და საბჭოთა კავშირიაო, ანამუსებდნენ, მაგრამ წარსულის უარყოფა უდიდესი სირეგვენე და უმადურობა რომაა, ამაზე არც ფიქრობდნენ.

აი, ასეთი მაღალკვალიფიციური, სინდისიერი, თავისი ქვეყნის და ერის პატივისმცემელი ისტორიკოსისა და მკვლევარის დაწერილია ეს კრებული, რომელიც ბევრს დააინტერესებს და გულსაც გაუხარებს.

**რეზო მსხილაძე**

ISBN 978-9941-27-392-6

## ავტოხისაგან

მოსახლეობის შრომითი წარმატებები უყურადღებოდ არ რჩებოდა შრომა და მშრომელი ფასდებოდა. მთავრობა აღნიშნავდა მათ ამაგს ორდენებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებით და ასე შემდეგ. ყველაზე მოწინავე, განსაკუთრებით გამორჩეულ პიროვნებებს მთავრობა ანიჭებდა შრომის გმირის წოდებას. აჭარაში ამ კუთხით სოციალისტური შრომის გმირის წოდება დაიმსახურა 193 ადამიანმა. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა 139 მეჩაიეს, 21 მეციტრუსეს, 27 მეთამბაქოეს, 2 მევენახეს, 3 მესიმინდეს და 1 მეზღვაურს. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 154 ქართველს, და აჭარაში მცხოვრებ სხვა ეროვნების მოქალაქეებს: მათ შორის ბერძენი 23, რუსი 13, აფხაზი 2, სომეხი 1. ამ გმირების შესახებ გზადაგზა დაგროვდა მასალა, რამაც სტიმული მომცა გმირების საქმის სადიდებლად და უკედავსაყოფად გამოქვეყნა წიგნი „ომისა და შრომის გმირები აჭარიდან“. რაკი მოძიებული მასალები მცირე იყო, ამიტომ ვიმუშავე აჭარის ცენტრალურ არქივში სათანადო დოკუმენტებზე, განსაკუთრებით, ქობულეთისა და ხელვაჩაურის არქივებში, მოვიძიე 1948-1951 წლების გაზეთები („კომუნისტი“, „საბჭოთა აჭარა“, „სოფლის ცხოვრება“, აგრეთვე, რაიონული გაზეთები) ომისა და შრომითი გმირობის ცხოვრება მოღვაწეობა-საქმიანობის ამსახველი მასალები. ომის შესახებ ავტორთა მიერ შექმნილი ნაშრომების მონაცემები და საბოლოოდ დაგროვილი მასალების გაანალიზება შეჯერების საფუძველზე, მოვამზადე დასახელებული სათაურით წინამდებარე წიგნი. ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან. შესავალში განსაზღვრულია წიგნის მიზანდასახულობა, მოკლედ მიმოხილულია ომის დასაწყისი და მისი მსვლელობა გეზი აღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის როლისა და ღვაწლის წარმოჩენაზე, ომისა და შრომის ფრონტებზე. მესამე ნაწილში საუბარია სანაოსნოზე და მის ერთ გმირზე. მადლობას მოვახსენებ ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, აჭარის სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელობას და მის თანამშრომლებს მასალების მოძიე-

ბაში გაწეული დახმარებისათვის. მადლობას გამოვხატავ ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების და მათდამი რწმუნებულ დაწესებულებათა სამსახურების უფროსების და თანამშრომლების მიმართ, მასალების და ინფორმაციების მოწოდებისათვის, მადლობას მოვახსენებ ქობულეთის და ხელვაჩაურის საჯარო სკოლების დირექტორებს და ყველა იმ პიროვნებას, ვინც აქტიურად დაგვიდგა გვერდში წინამდებარე ნაშრომის მომზადების საქმეში.

წიგნის მეორე ნაწილში მოკლედაა საუბარი აჭარაში სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაზე: მეჩაიეობაზე, მეციტრუსეობაზე, მეთამბაქოეობაზე, მევენახეობაზე. რაც აჭარის მოსახლეობის და კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო.

წიგნი საცნობარო ხასიათისაა ვფიქრობთ მკითხველსა და მეცნიერთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, პირიქით, დაინტერესებულთათვის შრომის გმირების ოჯახისა და ახლო ნათესავებისათვის. წარმოდგენილი მასალები იოლად ხელმისაწვდომი იქნება, ჩემი აზრით მომავალ თაობებს წიგნი შემოუნახავს წინაპართა ღვაწლსა და ამავეს.

## შესავალი

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშების შემდეგ დაადგა რევანშისტულ გზას. „მეოცე საუკუნის 30-იანი წლები მსოფლიოს სახელმწიფოთა პოლიტიკაში დიდი ძვრების მომტანი აღმოჩნდა. გერმანიაში ნაციონალურ-სოციალისტური (ფაშისტური) პარტიის ხელისუფლებაში მოსვლამ 1933 წელს ძირეულად შეცვალა ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრება, თუმცა გერმანიაზე ადრე ფაშისტური პარტია უკვე შექმნილი იყო იტალიაში, სადაც ბენიტო მუსოლინი, მომხდარი სახელმწიფოთა გადატრიალების შემდეგ, 1926 წლიდან შეუდგა აშკარა ფაშისტური დიქტატურის დამყარებას. 1936 წელს იტალია თავს დაესხა ეთიოპიას, 1939 წელს ალბანეთს და ა.შ. 1933 წელს შეიქმნა ფაშისტური პარტია ესპანეთში სახელწოდებით „ესპანეთის ფალანგა“, რომელიც, 1934 წლიდან გაერთიანდა სხვა ფაშისტურ ორგანიზაციებთან, პარტიას სათავეში ჩაუდგა გენერალი ვ. ფრანკო. 1936-1939 წლებში „ესპანეთის ფალანგა“ აქტიურად მონაწილეობდა ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში. ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილეობდნენ მოხალისენი საბჭოთა კავშირიდან, მათ შორის, საქართველოდან, შესაძლოა, აჭარიდანაც, მაგრამ ყველა მათგანის გეარ-სახელი არ არის ცნობილი.

1936 წლის 25 ოქტომბერს გაფორმდა გერმანია-იტალიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი „დერძი ბერლინი-რომი“, რომლის შექმნამ აშკარად დაადასტურა მზადება მეორე მსოფლიო ომისათვის. იტალია-გერმანიის კავშირის „დერძის“ გაგრძელება იყო 1936 წლის 25 ნოემბერს გერმანიასა და იაპონიას შორის დადებული „ანტიკომინტერნული აქტი“, რომელსაც 1937 წლის 6 ნოემბერს შეუერთდა იტალია. 1939 წლის 23 აგვისტოს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ურთიერთთავდაუხსმელობის პაქტის გაფორმებას, ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ პირველ სექტემბერს გერმანიის თავდასხმას პოლონეთზე და მეორე მსოფლიო ომის დაწყებას წინ უსწრებდა სამხედრო კონფლიქტები შორეულ აღმოსავლეთში: იგი გააჩაღა იაპონიამ ჯერ ხანანის ტბასთან, რსფსრ პრიმორიეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 1938 წლის ივლის-აგვისტოში, ხოლო შემდეგ

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარზე, მდინარე ხალხინგოლის რაიონში 1939 წლის 11 მაისიდან.<sup>1</sup> ადოლფ ჰიტლერის და სხვა იდეოლოგების მოწოდებები დიდი გერმანიის და დიდი გერმანელი ხალხის კვლავ აღორძინების შესახებ. აგრესიის და ტერიტორიული გაფართოების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. მე-20 საუკუნის 30-იან წლებისათვის გერმანიაში უკვე საომარი ისტერია იყო გაჩაღებული. 1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, 3 სექტემბერს კი მას ომი გამოუცხადეს ინგლისმა და საფრანგეთმა, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ჩაება. ომის პირველ პერიოდში (1939 წლის 1 სექტემბერი – 1941 წლის 22 ივნისი) გერმანიამ შეძლო აღმოსავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნების დაპყრობა და საფრანგეთის ოკუპაცია. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1940 წლის 10 აპრილიდან, ომში გერმანიის მხარეზე ჩაება ფაშისტური იტალია, ომმა მოიცვა ატლანტიკის ოკეანეთი (აფრიკა). გერმანელთა ჯარებმა დაიკავეს ბალკანეთის ქვეყნები და საბჭოთა კავშირის საზღვრებს მოადგნენ.

ორმოციანი წლების დასაწყისისათვის, მეორე მსოფლიო ომში, ფაშისტური გერმანიის მხარეზე, იტალიის გარდა, ჩაებნენ რუმინეთი, უნგრეთი, ფინეთი, ესპანეთი. ომში ჩაბმული აღმოჩნდა მსოფლიოს 61 ქვეყანა, საომარი ოპერაციები ევროპის, აზიისა და აფრიკის 40 ქვეყანაში მიმდინარეობდა.

1941 წლისათვის გერმანიამ საბჭოთა კავშირის საზღვრებთან თავი მოუყარა კბილებამდე შეიარაღებულ, ომებში გამოცდილ 190 დივიზიას, აქედან 153 გერმანული იყო, დანარჩენი – გერმანიის მოკავშირეთა ჯარები.

1941 წლის 22 ივნისს დილის 4 საათზე, ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირეები ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე. ომის პირველ დღეებში საბჭოთა ჯარები ძალზე დაზარალდნენ, მტერმა გაანადგურა 1200 თვითმფრინავი, მათ-

---

1. სერგო დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წ.წ., ბათუმი, 2005 წ. გვ.43-44).

გან 300 თვითმფრინავი საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს, ხოლო 900 დაბომბვის შედეგად აეროდრომებზე განადგურდა. გერმანელ ფაშისტთა და მათი სატელიტების მიზანი იყო ელვისებურ ომში გაენადგურებინათ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, დაეყროთ მათი მოკავშირე ქვეყნები და ყველგან საოკუპაციო მმართველობა დაემყარებინათ. ისინი დაუნდობლად ხოცავდნენ ადამიანებს განურჩევლად რასისა, ეროვნებისა და სქესისა. პატარა ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ. ამიტომ ქართველმა ხალხმაც გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმა აღიქვა, როგორც საქართველოზე თავდასხმა და იგი სამაშულო ომად მიიჩნია. „ამ რწმენის ადამიანებს, – მიუთითებს პროფესორი ა. სურგულაძე, – ფრონტზეც და ზურგშიც, მშრომელებსაც ამოძრავებდათ მტერზე გამარჯვების საერთო რწმენა და მათ გაიდგეს კიდევ თავისი წვლილი. ამიტომ არა საყვედური, არამედ მოწონებით მოხსენიებისა და სათანადოდ დაფასების ღირსია ყველა, მეომარიცა და ზურგის მშრომელიც, – რომლებიც ომის წლებში მთელი ენერგიითა და შესაძლებლობებით იღვწოდნენ გამარჯვების მოსაპოვებლად.“<sup>2</sup>

საქართველოდან 700000 მოქალაქე ჩაება გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ომში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა 25000-ზე მეტი მეგრძოლი. რომელთაგან 12-ს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

„ქ. ბათუმიდან სამშობლოს დასაცავად 13560 კაცი წავიდა. ქობულეთის რაიონიდან – 6630, ხელვაჩაურიდან – 3530, ქედიდან 720, შუახევიდან – 200, ხულოდან – 610 კაცი. ფრონტზე დაიღუპა და გამარჯვებას ვერ მოესწრო – 9975 მეომარი. მათ შორის ქ. ბათუმიდან 6000, ქობულეთის რაიონიდან – 1500, ხელვაჩაურის რაიონიდან – 1700, ქედის რაიონიდან – 375, ხულოს რაიონიდან 400 მეომარი. აჭარიდან გაწვეულთაგან ბრძოლაში მონაწილეობდა 12995 მეგრძოლი – აჭარის ახალგაზრდობა, რომლებიც სწავლობდნენ ან მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ან მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, რეგისტრირების ადგილიდან იყვნენ გაწვეული დიდ სამამულო ომში, ამიტომ მათი მონაცემების დადგენა ძნელია.“

2. ა. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ.1991 წ. გვ. 207.



„საინტერესოა რ. ართმელაძის ნაშრომი, რომელშიც სამხედრო კომისარიატების საარქივო მასალების, ომის მონაწილეთა და მათ ნათესავთა მონათხრობების საფუძველზე ლაპარაკია აჭარის წარგზავნილთა ფრონტულ გზებზე. წიგნისადმი ინტერესი გაზრდილია იმით, რომ მასში მოტანილია სტატისტიკური მასალები აჭარის სამხედრო კომისარიატიდან ფრონტზე გაწვეულთა, მათგან დაღუპულთა უკან დაბრუნებულთა რაოდენობის მიხედვით. ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ დავეთანხმებით მონაცემებს ფრონტზე გაწვეულთა (23500) და საბჭოთა კავშირის გმირების შესახებ. ი. ცერცვაძის სტატისტიკური მონაცემები აჭარის წარგზავნილთა შესახებ ს. ტაბაღუამ თავის ნაშრომში, ხოლო 1975 წელს ამავე თემაზე დაცულ საკანდიდატო დისერტაციაში შეიტანა. ს. ტაბაღუას მეორე ნაშრომი მოგვითხრობს აჭარიდან წარგზავნილ 212 კაცზე. ნაშრომში შესულია ავტორის მიერ 1987-1990 წლებში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ (ქ. პოდოლსკი) და გენშტაბის (ქ. მოსკოვი) არქივებში მოძიებული მასალები. ავტორი აჭარიდან ომში მობილიზებულთა რაოდენობას „აზუსტებს“ 23115 კაცამდე”, ხოლო მათგან საბჭოთა კავშირის გმირობის კავალერი, მისი მტკიცებით, 8 კაცი გახდა.

კარგი საქმე გააკეთეს კ. ცქიტიშვილმა და ტ. ჩინჩილაკაშვილმა საქართველოდან საბჭოთა კავშირის გმირებზე სპეციალური ნაშრომის შექმნით.

სამამულო ომის პერიოდის საბჭოთა კავშირის გმირების ამა თუ იმ რესპუბლიკის თუ ქალაქისათვის კუთვნილების შესახებ ავტორების სავსებით სწორი მოსაზრებებიდან გამომდინარე, საარქივო დოკუმენტების, პრესის მასალებისა და სხვა სათანადო ცნობებით ჩვენ მიგვაჩნია რომ აჭარიდან მობილიზებულ იქნა 25000-მდე კაცი, ხოლო მათგან 12 საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. ამ მოსაზრებას დაეთანხმა აჭარის სამხედრო კომისარიატიც, რომელსაც გააკეთებული აქვს სპეციალური გამოფენა გმირების შესახებ.

კ. ცომაიაშვილმა გაიზიარა ჩვენი აზრი და შეიტანა თავის წიგნში, რომელშიც საინტერესოა დახასიათებული თორმეტივე გმირის ცხოვრება და საბრძოლო წარმატებები.”

„ომის დაწყების შემდეგ ყველაფერი მტერზე გამარჯვების სამსახურში იქნა ჩაყენებული, ნავთობის, მანქანათმშენებლობის, კვების, მსუბუქი და სხვა დარგის საწარმოები მაქსიმალურად ამარაგებდნენ ფრონტს. სულ აჭარის მრეწველობამ ომის წლებში 680 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მარტო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა და სხვა ქარხნებმა ფრონტისათვის 300 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ისინი ავტომატების, ნადმსატყორცების, ავიამობლების დეტალებს, ზარბაზნის ჭურვებსა და ხელყუმბარებს ამზადებდნენ. ნავთობგადამამუშავებელ, მანქანათმშენებელ მექანიკურ ქარხნებში, სევესტოპოლიდან ბათუმში ევაკუირებული 201-ე ქარხნის საამქროები პირდაპირ ქალაქის ზღვისპირა ქუჩაზე არემონტებდნენ ფაშისტების მიერ დაზიანებულ გემებს.<sup>3</sup>

„ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის გამაგრების აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, 1941 წლის ოქტომბრიდან შეაჩერა მოსახლეობის მობილიზაცია აჭარის საზღვრისპირა სოფლებიდან, ფრონტის საჭიროებათა უზრუნველყოფასთან ერთად, სახელმწიფო საზღვრების გამაგრება-დაცვის საქმეში ადგილზე მათი მონაწილეობისათვის. ხალხმა გაითავისა ლოზუნგი – ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“

„აჭარის სოფლის მოსახლეობამ სატანკო კოლონის „საქართველოს კოლმეურნის“ მშენებლობის ფონდში – 10 მილიონ 52 ათასი მანეთი შეიტანა. სოფლის მშრომელები დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გემებს. აგროვებდნენ და ფრონტზე გზავნიდნენ თბილ ტანსაცმელს, კვების პროდუქტებს და სხვა აუცილებელი ნივთებით სავსე ამანათებს. სულ თავდაცვის ფონდში აჭარიდან 21 მილიონ მანეთზე მეტი შევიდა. 6 მილიონ მანეთზე მეტი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, 2253 გრამი ვერცხლი და 1 კილოგრამამდე ოქრო. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქობულეთის რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც თავდაცვის ფონდში 1 მილიონი მანეთი შეიტანეს.<sup>4</sup>

„1943 წლის 21 აგვისტოს ხელისუფლებამ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება „გერმანული ოკუპაციისაგან გან-

3. სერგო ტაბალუა, რაც დავიწყებით არ იბინდება, ბათ. 1995 წ. გვ. 78.

4. (მარადიული ხსოვნის წიგნი 1995 წ. გვ.6)

თავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, ამ დადგენილებით დაისახა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ და ომით დაზარალებულ რაიონებში დანგრეული მეურნეობის რაც შეიძლება მაღე აღდგენის და მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის ამოცანები. უნდა აღდგენილიყო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები, კოლმეურნეობებისათვის უნდა დაებრუნებინათ სხვა ოლქებში ევაკუირებული პირუტყვი, ტექნიკა, მატერიალური რესურსები, უზრუნველყო კადრებით, სპეციალისტებით, უნდა მოეხდინათ ევაკუირებული მოსახლეობის რეევაკუაცია. „1943 წლის 24 აპრილს საერთო კრების დადგენილებით დანდალოს კოლმეურნეობა ყიდულობს მოზარდ პირუტყვს და გზავნის რუსეთში გერმანელების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებიდან გერმანელთა განდევნის შემდეგ აღდგენილ კოლმეურნეობებზე გადასაცემად“<sup>5</sup>

„დიდი ყურადღება ექცეოდა სამკურნალწამლო მცენარეების დამზადებას. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ფრონტისათვის სამკურნალო მცენარეთა შეგროვებაში მოსწავლე ახალგაზრდობას. ფრონტზე დაჭრილი მეომრების მკურნალობისა და გამოჯანმრთელების სამსახურში ჩადგა აჭარის კურორტები, 2 სანატორიუმი და 16 დასასვენებელი სახლი ჰოსპიტლებად გადაკეთდა, სადაც ერთდროულად მკურნალობდა და ისვენებდა 1600 მეტროლი. მათ ემსახურებოდა მაღალი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი, რაც მათი აბსოლუტური უმრავლესობის განკურნების საწინდარი იყო. მაგრამ ომი ომია და დაჭრილ მეომართა ერთი ნაწილი სამუდამოდ დარჩა ბათუმისა და ქობულეთის ძმათა სასაფლაოებზე. ისევე, როგორც აჭარიდან წასული ბევრი მეომრის ნეშტი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეულ ძმათა სასაფლაოზე განისვენებს.<sup>6</sup>

ამრიგად, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველომ, მათ შორის, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამაც დიდი როლი შეასრულა. ფრონტზე გაწვეული იყო 25000-ზე მეტი მოქალაქე. ზურგში თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელება ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი მოვალეობა იყო,

5. შ. აბაშიძე, დედოფალ-ჩემო ქედო, 2017 წ. გვ. 392.

6. მარადიული ხსოვნის წიგნი, ბათუმი, 1995 წ. გვ. 6-7.

მრეწველობა სამხედრო ტექნიკით ამარაგებდა ფრონტს, სოფლის მეურნეობა აწვდიდა მრეწველობას ნედლეულს, ხოლო ფრონტს ამარაგებდა სურსათით, თავდაცვის ფონდში შეჰქონდათ ფულადი დანაზოგები, მოსახლეობამ თავდაცვის ღონისძიებების გატარებით თავისი წვლილი შეიტანა კაცობრიობის ურჩხულის წინააღმდეგ ბრძოლასა და მასზე ძლევამოსილ გამარჯვებაში. ყველაფერი ეს ფასდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ფორმით: სამხედრო პირუბზე წოდებების მინიჭებით, ორდენებისა და მედლების გადაცემით... სარდლობის ხელმძღვანელთა მადლობებითა და ფასიანი საჩუქრებით, გმირის წოდების მინიჭებით, ანალოგიურად ფასდებოდა ზურგის მშრომელთა მუხლჩაუხრელი შრომა, ამის საუკეთესო მაგალითია ომისა და შრომის გმირები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელზეც საუბარია წინამდებარე წიგნში.

1934 წლის აპრილში ჩელუსკინელთა გადასარჩენად გაწეული სამუშაოს ჩატარებისთვის საბჭოთა მთავრობამ დააწესა „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება რომლითაც დაჯილდოებული იქნენ მფრინავები.

## ვანკარემი, უელენი

ლიაპიდევსკის, ლევანევსკის, მოლოკოვს, კამანინს,  
სლეპნევს, ვოდოპიანოვს, დრონინს

აღტაცებული ვართ თქვენ მიერ ჩატარებული გმირული მუშაობით ჩელუსკინელთა გადასარჩენად, ვამაყობთ თქვენი გამარჯვებით სტიქიის ძალებზე, გვიხარია, რომ თქვენ გაამართლეთ საუკეთესო იმედები და აღმოჩნდით ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსეული შვილები.

ვშუამდგომლობთ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე:

1. დაწესდეს წარჩინების უმაღლესი ხარისხი, დაკავშირებული გმირობის გამოჩენასთან – საბჭოთა კავშირის გმირის – სახელწოდება.

2. მიეკუთვნოს მფრინავებს: ლიაპიდევსკის, ლევანევსკის, მოლოკოვს, კამანინს, სლეპნევს, ვოდოპიანოვს და დორომინს, რომელთაც ჩელუსკინელთა გადარჩენაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს, „საბჭოთა კავშირის გმირთა“ სახელწოდება.

3. დაჯილდოებული იქნან ლენინის ორდენით დასახელებული მფრინავები და მათთვის მომსახურების გამწევი ბორტ-მექანიკოსები და მიეცეთ მათ ერთდროული ფულადი ჯილდო წლიური ჯამაგირის ორდენით.

- ი. სტალინი
- ვ. მოლოტოვი
- კ. ვოროშილოვი
- ვ. კუბიშევი
- ა. უდანოვი

**გაზეთი „კომუნისტი“ 1934 წ. 14 აპრილი,- №87**

ჩელუსკინელთა გადამრჩენ მფრინავებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მიკუთვნება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

აღნიშნავს რა მფრინავთა უმაგალითო გმირულ მუშაობას, რომლებმაც განახორციელეს ჩელუსკინელთა გადარჩენა, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება: ა.ვ. ლიაპიდევსკის ს.ა ლევანევსკის ს.ს მოლოკოვს ნ.პ. კამანინს, მ.ტ. სლეპნევს, მ.ვ. ვოლოპიანოვს, ი.ვ. დორომინს

**სსრკ ც. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე:**

**მ. კალინინი**

**სსრკ ც. აღმ. კომიტეტის მდივანი**

**ა. ენუქიძე**

მოსკოვი, კრემლი. 20 აპრილი 1934 წ.

გაზეთი კომუნისტი 1934 წლის 22 აპრილი.

„საბჭოთა კავშირის გმირი“-ს ოქროს ვარსკვლავის ესკიზი დაამზადა არქიტექტორმა მირონ ივანეს ძე მერქანოვმა 1939 წელს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება მისი დაწესების და გაცემის შესახებ.



საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი

**ბრძანებულება**  
**საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**  
**საბჭოთა კავშირის გმირისათვის წარჩინების დამატებითი**  
**ნიშნის შესახებ**

საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების შესახებ მოქმედი დებულების დამატება და განსავითარებლად, იმ მიზნით, რომ განსაკუთრებით გამოირჩნენ ის მოქალაქენი, რომელთაც საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭათ და ახალ საგმირო საქმეებს სწადიან:

1. დაწესდეს ოქროს ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმის მედალი „საბჭოთა კავშირის გმირი“ შემდეგი წარწერით „ს..კ. გმირი“.

2. საბჭოთა კავშირის გმირის მედლით დაჯილდოებული უნდა იქნან, საბჭოთა კავშირის გმირები, ამასთან, პირველი მედალი მათ ეძლევათ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭებისა და ლენინის ორდენის გადაცემასთან ერთად.

3. საბჭოთა კავშირის გმირი, რომელმაც ჩაიდინა მეორე საგმირო საქმე, არანაკლები იმისა – რისთვისაც სხვებს – მსგავსი საგმირო ჩამდენთ, საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება ენიჭება, ჯილდოვდება „საბჭოთა კავშირის გმირის“ მეორე მედლით და საგმირო საქმეების აღსანიშნავად გმირის სამშობლოში სათანადო წარწერით იდგმება კვარცხლბეკზე ბრინჯაოს ბიუსტი.

4. საბჭოთა კავშირის გმირი, რომელიც დაჯილდოებული იქნა „საბჭოთა კავშირის გმირის“ ორი მედლით და რომლის ბიუსტიც დაიდგა მის სამშობლოში, მესამე „წინათ ჩადენილის მსგავსი საგმირო საქმისათვის“ ჯილდოვდება „საბჭოთა კავშირის გმირის“ მესამე მედლით და მისი საგმირო საქმეების აღსანიშნავად მოსკოვში საბჭოების სასახლესთან კვარცხლბეკზე სვეტის სახით იდგმება მისი ბრინჯაოს ბიუსტი სათანადო წარწერით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

**მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:**

**ა. გორკინი**

**მოსკოვი, კრემლი, 1939 წ. 1 აგვისტო.**

# ნანი I საბჭოთა ჯავშინის გმიხები



## ისრაფილ ჯინჭარაძე

ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძე დაიბადა 1916 წელს, ბათუმში, ზღვისპირა კურორტ მახინჯაურში. აქვე დაამთავრა 7-წლიანი სკოლა. მისი ოცნება იყო მფრინავი გამხდარიყო, მაგრამ შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ, სწავლა ბათუმის რკინიგზის ტექნიკუმში გააგრძელა, შემდეგ, როცა ბათუმის აეროკლუბში ახალგაზრდების მიღება გამოცხადდა, ისრაფილ

ჯინჭარაძემ პირველმა დაწერა განცხადება და აეროკლუბში ჩაეწერა. კლუბს სათავეში საფრენოსნო საქმის აღიარებული ენთუზიასტი და სპეციალისტი ვეგენი ვეკუა ედგა.

აეროკლუბში მფრინავ-ინსტრუქტორად მუშაობდა ისრაფილის ბიძა ნური ფერათის ძე ჯინჭარაძე, შემდეგ დიდი სამამულო ომის მონაწილე. ისრაფილმა პირველი საფრენოსნო მომზადება ბიძასთან გაიარა. წარმატებით დაამთავრა კურსები და ოცდასამი წლის ასაკში სწავლის გასაგრძელებლად ბალაშოვის სახელობის ავიასკოლას მიაშურა, მოეწყო კიდევ და წარმატებითაც სწავლობდა. დიდი სამამულო ომი როგორც კი დაიწყო, ისრაფილმა განცხადებით მიმართა სკოლის ხელმძღვანელობას და ფრონტზე გაგზავნა ითხოვა. როგორც საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანმა, ადრე გაიარა ატესტაცია და საავიაციო ქარხანაში მიავლინეს. მაგრამ მას ფრონტზე მოქმედ არმიაში წასვლა უნდოდა, კვლავ თხოვნით მიმართა სამხედრო კომისარიატს. კომისარიატმა ის ჩრდილო დასავლეთის ფრონტზე გაგზავნა, რომელსაც გენერალი ვ.ი. კუზნეცოვი სარდლობდა. ისრაფილი მოიერიშე „ილ 2-ით“ ფრინავდა.

დადგა 1942 წლის 23 აპრილი, ღირსსახსოვარი დღე მის ცხოვრებაში. 673-ე საავიაციო – გამანადგურებელ პოლკს, რომელშიც იგი ირიცხებოდა, მიეცა დავალება – გაენადგურებინათ სმოლენსკის ჩრდილოეთით არსებული მტრის აეროდრომი. თერთმეტი მფრინავი გაფრინდა დავალების შესასრულებლად, მათ შორის იყო ისრაფილიც. ელვისებური დარტყმით მოსპვს მთელი აეროდრომი, მტრის ვერცერთმა თვითმფრინავმა ვერ მოასწრო აფრენა. ამ დავალების წარმატებით



შესრულებაში ყველაზე მეტად ისრაფილმა ისახელა თავი. ამასთან დაკავშირებით მეთაურმა კაპიტანმა კოზლოვმა აღტაცებით შესძახა – ბრავო! შევარდენო! შენ ასახელე საქართველო.

1943 წლის 6 მაისს „შევარდენთა ჯგუფმა“ ი. ჯინჭარაძის მონაწილეობით გაანადგურა მტრის 30 თვითმფრინავი. ჩაახშო 8 საცეცხლე პოზიცია, ხოლო იმავე წლის მაისის ბოლოს, ხარკოვის მიმართულებით გაჩაღებულ ბრძოლებში დიდი საბრძოლო წარმატებისათვის ისრაფილი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა. შემდეგ იყო ათობით საბრძოლო გაფრენა, ახალი სახელმწიფო ჯილდოები და ფრონტის სარდლობის მადლობები.

„ი. ჯინჭარაძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დნეპრთან საჰაერო ბრძოლებში. მან კაპიტან გასტელოს მაგალითი გაიმეორა, აი, როგორ აღწერს მის უკანასკნელ საბრძოლო გაფრენას მფრინავი რაგოჟინი: 1943 წლის 15 ოქტომბერი, პარასკევი, საბრძოლო განგაშით გაგვადვიძეს დილის 5 საათზე. ჰაერში ჩვენი ავიაგამანადგურებლები აფრინდნენ, დავიმარტოხელეთ მტრის 4 ტანკი, მე და ისრაფილი პიკირებით დავეშვიით, ისრაფილმა რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების პირდაპირი მოხვედრით მტრის ტანკი ააფეთქა, შემდეგ მტრის შავად შენიღბული საარტილერიო დივიზიონი შენიშნა და უმაღლესი გააქანა თავისი თვითმფრინავი, პირდაპირი მოხვედრით მტრის საცეცხლე პოზიცია გაანადგურა და კვლავ ცაში აიჭრა. მიზანში მეორე მსხვერპლი ამოიღო,... იმ დღეს მეორედ აფფრინდით. კვლავ გააფთრებული იერიში მტრის ტანკზე და გამაყრუებელი აფეთქება. ის იყო, პიკირებიდან გამოდიოდა, რომ ისრაფილის თვითმფრინავს პირდაპირი მოხვედრით ცეცხლი მოედო. ჩვენ კარგად გავიგონეთ მისი მშვიდი ხმა: „იცოცხლეთ ჩემს მაგივრადაც, სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ ისრაფილმა აღმოდებული თვითმფრინავი მტრის საცეცხლე პოზიციებისაკენ გააქანა, რომელსაც ჯერ კიდევ შენიღბვა ფარავდა. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. მტრის საცეცხლე პოზიციაზე დიდმა შავმა ორმომ დააღო ხახა. ასე გმირულად დაიღუპა ჩვენი საყვარელი მეგობარი, ჩვენი პოლკის შესანიშნავი შევარდენი ისრაფილ ჯინჭარაძე.“

ისრაფილ ჯინჭარაძემ ომის დროს 92 საბრძოლო გაფრენა მოახდინა, რის შედეგად გაანადგურა მტრის 82 ავტომანქანა, 27 ტანკი, 6 თვითმფრინავი აეროდრომზე, ერთი თვითმფრინავი საჰაერო ბრძოლაში, ჩაახშო საზენიტო არტილერიის 10 წერტილი, სავსე არტილერიის 5 ბატარეა, 3 ნაღმმტყორცნთა წერტილი. მოკლა, დაჭრა და გაფანტა



მოწინააღმდეგის 880-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ააფეთქა საბრძოლო მასალის 6 საწყობი. სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოვდა „წითელი ვარსკვლავის“ და „სამამულო ომის პირველი ხარისხის“ ორდენებით, მიღებული ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლის 4 მადლობა, ფრონტის სარდლობის 2, არმიის სარდლობის 5 და კორპუსისა და დივიზიის მეთაურების 7 მადლობა.

ომის პერიოდში 92 საბრძოლო გაფრენისათვის წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლის ველზე გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისა და მამაცობისათვის ისრაფილ ჯინჭარაძეს 1944 წლის 4 თებერვალს (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა მთავრობის უმაღლესი ჯილდო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.<sup>7</sup>

უკრაინის რესპუბლიკის ვერხნენდუპროვსკის სოფ. პრავობერეჟნიას სკოლის ეზოში დადგმულია ბიუსტი. იქ, სადაც ი. ჯინჭარაძე დაიღუპა.

ისრაფილ ჯინჭარაძის სახელს ატარებს მახინჯაურის საშუალო სკოლა, სადაც ასევე დადგმულია მისი ბიუსტი. ბათუმში ერთ-ერთი ქუჩა ი. ჯინჭარაძის სახელობისაა.

ისრაფილ ჯინჭარაძის გმირობას ლექსები მიუძღვნეს ცნობილმა პოეტებმა გ. ტაბიძემ და ფ. ხალვაშმა.

## აჭარელი მფრინავი

ვინ იყო, რომ ოცდაათი  
საოცარი გაფრენით  
ყოველი დღე და საათი  
აანთო აღმაფრენით?

საზენიტო ცეცხლის აღში  
მტრის ტყვიის დამცინავი,  
უფურება სიკვდილს თვალში  
გამბედავი მფრინავი?

ვინ იყო, რომ შეაერთა  
ძალა შურისმგებლების,  
თუმც გარს ერტყა ურდო მტერთა  
გამანადგურებლების?

7. სერგო დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1939-1945 წ. ბათ. 2005 წ. გვ. 217-220.

ვინ იყო, რომ აღმაგზნები,  
მიუდგომი შიშისთვის,  
ბელგოროდის გახსნა გზები  
ჩვენი იერიშისთვის?

– შეილი ქართლის და აჭარის,  
სავესე გულის სიალით –  
– ჯინძარაძე! – გახდა ჯარის  
საპასუხო გრიალი...

გალაკტიონ ტაბიძე  
1944 წ.

## ისრაფილ ჯინჭარაძეს

რა გრიგალები გააპე,  
რა ბრძოლები გაქვს ნახული,  
ქარის გრიალში გესმოდა  
მშობელი დედის ძახილი.

გზრდიდა ზურმუხტი მთა-ველი  
და შავი ზღვის ნიავი,  
სწავლას ფიქრობდი ყოველთვის,  
სწავლას ფიქრობდი მძინარიც,

ბოლოს ასრულდა ოცნება –  
გახდი საბჭოთა მფრინავი.  
გიგონებს მახინჯაური –  
შენი გამზრდელი მთა-ბარი.

დედა, ნატრული ცრემლებით  
შენს ნაწერ ბარათს დაჰხარის,  
მეც მიხარია – შენა ხარ  
პირველი გმირი აჭარის.

ფრიდონ ხალვაში  
1944 წ.



საბჭოთა კავშირის გმირების ფეოდორ სიდეროვის ძე საბენნიკოვის და ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძის ძმათა სასაფლაო უკრაინაში. დნეპროპეტროვსკის ოლქი, ვერხნოდნეპროვსკის რაიონი, სოფ. პრავობერეუნია.

## აღექსანდრე სულაბერიძე



აღექსანდრე სერგოს ძე სულაბერიძე დაიბადა 1916 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ დესაჭინაბაში. სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1931 წლიდან მუშაობდა ბათუმის რკინიგზის ქსელში. იყო მატარებლის მემანქანის თანაშემწე. 1937 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, მსახურობდა ჯავშანსატანკო ნაწილში. თეთრფინელებთან ბრძოლებში გულადობითა და ვაჟკაცობით გამოიჩინა თავი. ყველა მებრძოლისთვის სამაგალითო იყო, მე-7 მსროლელთა დივიზიის 27-ე მსროლელი პოლკის ტანკისტ-მექანიკოსი, უმცროსი მეტაური აღექსანდრე სერგის ძე სულაბერიძე.

1940 წლის 13 თებერვალს ხატონენის რაიონში თავის ტანკით ზედ მიადგა მოწინააღმდეგის რკინა-ბეტონში ჩამჯდარ ამბრაზურას და ტანკის ქვემეხის პირდაპირი დამიზნებით ააფეთქა. ამ ბრძოლაში აღექსანდრე სულაბერიძე დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ თავის ნაწილს დაუბრუნდა და მტერთან ბრძოლაში კვლავ არაერთხელ ისახელა თავი.

ქ. ვიბორგის მისადგომებთან ბრძოლებში აღექსანდრე სულაბერიძე უვარგისი გზების და მოწინააღმდეგის გრიგალისებრი ცეცხლის მიუხედავად, თავის ტანკით მტრის წინააღმდეგ გაეშურა. სულ რაღაც ასიოდე მეტრი რჩებოდა ქ. ვიბორგის კარიბჭემდე, როცა მტრის ქვემეხიდან გამოსროლილმა ჭურვმა სულაბერიძის ტანკი დააზიანა. ტანკისტი არ შეუშინდა ამას, მიმართულება არ შეუცვლია. მოულოდნელად საბრძოლო მანქანამ მტრის ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს გადაუარა, ნაღმი აფეთქდა ტანკს ცეცხლი მოედო. მამაცი ტანკისტი კი მიძიმედ დაიჭრა, მაგრამ გადარჩა. იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1940 წლის 21 მარტს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ომის შემდეგ ცხოვრობდა ქ. ბათუმში. გარდაიცვალა 1958 წელს. დასაფლავებულია ქ. ბათუმში, ფერიის სასაფლაოზე.<sup>8</sup>

8. კარლო ცქიტიშვილი, ტრისტან ჩინჩიკაშვილი, საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან გვ. 329.

## ვალენტინ შაპიხო

ვალენტინ ეფიმის ძე შაპირო დაიბადა 1922 წელს ქ. ბათუმში. ეროვნებით რუსი. სწავლობდა ქ. თბილისის 56-ე საშუალო სკოლაში, რომელიც 1940 წელს დაამთავრა. თბილისის აეროკლუბის დამთავრების შემდეგ, სწავლა სამხედრო საავიაციო სასწავლებელში გააგრძელა.



ვ. შაპირომ დიდი სამამულო ომის ფრონტზე პირველი საბრძოლო ნათლობა სტალინგრადისათვის ბრძოლებში მიიღო, როგორც მამაცმა უმცროსმა მეთაურმა. 1942 წლის სექტემბერში ჯერ კიდევ ახალგაზრდა მფრინავი იფარავდა სახმელეთო ჯარებს პოზიციებზე. მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ჩამოაგდო მტრის 100 თვითმფრინავი.

შაპირო მონაწილეობდა ბრძოლებში ბატაისკთან, როსტოვთან, ტაგანროგთან, სახელი გაითქვა, როგორც მამაცმა მეომარმა.

1943 წლის 7 თებერვალს დაზვერვითი დავალების წარმატებით შესრულებისას როსტოვ-ბატაისკის მიმართულებით შეხვდა მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებელ თვითმფრინავს და უთანასწორო ბრძოლაში ჩამოაგდო იგი.

შაპირომ უკრაინის მეორე ფრონტზე თავი გამოიჩინა არა მხოლოდ როგორც გამოცდილმა მზვერავმა მფრინავმა, არამედ, როგორც მამაცმა საჰაერო მეზღოვებმა, მან 113 საბრძოლო გაფრენა შეასრულა და საჰაერო ბრძოლებში მტრის 7 თვითმფრინავი ჩამოაგდო. სულ ომის განმავლობაში 590 საბრძოლო გაფრენა შეასრულა, მათ შორის, დაზვერვითი იყო 455-ჯერ, ჯგუფური ფრენა 61-ჯერ, სახმელეთო ჯარებისა და ობიექტების დაბომბვაში 72-ჯერ მიიღო მონაწილეობა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავებზე 4-ჯერ მიიტანა იერიში. გადაიტანა 48 საავიაციო ბრძოლა, რომლის დროსაც პირადად ჩამოაგდო მტრის 12 თვითმფრინავი.

ომის წლებში სარდლობის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა „წითელი

დროშის” ორი, „სამამულო ომის პირველი ხარისხის” და „წითელი ვარსკვლავის” ორდენებით. 1946 წლის 15 მაისს ვალენტინ შაპიროს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.<sup>9</sup>

1963 წლამდე ვ. შაპირო პილოტი იყო ზებგერითი თვითმფრინავების – 1953 წელს ის ავტოავარიაში მოხვდა, მფრინაობას თავი დაანება და 1979 წლამდე სხვადასხვა თანამდებობაზე მსახურობდა.

## გაჩი მეჩვიცაძე

გარი ალექსანდრეს ძე მერკვილაძე დაიბადა 1923 წელს ქალაქ ბათუმში, სწავლობდა რკინიგზის სკოლაში. 1940 წელს თბილისის საავიაციო სასწავლებლის კურსანტი გახდა. ომის დაწყების შემდეგ იგი სერჟანტის წოდებით მოქმედ არმიაში გაიწვიეს. მტერთან გმირული ბრძოლისათვის მალე უმცროსი ოფიცრის წოდება მიენიჭა.



1943 წლის აგვისტოს ბოლოს მას უკვე 50 საბრძოლო გაფრენა ჰქონდა განხორციელებული. საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო მტრის თვითმფრინავი, რისთვისაც სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. საჰაერო ბრძოლებში არაერთი საბჭოთა თვითმფრინავი გადაარჩინა, რისთვისაც წითელი დროშის ორდენით გადასცეს. ამასთან, როგორც თვითმფრინავიდან საავიაციო ესკადრელის მეთაურის მოადგილედ დააწინაურეს.

დიდი სამამულო ომის განმავლობაში გარი მერკვილაძემ 386 საბრძოლო გაფრენა შეასრულა. მონაწილეობა მიიღო 87 საჰაერო ბრძოლაში და პირადად მტრის 13 თვითმფრინავი ჩამოაგდო, ჯგუფურ ბრძოლაში კი 2 თვითმფრინავი. მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკაზე 97-ჯერ მიიტანა იერიში. ომის წლებში ჰაერში 587 საათი დაჰყო. ომის პერიოდში სამჯერ დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი ხარისხის, წითელი

9. სერგო დუმბაძე, იქვე, გვ. 230,231.

ვარსკვლავის ორდენებით. 1945 წლის წლის 27 ივნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ავიაციის გენერალ-მაიორი გარი მერკვილაძე გარდაიცვალა 1971 წელს. დაკრძალულია ქ. თბილისში.

## გიორგი ინასარიძე

გიორგი მოსეს ძე ინასარიძე დაიბადა 1920 წელს, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ მარისში. სწავლობდა ბათუმის საავიაციო კლუბში. 1941 წელს მფრინავი მოიერიშის სპეციალობით დაამთავრა ოდესის სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი. ომის დაწყების პირველი დღიდან გიორგი ინასარიძე მე-6 გვარდიული მოიერიშე საავიაციო პოლკის შემადგენლობაშია და მოსკოვში, კალინინისა და ბალტიისპირეთის ფრონტზე იბრძვის. მან 193 საბრძოლო გაფრენა შეასრულა და მტრის 108 სამხედრო ტვირთით დატვირთული ავტომანქანა, 10 ჯავშანსატრანსპორტო, 34 საარტილერიო ბატარეა



მოსპო, გაანადგურა და დააზიანა 15 ორთქლმავალი, 105 რკინიგზის ვაგონი. ის მონაწილეობდა რუევის, ნეველის, ვიტებსკის, ველიკიულუკის, სმოლენსკის, პოლონეთისათვის ბრძოლებში. დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი დროშის სამი, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენითა და მედლებით.

გიორგი ინასარიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება საპაერო ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებისათვის 1945 წლის 18 აგვისტოს მიენიჭა. 1946 წლიდან ინასარიძე მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. 1951 წლიდან 1963 წლამდე იყო თიანეთის, ბორჯომ-რუსთავის სამხედრო კომისარი.

გ. ინასარიძე გარდაიცვალა 1984 წელს. დაკრძალულია თბილისში.

## დავით თავაძე



დავით ელიზბარის ძე თავაძე დაიბადა 1916 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში. 1936 წელს დაამთავრა ბათუმის საჰაერო კლუბის სკოლა, შემდეგ ხერსონის საავიაციო სასწავლებელში ჩაირიცხა, რომელიც მფრინავ-ინსტრუქტორის სპეციალობით 1938 წელს დაამთავრა და უმცროსი ლეიტენანტი წოდებით მუშაობა დაიწყო როსტოვის აეროდრომზე ესკადრილის მეთაურად. პირველი საბრძოლო ნათლობა დავით თავაძემ სტალინგრადისათვის ბრძოლებში მიიღო, მან დიდი ზიანი მიაყენა მტერს, გაბედული ავიაიერიშების წარმატებით ჩატარებისათვის წითელი დროშის ორდენით და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“ დააჯილდოეს. ის საავიაციო ესკადრილიას მეთაურობდა ნოვოჩერკასკისა და როსტოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 42 წარმატებული საბრძოლო გაფრენისათვის იგი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. კაპიტანმა დავით თავაძემ ესკადრილიამ 500 საბრძოლო გაფრენა განახორციელა ისე, რომ მის ესკადრილიას არცერთი თვითმფრინავი არ დაუკარგავს. ტამანის ნახევარკუნძულისათვის გმართულ ბრძოლებში წარმატებული იერიშებისათვის, მე-18 სადესანტო არმიის სარდალის გენერალ პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის წარდგინებით, ესკადრილის მეთაური დავით თავაძე წითელი დროშის მეორე ორდენით დააჯილდოვდა.

დავით თავაძემ 18 თვეში 109 საბრძოლო გაფრენა განახორციელა და პირადად 29 ტანკი, 150 ავტომანქანა, 23 სახენიტო და 28 საველე ქვემეხი გაანადგურა. დაბომბა 19 ცეცხლმიწერი, 17 სანგარი, მტრის აეროდრომზე ცეცხლი გაუჩინა 9 თვითმფრინავს, საჰაერო ორთაბრძოლაში ჩამოაგდო 7 თვითმფრინავი, დაფანტა და ნაწილობრივ მოსპო მტრის 2000 ჯარისკაცი და ოფიცერი. მისი ხელმძღვანელობით ესკადრილიამ სულ 1227 საბრძოლო წარმატებული გაფრენა განახორციელა.

დავით თავაძე დაჯილდოებული იყო სამი წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორ-



დენებითა და მედლებით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 19 აგვისტოს ბრძანებულებით დავით თავაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. ბოლო წლებში იგი სოსუმში ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

დავით თავაძე გარდაიცვალა 1979 წელს. დაკრძალულია სოსუმში.

## აღექსანდრე ბუგაევი



აღექსანდრე ლავრენტის ძე ბუგაევი დაიბადა ქ. ბათუმში 1909 წელს. მამამისი სრულიად ახალგაზრდა ჩამოსულა ბათუმში. მუშაობდა ბათუმის რკინიგზის სავაგონო დეპოში, აქვე ცოლად შეირთო ქართველი ქალიშვილი მარიამ დავითის ასული ტაბიძე. გაუჩნდათ სამი შვილი, მათ შორის უმცროსი აღექსანდრე იყო. მას დედა ადრე გარდაეცვალა. ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ. აღექსანდრე სწავლობდა ბათუმის ქართულ საშუალო სკოლაში.

1928 წელს აღექსანდრე ბუგაევი საცხოვრებლად ნოვოსიბირსკის ოლქში გადავიდა. აქ იგი ჯერ მოანგარიშედ მუშაობდა, შემდეგ 7-წლიანი სკოლის მასწავლებლად. დაამთავრა ორწლიანი საინჟინრო სასწავლებელი.

1941 წლის ივნისში წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. 1943 წელს ბელორუსიის ფრონტზე 345-ე მენაღმეთა ბატალიონის ცალკე ასეულის მეთაურად დანიშნეს. ა. ბუგაევის ასეულის მიერ გაწეული მამაცური ბრძოლებით დივიზიას ხელი შეეწყო წარმატებით გადაელახა მდინარე ნარვა და ხელთ ეგდო პლაცდარმი დასავლეთ ნაპირზე. ა. ბუგაევის ასეულმა სწრაფად გადაიყვანა მდინარის მეორე მხარეს მსროლელი პოლკის მთელი შემადგენლობა თავისი ტექნიკით. 10 დატვირთული ავტომანქანა, 40 საზიდი, ამ ოპერაციის შემდეგ დიდი გამარჯვება მოიპოვეს მტერზე. ამ წარმატებული საბრძოლო ოპერაციისათვის უფროს ლეიტენანტს აღ. ბუგაევს სსრ

კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 24 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

აღ. ბუგაევი 1946 წელს დემობილიზებული იქნა სამხედრო სამსახურიდან, მუშაობდა პედაგოგად, იყო სკოლის დირექტორი. ომის შემდეგ, ჯანმრთელობაშერყეული, 1950 წელს, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა. განისვენებს ნოვოსიბირსკის ოლქის სოფელ ბიაზინსკში.

## ბოჩის ლიტვინჩუკი



ბორის მიხეილის ძე ლიტვინჩუკი დაიბადა 1917 წელს აზერბაიჯანში, რკინიგზელის ოჯახში. დედა ქართველი პყავდა. ბორისი ერთი წლის იყო, როცა ოჯახი მამის სამსახურთან დაკავშირებით საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. ბორისმა საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა, შემდეგ ტექნიკური სასწავლებელი და მუშაობდა ერთ-ერთ ავტოქარხანაში ხარატად. კარგი მუშაობისათვის დაუსწრებლად სასწავლებლად გაგზავნეს თბილისის აეროკლუბში. აქაც წარმატებით სწავლობდა და დატოვეს კიდევ მფრინავ ინსტრუქტორად მოსამზადებლად. მასთან ერთად აქ მუშაობდნენ ბათუმელი ფადიკო გოგიტიძე და შოთა გოგმაჩაძე, ბათუმის აეროკლუბის მომავალი ინსტრუქტორები. 1937 წლიდან ბორისი ბათუმის აეროკლუბის ინსტრუქტორია, მალე ქალაქ ეისკის სამხედრო საავიაციო სასწავლებელში გაგზავნეს სასწავლებლად რომელიც წარმატებით დაამთავრა და შავი ზღვის ფლოტში, 32-ე გამანადგურებელ საავიაციო პოლკში ჩაირიცხა. იგი მფრინავ-გამანადგურებელი გახდა, მალე ოცეულის მეთაურად დააწინაურეს.

ბორის ლიტვინჩუკმა სამამულო ომის ფრონტებზე სახელი გაითქვა როგორც უშიშარმა მფრინავმა. მტერთან შეტაკებისას საჰაერო ორთაბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

იგი კაპიტან სებიკოვის ესკადრელიის შემადგენლობაში მონაწილეობდა რუმინეთის ცნობილი ჩენოვოდის სოდისა და ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნის დაბომბვაში.

ბ. ლიტვინჩუკმა ომის პერიოდში 450 საბრძოლო გაფრენა შეასრულა. გამართა 44 საჰაერო ბრძოლა, 11-ჯერ მონაწილეობდა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტების დაბომბვაში, 29-ჯერ დაღალაშქრა მტრის ქვეითი მაწილები, 20-ჯერ იყო საჰაერო დაზვერვაში.

ბორისმა თავი გამოიჩინა ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებშიც. ის ზოგჯერ დღეში 4 საჰაერო გაფრენას ახორციელებდა. ორი დღის განმავლობაში მისმა ავიაციასკადრელიამ 65 საჰაერო გაფრენა და 6 საჰაერო ბრძოლა განახორციელა. პერეკოპის ბრძოლებში გამოჩენილი საბრძოლა მამაცობისათვის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა ერმანენკომ ბორის ლიტვინჩუკი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარადგინა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 16 მაისის ბრძანებულებით ბორის ლიტვინჩუკოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. 1961 წლამდე პოლკოვნიკი ლიტვინჩუკო მსახურობდა სამხედრო საჰაერო ძალებში, შემდეგ მსახურობდა ქალაქ კალუგაში ტურბინების ქარხნის დირექტორის მოადგილედ.

ომის შემდეგ ბორის ლიტვინჩუკი ქ. კალუგაში ცხოვრობდა.

## ისაი კაზინეცი



ისაი პავლეს ძე კაზინეცი დაიბადა 1910 წელს ქალაქ გენინესკოში, ეროვნებით ებრაელია. მამა რკინიგზის მუშა იყო. 1919 წელს იგი თეთრგვარდიელებმა, პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელობისათვის სიკვდილით დასაჯეს. 1922 წელს ისაკ კაზინეცის დედა სუთ შვილთან ერთად ბათუმში გადმოვიდა საცხოვრებლად. სკოლის დამთავრების შემდეგ ისაი კაზინეცმა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ბაზაში დამხმარე მუშად დაიწყო მუშაობა. შემდეგ მემანქანის თანაშემწე იყო, ბოლოს კი მემანქანე. 1933 წელს ისაი კაზინეცი სარატოვის ნავთობის ტექნიკუმში ჩაირიცხა, სწავ-

ლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სორმოვოში, დაუსწრებლად დაამთავრა კიევის ნავთობის ინსტიტუტი, მუშაობდა ბელორუსიაში ნავთობგასაღების ბაზის მთავარ ინჟინრად. ომის დაწყების შემდეგ იასეი კაზინეცი პარტიზანულ მოძრაობაში ჩაება, ოკუპირებულ მინსკში, 1941 წლის ბოლოს მოქმედებდა საქალაქო პარტიული ცენტრი, 5 იატაკქვეშა რაიკომითა და პარტიული ორგანიზაციებით, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ს. ზაიაცი და ისაი კაზინეცი. ისაი კაზინეცი შემდეგ სათავეში ედგა მინსკის საოლქო პარტიულ ორგანიზაციას. ისინი სპობდნენ გერმანიის სამხედრო ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. „ისაი კაზინცის შესაპყრობად ფაშისტებმა დიდი ჯილდო დააწესეს, 1942 წლის მარტში ისაი კაზინეცი მტერმა მართლაც ხელთ იგდო, ეს მოხდა იატაკქვეშელთა შორის მტრის მზვერავის შეღწევის შედეგად. ხელჩართულ ბრძოლაში ისაიმ სამი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს, ბოლოს შეიპყრეს. ის არაადამიანურ ტანჯვა-წამებას ვაჟკაცურად იტანდა. მიუხედავად ასეთი ჯალათური მოქმედებისა, ბელორუსიის მიწაზე არ ცხრებოდა, კიდევ უფრო ძლიერდებოდა პარტიზანული ბრძოლები. ხალხის გასატეხად ფაშისტებმა მინსკის ცენტრალურ მოედანზე 1942 წლის 9 მაისს ბევრი პარტიზანი ჩამოახრჩვეს, მათ შორის, ისაი კაზინეციც. იგი 31 წლის იყო, სამი წლის შემდეგ მინსკი საბჭოთა ჯარებმა გაანთავისუფლეს.”

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სიკვდილის შემდეგ, 1965 წლის 8 მაისს, ისაი კაზინეცს სსრ კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. მინსკის ერთ-ერთი საშუალო სკოლა მის სახელს ატარებს, ქ. ბათუმშიც ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ჰქვია.<sup>10</sup>

## მიხეილ გოხბაჩევი

მიხეილ ნიკიფორეს ძე გორბაჩევი დაიბადა 1917 წელს ქ. თბილისში. სწავლობდა ბათუმის აეროკლუბში და პირველად მაშინ გაფრინდა. 1938 წელს წითელ არმიაში გაიწვიეს. დაამთავრა სამხედრო საავიაციო სასწავლებელი. ომის დაწყების შემდეგ ლენინგრადის დაცვაში მონაწილეობდა, მთავრობის პირველი ჯილდო – წითელი

10. (ს. დუმბაძე იქვე 232-233).



ვარსკვლავის ორდენი სწორედ ლენინგრადის დაცვისას მიიღო. გამოცდილი მფრინავი შორსმოქმედ ავიაციაში გადაიყვანეს. ამ შენაერთის თვითმფრინავები ბომბავდნენ ბერლინს, კენიგსბერგს და მტრის შორეულ ქალაქებს. შორსმოქმედი ავიაცია მონაწილეობდა მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევაში ბრიანსკის, ვორონეჟის, სტალინგრადის, ცენტრალურ და სხვა ფრონტზე. თავდაცვის გარღვევის შემდეგ კი შორსმოქმედი ავიაციის მფრინავები ბომბავდნენ მტრის კომუნიკაციებს ღრმა ზურგში, ფანტავდნენ ფრონტისაკენ მიმავალ რეზერვებს, ანადგურებდნენ მტრის ტექნიკას, აფეთქებდნენ რკინიგზის კვანძებს, ხიდებს, ტყვია – წამლის საწყობებს. მალე მ. გორბაჩევი გამანადგურებელი ესკადრილიის მეთაურად დაინიშნა. ის ზოგჯერ დღეში 4-5 საბრძოლო გაფრენას ახდენდა და საბრძოლო დავალებებს წარმატებით ასრულებდა.

1944 წლის 2 აპრილს მიხეილ გორბაჩევის დედამ ბათუმში წერილი მიიღო. მასში ეწერა: „ძვირფასო ნადეჟდა ნიკოლოზის ასულ! გულითადად გილოცავთ თქვენი შვილის მიხეილ ნიკოფორეს ძისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას. ჩვენი საბრძოლო გვარდიული ნაწილის კოლექტივის შემადგენლობაში თქვენი შვილი მრავალი წელია იბრძვის. იგი უშიშარ მებრძოლად ითვლება. არაერთხელ ჩავარდნილა მძიმე მდგომარეობაში, როცა აუცილებელიც იყო სიცოცხლის განწირვაც კი, მაგრამ მუდამ გამოსავალს პოულობდა და ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, თქვენი შვილის ანგარიშზე უკვე 250-ზე მეტი სახელოვანი გამარჯვებაა“. წერილს ნაწილის უფროსი აწერდა ხელს.

1944 წლის 13 მარტს შორსმოქმედი ავიაციის გვარდიის უფროს ლეიტენანტს მიხეილ ნიკოფორეს ძე გორბაჩევის საბჭოთა კავსირის გმირის წოდება მიენიჭა.

მიხეილ გორბაჩევი გარდაიცვალა 1955 წელს დაკრძალულია ქ. უდანოვში.

## აღექსანდრე გორბაჩევსკი



აღექსანდრე ივანეს ძე გორბაჩევსკი დაიბადა 1918 წელს. ეროვნებით რუსი. იზრდებოდა ქ. ბათუმში. 1938 წელს ბათუმის სამხედრო კომისარიატმა აღექსანდრე გორბაჩევსკი სამხედრო-საჰაერო ძალების სასწავლებელში გააგზავნა. პირველი გაფრენა ბათუმში მოახდინა. ომის დასაწყისში ის უკვე გვარდიის კაპიტანი იყო. სარდლობის ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „დიდი სამამულო ომის წლებში აღექსანდრე გორბაჩევსკიმ 386 საბრძოლო გაფრენა მოახდინა, მათ შორის: საჰაერო თავდაცვის პუნქტების დასაფარავად – 65, მტრის ქვეითი ჯარისა და კომუნიკაციებზე საიერიშოდ – 87, მოიერიშეთა თანმხლებად – 56, მოწინააღმდეგის ჯარების დასაზვერავად – 25, მტრის ბომბდამშენების წინააღმდეგ – 27.

ომის დაწყებიდან 1943 წლის 13 თებერვლამდე 87 საჰაერო ბრძოლა გამართა, მოწინააღმდეგის 23 თვითმფრინავი ჩამოაგდო. მათ შორის პირადად 16. 1943 წლის 17 ივნისს ფაშისტა 17 ავიაგამანადგურებელის თავდასხმას იგერიებდა. გორბაჩევსკი თავისი თვითმფრინავით მტრის 8 თვითმფრინავს ებრძოდა, ორი ჩამოაგდო, თვითონაც ჩამოაგდეს. აღმოდებული თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოსტომა მოახერხა, თუმცა მძიმედ დაჭრილი იყო. 1943 წლის ზაფხულში თვენახევარში მისმა ესკადრილიამ მტრის 8 თვითმფრინავი ჩამოაგდო, თავად კი მხოლოდ სამი დაკარგა.

1944 წლის 4 თებერვალს გვარდიის კაპიტანს აღექსანდრე ივანეს ძე გორბაჩევსკის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. 1944 წლის 13 აგვისტოს აღექსანდრე გორბაჩევსკი მოკლევადიანი შვებულების დროს ბათუმში ნათესავებთან ჩამოვიდა, მას გულთბილი შეხვედრა მოუწყო გაზეთმა „ბათუმსკი რაბოჩი“-მ.

ომის შემდეგ პოდპოლკოვნიკმა აღექსანდრე გორბაჩევსკიმ სამხედრო საჰაერო ძალების აკადემია დაამთავრა და მოსკოვში ცხოვრობდა.

## კონსტანტინე ოლშანსკი



კონსტანტინე თევდორეს ძე ოლშანსკი დაიბადა 1918 წელს. დედა მალე გარდაეცვალა, იზრდებოდა ბავშვთა სახლში, პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ორთქმავლის მემანქანის თანაშემწედ ქ. კურსკში. ცოლად შეირთო ეკატერინე პოპოვა, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. შემდეგ კონსტანტინე ოლშანსკიმ დაამთავრა ფლოტის ელექტრომექანიკური სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

„სკოლის პირადი შემადგენლობისაგან, სადაც უმცროსი ლეიტენანტი ოლშანსკი სასწავლო ასეულს ხელმძღვანელობდა, ჩამოყალიბდა საზღვაო მოტომსროლელთა ორი ბატალიონი. ოლშანსკი ბატალიონის შტაბში გადაიყვანეს, მაგრამ ის დაუინებით ითხოვდა მოწინავე ხაზზე გაშვებას.

1942 წლის ნოემბერში მთავარასარდლობის ბრძანებით, საბრძოლო ხომალდები და საწარმოები ზურგში კავკასიაში, ზღვის სანაპიროზე გადაიყვანეს. სკოლასთან ერთად კონსტანტინე მათ გაჰყვა. ასე რომ, სკოლის მთელი შემადგენლობა საქართველოში ჩამოვიდა. ფრონტი სკოლისგან ითხოვდა ელექტრო და დიზელის ძრავების სპეციალისტების მომზადებას. ოჯახმა შეიღობა მშობლებთან გაგზავნა კურსკში, ხოლო მეუღლე ეკატერინე, მეუღლესთან ჩამოვიდა და დაიწყო მუშაობა. აქ მიიღო ლეიტენანტის წოდება. ის ხშირად ჩამოდიოდა ქ. ბათუმში მითითებების მისაღებად.

სარდლობამ დააკმაყოფილა ოლშანსკის არაერთგზის თხოვნა და იგი ფრონტის წინა ხაზზე გაუშვეს. ჩაირიცხა ახლადფორმირებულ 384-ე ცალკე საზღვაო მოტომსროლელთა ბატალიონში, შავი ზღვის ფლოტის აზოვის სამხედრო ფლოტში. ეს ბატალიონი ქ. ფოთში ჩამოყალიბდა. მალე ის მსროლელ მეთაურთა ასეულის მეთაურად დაინიშნა. მიეცა პირველი საომარი დავალება, – დესანტი გადაესხა მტრის ზურგში, ტაგანროგის ნავსადგურში და მტრისთვის საზღვაო გზები გადაეჭრა. ოპერაცია, რომლის გეგმის შემუშავება და

განხორციელება ოლშანსკის დაევალა, წარმატებით დამთავრდა. ბატალიონის პირად შემადგენლობას მადლობა გამოეცხადა, ხოლო დესანტის შტაბის უფროსი კონსტანტინე ოლშანსკი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა. 1943 წლის სექტემბერში მარიოპოლის განთავისუფლებაში მამაცობისათვის კი ნეველის ორდენით.

„განსაკუთრებით დიდი გმირული ბრძოლები კოლშანსკიმ ქ. ნიკოლაევის განთავისუფლებისათვის გადაიტანა. ერთ-ერთ ცნობაში წერია: „ორ დღეში, 1944 წლის 24-დან 26 მარტამდე უფროსი ლეიტენანტის კოლშანსკის რაზმმა მტრის 18 შეტევა მოიგერია, მწყობრიდან გამოიყვანა 700-ამდე ჰიტლერელი. კ. ოლშანსკის 68 მედესანტის წინააღმდეგ იბრძოდა მტრის სამი ბატალიონი. ე.ი თითქმის მთელი სახმელეთო პოლკი. უმრავლესობა საბჭოთა მედესანტეებისა დაიღუპა. სამშობლომ დააფასა მამაცურად დაღუპული მედესანტეთა გმირობა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 28 მარტის ბრძანებულებით 68 მედესანტეს მათშორის კ. ოლშანსკის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. მათი სახელის უკვდავსაყოფად დაიდგა ძეგლები ქალაქ ნიკოლაევში და სხვა ქალაქებში“.<sup>11</sup>

კონსტანტინეს დაღუპვის შემდეგ, მისი მეუღლე ეკატერინე, 1947 წლამდე მუშაობდა ბათუმში, რესტორან „ბათუმის“ მთავარ ბუფალტრად, შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში, ის დიდხანს ეძებდა დაკარგულ ერთადერთ შვილს, რასაც ცოლისადმი მიწერილ უკანასკნელ წერილში ემუდარებოდა კონსტანტინე. ფრონტის ხაზიდან ომის მალე დამთავრებისა და ნახვის ნატერის სურვილთან ერთად, თუმცა დედა ისე გარდაიცვალა, რომ შვილი ვერ ნახა.

---

11. ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1939-1945 წ.წ. ბათუმი, 2005 წ. გვ. 223-224.





დიდების ობელისკი ქალაქ ბათუმში. 1975-2010 წლები

## ნანი II

### სოფლის მეურნეობა აჭახაში და მთავიხობი ღონისძიებები მათ განვითარებაზე

მეჩაიეობა, მეციცხუეობა, მეთამბაქოეობა, მევენახეობა, მახცველეულის წახმოება



სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია

აჭარის ზღვისპირა ტერიტორიები: ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების სასოფლო სამეურნეო სავარგულები, აჭაური ნიადაგურ-კლიმატური პირობები, სუბტროპიკული კლიმატისათვის დამახასიათებელი მცენარეების გაშენების საშუალებას იძლეოდა.. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოება პერსპექტიული იყო.

„როგორც კი 1878 წელს აჭარა დაუბრუნდა დედასაქართველოს და შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ამ მხარისაკენ დაიძრნენ გამდიდრების მსურველი ადამიანები. ისინი მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებულ მიწებს ჩალის ფასად იგდებდნენ ხელში. იმ დროისათვის ჩაქვის მიწები, მწვანე კონცხიდან ციხისძირამდე, ბეჟანიძეთა საკუთრება იყო, რომლისგანაც მეფის მთავრობამ და მდიდარმა, ჩაით მოვაჭრე კ. პოპოვმა ძალიან იაფად შეიძინა დიდი ტერიტორიები. კ. პოპოვმა თავის ცნობილი ჩაის სავაჭრო ფირმის „კს პოპოვების“ საშუალებით რუსეთის იმპერიის ფარგლებში ხელში აიღო მონოპოლია ჩაით ვაჭრობაში, მას მზა პროდუქცია ძირითადად ჩინეთიდან ჩამოჰქონდა.“<sup>12</sup>

12 . თ. კომახიძე, ქობულეთი და ქობულეთელები, გამოც. „აჭარა“, ბათუმი, 1997 წ. გვ. 125


„საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგის, მეჩაიეობის დანერგვა განვითარება XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. რუსმა მეცნიერებმა კლიმატურ – ნიადაგობრივი და სხვა პირობების შესწავლის შემდეგ დაასაბუთეს, რომ შავიზღვისპირა ზოლი სუბტროპიკულ ზონას მიეკუთვნებოდა, და ყველა პირობა იყო ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის.

ამ წამოწყებას იწონებენ და მხარს უჭერდნენ ცნობილი მეცნიერები: ა. ბუტლეროვი, დ. მენდელეევი, ნ.პრუვევალსკი, კ. ვილიამსი, ა. ვოვეიკოვი და სხვები. განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ ისინი ჩაის კულტურით, ვინაიდან რუსეთი ჩაის მომხმარებელი ქვეყანა იყო და მას ეს პროდუქტი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა, რაშიც ოქროს იხდიდა.

ჩაის გაშენების პირველი ცდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში იყო. ჩოხატაურის რაიონის სოფელ გორაბერეჟეულში, თავადმა მიხეილ ერისთავმა თავის მამულში გააშენა ჩაი და მისი პროდუქციაც გამოუშვა, მაგრამ ეს წამოწყება ვერ განვითარდა.

მეცნიერების დასაბუთებული წინადადების განხორციელებისათვის 1884-1885 წლებში აჭარის რეგიონში, დაბა ჩაქვიში საფუძველი ჩაეყარა პირველ ჩაის პლანტაციას, რომლის ინიციატორი და მე-საკუთრე იყო ვაჭარი კონსტანტინე პოპოვი.

აღნიშნული პლანტაციიდან მიღებულ ჩაის პროდუქციას, 1893 წელს, თბილისში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მიენიჭა. ქვეყნის დუხჭირ ცხოვრებაზე დაფიქრებულ ერის წინამძღოლს, ილია ჭავჭავაძეს ამ ფაქტმა დიდი იმედი ჩაუსახა. გაზეთ „ივერიაში“ 1894 წლის სექტემბერში მის მიერ გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი ჰავის წყალობით მიწაზე, სადაც ჩაი და მისთანა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები გაიხარებს, ფასმოკლევ ჭირნახულით მიწის მოცდენა დიდი შეცდომაა. დღეის იქით ჩვენ სამეზობლო ბაზარზე ამ ძვირფასს ჭირნახულს შევიტანდეთ და იქედან ჩვენთვის საჭირო ჭირნახულს შემოვიტანდეთ ორგზის მოგებული ვიქნებით.“ კ. პოპოვი თავის ხარჯებით, სპეციალისტების მონაწილეობით, 1882 წელში აწყობს სპეციალურ ექსპედიციას მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ მოწინავე ქვეყნებში



ონხაშურის საბჭოთა მეურნეობა მექანიზებული ჩაის ფოთლის აღება

(იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი ცვილონი) ჩაის წარმოებასა და დამზადების შესასწავლად.”<sup>13</sup>

კ. პოპოვმა შეისწავლა ჩაქვისა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ნიადაგები და კლიმატური პირობები და დაასკვნა რომ ამ ტერიტორიებზე შეიძლებოდა ჩაის კულტურის გაშენება. 1892 წელს მან შეიძინა 300 დესეტინა მიწა ჩაქვში, სალიბაურსა და კაპრეშუმში. ჩაის კულტურის გაშენების შესწავლის მიზნით ჩინეთში — გაგზავნა სპეციალური ექსპედიცია პროფესორ ვ.ა ტიხომოროვის ხელმძღვანელობით. შემდეგ თავადაც სამჯერ მოიარა ეს ქვეყნები.

1893 წელს კონსტანტინე პოპოვი გაემგზავრა ჩინეთში. მან იქ გაიცნო ჩაის საქმის კარგი სპეციალისტი ლაო-ჯინ-ჯაო, რომელიც დათანხმდა რამდენიმე წელი ემუშავა ჩაქვში. ლაო-ჯინ-ჯაოს 14 ჩინელი სპეციალისტიც წამოჰყვა. მათ თან წამოიდგეს ჩაის ბუჩქები და თესლი და დაიწვეს ჩაის გაშენება. 1893-1899 წლებში კ. პოპოვის მამულებში დაირგო 485290 ძირი ჩაის ბუჩქი. 1910 წლისათვის კი კ.პოპოვის მამულებში (ჩაქვში, სალიბაურსა და კაპრეშუმში) 105 დესეტინაზე უკვე მილიონზე მეტი ჩაის ბუჩქი დარგული იყო.

1895 წელს პოპოვმა ქობულეთში ააშენა პირველი ჩაის ფაბრიკა, დაბა ჩაქვში სადაც პირველი პროდუქცია გამოუშვეს.

13. ტ. მამულაიშვილი ქართული ხელექციური ჩაის ახალი ჯიშებისა და კლონების კვლევის შედეგები. ბათუმი ჩაქვი 2009 წ. გვ.7.

1897 წელს პოპოვმა სალიბაურში ააშენა მეორე ჩაის ფაბრიკა და იქ დადგა ინგლისიდან ჩამოტანილი დანადგარები, სადაც ჩაის ფოთოლს მექანიკური წესით ამუშავებდნენ.

1902 წელს მოიკრიფა 236989 ფუნტი ჩაის ფოთოლი, ხოლო 1909 წელს 798130 ფუნტი (ერთი ფუნტი უდრის 453,6 გრამს).

1900 წელს კ. პოპოვის ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში დამზადებულმა ჩაის პროდუქციამ, პარიზის მსოფლიო გამოფენაზე დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა. 1914 წლისათვის ჩაქვში ჩაი უკვე 839 ჰექტარზე იყო გაშენებული.

1910 წლისათვის ჩაის პლანტაციები გაშენებული იყო – ჩაქვში 396 ჰექტარი 7 ნაკვეთზე, აჭყვაში 1 ჰექტარი 1 ნაკვეთზე, ციხისძირში 3 ჰექტარი 7 ნაკვეთზე, სმეკალოვკაში 1 ჰექტარი 7 ნაკვეთზე, ხუცუბანში 1 ჰექტარი 2 ნაკვეთზე, მწვანეკონცხზე 3 ჰექტარი 11 ნაკვეთზე, მახინჯაურში 13 ჰექტარი 16 ნაკვეთზე, კაპრეშუმში 33 ჰექტარი 13 ნაკვეთზე, სალიბაურში 59 ჰექტარი 5 ნაკვეთზე, განთიადში 81 ჰექტარი 3 ნაკვეთზე.

„მეჩაიეობის განვითარებას ახალი გასაქანი მისცა კ. პოპოვის დაინტერესებამ. 1893 წელს ჩაით მოვაჭრემ სალიბაურში (ხელვაჩაურის რაიონი) ამ კულტურის გაშენება გადაწყვიტა. მას ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ლაო-ჯინ-ჯაუმ, რომელმაც ერთხანს სალიბაურის პოპოვის ფაბრიკაში იმუშავე. შემდეგ კი 1901 წელს, ჩაქვის საუფლისწულო ჩაის ფაბრიკაში გადაინაცვლა და იქ 1926 წლამდე დარჩა.<sup>14</sup>

ლაო-ჯინ-ჯაო აჭარაში 30 წელი მოღვაწეობდა. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ჩაის ბუჩქების გამოსაყვანი სათბური, აშენდა მცირე მოცულობის ჩაის ფაბრიკა. მან 1897 წელს აჭარაში ჩამოიყვანა დედა, მეუღლე და შვილები. პოპოვმა მათ კაპრეშუმში აუშენა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. 1911 წელს ლაო-ჯინ-ჯომ ჩელტაში შეიძინა 25 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სადაც გააშენა ჩაი და ციტრუსები. 1924 წლის 13 ნოემბერს, ლაო-ჯინ-ჯაოს დიდი დამსახურება მთავრობამ დააფასა და ის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. საქართველოში მეჩაიეობის დარგის განვითარების საქმეში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ქსენია ბახტაძეს (1899-

14. რ. ჯაბნიძე, ჩაი და ციტრუსები, 2004 წელი, გვ. 32-33.



გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“ 1935 წელი, 18 მაისი



გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“ 1935 წ. 18 დეკემბერი

1979 წლები), რომელმაც 1927 წლიდან გარდაცვალებამდე ამ დარგში ნაყოფიერად იღვაწა და გამოიყვანა ჩაის სხვადასხვა ჯიშში.

გაზეთი „უწვევები“ 1921 წლის 4 ივლისს წერდა: „1919 წლის მაისში ჩაქვში მოიკრიფა 85137 გირვანქა ჩაი. მათ შორის კერძო პირთა 37728 გირვანქა. 1920 წლის 1 ივლისისათვის მოიკრიფა 105014 გირვანქა, კერძო პირთაგან 114340 გირვანქა, 7 მაისიდან 15 ივნისამდე მოიკრიფა 363309 გირვანქა ჩაი“. (ერთი გირვანქა უდრის 409,5 გრამს).

1917 წლისათვის საქართველოში გაშენებული იყო 1017 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. 1934-1938 წლებში გაშენდა 16000 ჰექტარი, 1939-1941 წლებში 6600 ჰექტარი, სამამულო ომმა შეაფერხა ამ დარგის განვითარება. ომის დამთავრების შემდეგ განხორციელდა რიგი ღონისძიებანი ახალი პლანტაციების გაშენებისა და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. 1951-1955 წლებში რესპუბლიკაში გაშენდა 17500 ჰექტარი პლანტაცია. საშუალოდ წლიურად 3500 ჰექტარი ჩაის პლანტაცია შენდებოდა. მეჩაიეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაპროფიტებელი დარგი გახდა. 1928 წლისათვის აჭარაში მოიკრიფა 270,6 ტონა ჩაის ფოთოლი. 1932 წლისათვის 305,5 ტონა, ამავე წლებში ციტრუსი 500 და 980 ტონა. ბათუმისა და ქობულეთის მაზრებში, ახლად შექმნილი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები მუშახელის ნაკლებობას განიცდიდნენ, ჩაისა და ციტრუსების გასაშენებლად, ამისათვის აჭარის მთავრობამ დაიწყო მაღალმთიანი რაიონებიდან უმიწო კომლების ჩამოსახლება, სალიბაურის, ჩაქვის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ქედის მაზრიდან 1923-1924 წლებში 25 უმიწო გლეხთა კომლი ჩამოსახლეს, მათგან ბარცხენის თემში ჩაასახლეს 5 კომლი, ჩაქვის თემში 20 კომლი რომლებსაც დაბალ ფასებში ეძლეოდათ სამშენებლო მასალები სახლის ასაშენებლად. მთის რაიონებიდან უმიწო კომლების ჩამოსახლება გრძელდებოდა 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან და დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, რაც 70-იან წლებამდე გაგრძელდა.

1931 წლის 31 ოქტომბერს სკკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მეჩაიეობის განვითარების შესახებ მიიღო სპეციალური დადგენილება, რაც მიზნად ისახავდა მზა ჩაით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. 1921 წლის მონაცემებით

საქართველოში ჩაი გაშენებული იყო 914 ჰექტარზე და წლიურად 355 ტონა ჩაის ფოთოლი იკრიფებოდა. 1969 წლისათვის აჭარაში ჩაი გაშენებული იყო 7937 ჰექტარზე, რომლიდანაც აჭარის მენაიებმა 39300 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. 1971 წლისათვის აჭარაში მუშაობდა 14 ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა.

„საქართველოში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების-გაშენება განვითარებას მეცნიერული საფუძვლებიც ჰქონდა და მათი შემოტანა – დანერგვა ცალკეული მეცნიერ-ენტოზიასტების მიერ ხდებოდა. მის პერსპექტიულობას მოსახლეობაც ხედავდა. დიდი ინტერესიც გამოიწვია ჩაის, ციტრუსების, ბამბუკის, დაფნისა და სხვა კულტურებმა. ამიტომაც სწრაფად მოხდა მათი გაშენება და ფართო მაშტაბებით გავრცელება. მოწვეულმა მოსავალმა (ნედლეულმა და პროდუქციამ) გლეხებს სერიოზული შემოსავალი და იმედი გაუჩინა. ხოლო ამ კულტურებს საწარმოო მნიშვნელობა შესძინა. საჭირო გახდა შემოტანილ და გავრცელებული კულტურების მოვლა-მოყვანისა და წარმოების ტექნოლოგიების, აგროტექნიკური, აგროქიმიური, ბიომორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური და სხვა კვლევების ჩატარება, მეცნიერულ საფუძვლების დამუშავება კონკრეტულად ადგილობრივი კლიმატური პირობებისა და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით. ამ შემოტანილ და დანერგილ სუბტროპიკულ კულტურებს მაქსიმალური სარგებლობა რომ მოეტანათ მოსახლეობისა და ქვეყნისათვის და მათგან მიღებულ პროდუქციას გაეზარდა შემოსავლები, დაბა ჩაქეში 1926 წელს დაარსდა საცდელი სადგური, რომელმაც ფართო მეცნიერული კვლევები და ექსპერიმენტული მუშაობა გაშალა კლიმატურ-ნიადგობრივი და სხვა პირობების შესასწავლად. ეს აუცილებელი იყო ამ კულტურების სამრეწველო მიზნით განვითარებისათვის.

„ჩაქეის საცდელი სადგური (რომელიც დღეს აღარ მოქმედებს) გახდა პირველი სასოფლო-სამეურნეო -სამეცნიერო დაწესებულება აჭარაში, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებაში. აქ მუშაობდნენ აღიარებული მეცნიერები ჩაის, ციტრუსოვანთა და სხვა კულტურების გაშენების და გადამამუშავების საკითხებზე.

სადგური ამავე დროს გახდა ახალგაზრდა მეცნიერთა სამჭედლო –, სადაც სტაჟირებას გადიოდნენ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას



ეუფლებოდნენ არა მარტო ქართველი მომავალი მეცნიერები, არამედ მოსკოვის, სანკეეტერბურგის და სხვა ქალაქების და ქვეყნების სუბტროპიკული კულტურებით დაინტერესებულნი; სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები.

სანგრძლივი დროის განმავლობაში აქ მუშაობდნენ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები: ვ. პოკროვსკი, კ. ვორონცოვი, ქ. ბახტაძე, მ. დარსალია, მ. საბაშვილი, მ. ბოკუჩავა, კ. ჯმუხაძე, გ. გოძიაშვილი, ლ. სანიკიძე, გ. სარჯველაძე, ვ. კუტუბიძე, შ. ფალავანდიშვილი და სხვები. 1931 წელს ჩაქვის სადგური დაექვემდებარა ქ. ოზურგეთში ახლად გახსნილ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, როგორც მისი ერთ-ერთი ფილიალი<sup>15</sup>.

1990 წლისათვის ჩაის ფართობის რაოდენობა საქართველოში 65 ათასი ჰექტარი იყო, ხოლო ჩაის ფოთლის მოსავლმა 600 ათასი ტონას მიაღწია. 1921 წლის აგვისტოში ჩაქვში საუფლისწულო მამულის ბაზაზე შეიქმნა ჩაქვის და სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. იმავე წელს, მემამულეებზე ჩამორთმეული მიწის ბაზაზე შეიქმნა ახალ შენის საბჭოთა მეურნეობა 17 ჰექტარი, მახინჯაურის 30 ჰექტარი, ციხისძირის 242,7 ჰექტარი მიწის ნაკვეთებით.

1929 წელს შეიქმნა ცეცხლაურის ჩაის მეურნეობა 830 ჰექტარზე, 1930 წელს მუხესტატეს მეურნეობა 298 ჰექტარზე, 1931 წელს აღამბრის მეურნეობა 307,7 ჰექტარზე, კვირიკეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები 193,3 ჰექტარზე.

„1930 წელს გონიოში 35 ჰექტარზე ჩამოყალიბდა ლიმონის მწარმოებელი მეურნეობა, რომელიც 1933 წელს მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა, რომელსაც 250 ჰექტარი მიწა ჰქონდა. 1934 წელს ჩამოყალიბდა კახაბრის და 1935 წელს მახვილაურის ციტრუსების მეურნეობები, რომლებიც 1955 წელს გაერთიანდნენ და შეიქმნა კახაბრის საბჭოთა მეურნეობა. 1932 წელს თხილნარის ტერიტორიაზე შეიქმნა ჩაის საბჭოთა მეურნეობა 212 ჰექტარ ფართობზე, რომელიც 1952 წელს მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა.<sup>16</sup>

---

15. (ტ. მამულაიშვილი იქვე გვ. 11).

16. თ. ცივაძე, ნ. ბოლქვაძე, ვ. აკობაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ისტორია 2014 წ. გვ. 21

1949 წლის დიდთოვლობამ და ყინვებმა თითქმის მოსპო ციტრუსოვანთა ნარგავები ქობულეთისა და ბათუმის რაიონში. 1952 წლის 15 ნოემბერს გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ №226 იუწყება, რომ: „14 ნოემბრისათვის ქობულეთის რაიონმა შეასრულა ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენების გეგმა. გაშენებულია 1142 ჰექტარი ციტრუსი, რაც გეგმის 100,1 პროცენტს შეადგენს, ღიმილი დარგულია 490 ჰექტარზე. ფოთოხალი – 101, მანდარინი 551 ჰექტარზე. ციტრუსების გაშენება გრძელდება.”

ზემოთ აღნიშნული საბჭოთა მეურნეობები აჭარაში ჩაისა და ციტრუსის დიდი მწარმოებლები გახდნენ.

50-იანი წლებისათვის აჭარაში ჩაი გაშენებული იყო 6869 ჰექტარზე. აქედან ხელვაჩაურს რაიონში 2131 ჰექტარი, ქობულეთის რაიონში 4552 ჰექტარი, ქედის რაიონში 186 ჰექტარი.

აჭარაში 1990 წელს მოიკრიფა 63440 ტონა ჩაის ფოთოლი. აქედან: ხელვაჩაურის რაიონში 18562 ტონა, ქობულეთის რაიონში 43686 ტონა და ქედის რაიონში 1192 ტონა.

ციტრუსის გაშენებას რაც შეეხება, ის ჩაიზე ადრე დაიწყო. 1920 წლისათვის საქართველოში ციტრუსის ბაღებს 250 ჰექტარი ეკავა, 1936 წლისათვის 16 ათას ჰექტარი. 1939 წელს ქ. ბათუმში აშენდა საბჭოთა კავშირში პირველი ციტრუსკომბინატი, რომელიც 1971 წლისათვის ამუშავებდა 6000 ტონა ნაყოფს და ამზადებდა 20 სახის კონსერვებსა და წვენებს.

## საქ სახკომსაბჭოს და საქ კპ(ბ) ც.კ-ის დადგენილება

**„საქართველოს სსრ. შავი ზღვის ნაპირზე ციტრუსოვანი კულტურების ფართობთა გადიდების ხუთწლიანი (1936-1940 წ.წ) გეგმის შესახებ“** გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილების თანახმად „1936-1940 წლებში საქართველოს სსრ ციტრუსოვანი კულტურების მეურნეობის განვითარების გეგმის შესახებ“

გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 1-ის დადგენილების შესაბამისად – საქართველოს სსრ

სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოთ აჭარის ასსრ-ის ბათუმისა და ქობულეთის რაიონების... კოლმეურნეთ და ერთპიროვნულ მეურნეთ გააშენონ თავიანთ საკარმიდამო მიწებზე არანაკლებ 25-40 ცალი ციტრუსოვანი ნარგავისა თითო კომლზე.

დამტკიცებული იქნას ამასთანავე დართული სია იმ სასოფლო საბჭოებისა და სოფლებისა, სადაც უნდა განხორციელდეს ზემოთაღნიშნული ღონისძიება (იხ. დანართი 1).

2 სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 1-ის თარიღისა და 617 №-ის დადგენილებით დამტკიცებული ხუთწლიური გეგმა საქართველოს სსრ-ში ციტრუსოვანი ნარგავთა გაშენებისა კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე საერთო მოცულობით 6246 ჰექტრის რაოდენობით (აქედან მანდარინის ნარგავთა – 3277 ჰექტ., ლიმონის ნარგავთა – 2549 და ფორთოხლის ნარგავთა – 400 ჰექტ.) განაწილებული იქნას წლებზე შემდეგნაირად

1936 წელს:

მანდარინის ნარგავები 81.1 ჰა.

ლიმონის ნარგავები 19 ჰა.

ფორთოხლის ნარგავები 3 ჰა.

სულ 104.1 ჰა

1937 წელს

მანდარინი 270 ჰა.

ლიმონი 62 ჰა.

ფორთოხალი 22.5 ჰა.

სულ: 355,1 ჰა

1938 წელი

მანდარინი 1096.9 ჰა.

ლიმონი 241,1 ჰა.  
ფორთოხალი 98,1 ჰა.

სულ: 1436,4 ჰა

1939 წელი  
მანდარინი 1359,15 ჰა.  
ლიმონი 323,90 ჰა.  
ფორთოხალი 152,50 ჰა.

სულ: 1835,55 ჰა

1940 წელი

მანდარინის ნაგრავეები 1902,2 ჰა  
ლიმონი 468,85 ჰა.  
ფორთოხალი 143,6 ჰა

სულ: 2514,85

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია**.

1936 წ. აპრილის 15. ტფილისი.

დანართი №1  
სია

**იმ სასოფლო საბჭოებისა და სოფლებისა, სადაც კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე უნდა გაშენდეს ციტრუსოვანი კულტურები:**

## ქობულეთის რაიონი

1. ხალას სას. საბჭო – დიდი ჯამე, ხალა, გორგაძეები
2. ჩაქვის სას. საბჭო – ციხისძირის სტალინის უბანი. შუა დელე, უდიანოეკა, აჭყვა ბერძნები, აჭყვა აჭარლები, სახალვაშო, ჩაქვი,
3. დაგვის სას. საბჭო - ზემო დაგვა, ქვემო დაგვა, ბობოყვათი, კვირიკე.
4. ეოროშილოვის სას. საბჭო – ეოროშილოეკა, ახალსოფელი, კინკიშა.
5. მუხაესტატეს სას.საბჭო – აღამბარი, მუხაესტატე, წყაეროკა, ზენითი.
6. ლეღვას სას. საბჭო – აჭყვისთავი,ცხრაფონა,სკურა, ლეღვა, წყაეროკა.
7. ქაქუთის სას. საბჭო – ქაქუთი, ნაცხავატევი
8. ხუცუბნის სას. საბჭო – ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე, ქვედა სამება, ხუცუბანი, გვარა და გელაურა.
9. ქობულეთის სას. საბჭო – ზედა სამება, კოხი, ქობულეთი, კონდილი
10. ჭახათის სას. საბჭო – ჭახათი

## ბათუმის რაიონი

1. მახინჯაურის სას. საბჭო – ყარადერე – მახინჯაური.
2. ორთაბათომის სას. საბჭო - ორთა-ბათომი, ყოროლისთავი, კაბრეშუმი, აგარა.
3. ახალშენის სას. საბჭო – ზედა ახალშენი, სამება, ჩილიკიდი, იჯადია, მაზმანიდი.
4. ურეხის სას. საბჭო – ურეხი, ფერია, სალიბაური, ფეიზიე, მაშშულიე
5. კახაბრის სას. საბჭო – კახაბერი, თოდოგაური, თოფალოდლე-ბი, ადლია, მინდა, ანგისა.
6. კაპანდობის სას. საბჭო – ხელვაჩაური, ზანაკიძეები, ქვემო ჯოტო, ზემო ჯოტო.

7. გონიოს სას. საბჭო – ლარინო, გონიო, ყიზილ-თოფრახი, ქურთები, სარფი.

8. თხილნარის სას. საბჭო – თხილნარი, მახო, ჭარნალი.<sup>17</sup>

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო კოოპერაციულ და კერძო სექტორში ციტრუსოვანთა პლანტაციებს 8900 ჰექტარი ეკავა, აქედან საზოგადოებრივ სექტორში 4200, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში კი 4700 ჰექტარი. მოსავალმა 150-200 ათას ტონას გადააჭარბა, რაც საქართველოში დამზადებული ნარინჯოვანი ნაყოფის 60% შეადგენდა.“<sup>18</sup>

აჭარის მთიანი რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეთამბაქოეობას „1903 წელს თამბაქოს პლანტაციებს ეკავა 633 დესეტინა. ქ. ბათუმში ფუნქციონირებდა თამბაქოს სამი ფაბრიკა (ორი ბინიათოდლის და ერთიც დანილოვის) ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც. 1928 წელს აჭარაში 63,5 ტონა თამბაქოს მოსავალი მოიწიეს ხოლო 1932 წელს 460, 6 ტონა.

### **თამბაქოს მნახმოებელთა დაინტეხელების მიზნით მთავიხობამ გამოსცა თამბაქოს მიღებასთან დაკავშირებით უონსტაქსაცია.**

ახალი შეღავთები მეთამბაქოე კონტრაქტანტებს. რომლებმაც თამბაქოს კონტრაქტანციის დარგში შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, ზედმეტი თამბაქოს როგორც ფოთლად, ისე დაჭრილად თავისუფალი რეალიზაციის უფლების მინიჭების შესახებ.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 7 თებერვლის და 1934 წლის 15 იანვრის დადგენილებების № №152 და 182 განსავითარებლად ნედლი თამბაქოს კონტრაქტანტებს, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი საკონტრაქტაციო ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის თამბაქოს პროდუქციის ჩაბარების ხაზით, უფლება მიეცეთ, საერთოდ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში ჩაბარების სახ-

17. (გაზეთი საბჭოთა აჭარა 22 აპრილი 1936 წ. №93)

18. (რ. ჯაბინიე „ჩაი და ციტრუსები“ თბილისი 2004 წ. გვ. 637)

ელმწიფო გეგმის შესრულების შემდეგ თავისუფლად გაასაღონ ზედმეტი თამბაქო როგორც ფოთლად ისე დაჭრილი.

**საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ვ. კუიბიშევი**

**სამბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე: ი. მეჟელაუკი.**

გასული საუკუნის 80-იან წლებში აჭარის მაღალმთიან რაიონებში 5000 ტონამდე მაღალხარისხოვანი თამბაქო მოჰყავდათ. აჭარის თამბაქო არომატის მისაცემად გააჭონდათ საბჭოთა კავშირის 58 თამბაქოს ფაბრიკაში მზა პროდუქციის გასაკეთილშობილებლად.

აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილის ვახტანგ პაპუნისძის ძალისხმევით, საბჭოთა მთავრობამ დაუშვა კერძო სექტორში თამბაქოს წარმოება, რითაც მთის სოფლების მოსახლეობის ცხოვრების დონე საგრძნობლად ამაღლდა. ასევე მთის რაიონების მოსახლეობას კოლმეურნეობებში მოჰყავდათ 1900 ტონამდე ყურძენი, რომლის გადამუშავება ქედის ღვინის ქარხანაში ხდებოდა. აჭარაში მევენახეობის დიდ ისტორიაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ქვევრები და საწნახლები, რომლებიც 25 საუკუნით თარიღდებიან. აჭარის მთის სოფლებში შემორჩენილია 40-ზე მეტი ჯიშის ვაზის. მთიან რაიონებში 500 ჰექტარზე მეტი ვენახი იყო გაშენებული. მოსახლეობამ 1990 წლის შემდეგ ინტენსიურად დაიწყო ვენახის გაშენდა. მევენახეობა კვლავ აღორძინებას იწყებს. მაგრამ მთავრობისაგან მეტი დახმარება საჭირო ძირითადად შხამქიმიკატებით მომარაგების მხრივ. მინერალური სასუქის აზოტის ფასი, რომელიც 3,8 მანეთი ღირდა, კატასტროფულად გაიზარდა და 50-55 ლარს მიაღწია, რაც ფასის 1500-1700 პროცენტით ზრდაა. ეს კუროსია. რის გამოც საგრძნობლად შემცირდა მარცვლეულის და მეცხოველეობის პროდუქციების წარმოებაც.

1990 წლიდან მსოფლიოში ჩაის ერთერთი დიდი მწარმოებელი ქვეყანა საქართველო მის შემომტან მომხმარებელ ქვეყნად იქცა, ეს

მართლაც სამარცხეინოა. საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციიდან შემოსავალი 1984 წლისათვის 12,5 მილიარდი მანეთი იყო, რაც საქართველოს დღევანდელ ბიუჯეტს მრავალჯერ აღემატებოდა. 1990 წლიდან 2010 წლამდე გაიჩეხა, გადაიწვა და დაკნინდა ჩაის პლანტაციების 99 პროცენტი. ქვეყნისა და ერის წინაშე ასეთი მტრული დამოკიდებულებისათვის იმდროინდელმა ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს.

ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში ნანატრი ოცნება აისრულა და დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობამ დაიწყო ფაბრიკა-ქარხნების დაშლა-დანგრევა. სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მოსპობა. ხომ შეიძლებოდა ქვეყანა იმ გზით წაგვეყვანა, როგორც ჩინეთმა, ბელორუსიამ, აზერბაიჯანმა და სხვა ქვეყნებმა, რომლებსაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არაფერი დაუნგრევიათ. პირიქით, ქვეყნის ეკონომიკა გააძლიერეს, მოსახლეობა შეძლებულად ცხოვრობს. აზერბაიჯანის მოსახლეობა ორჯერ გაიზარდა, ჩვენი კი 2 მილიონით შემცირდა. ისინი ჩაის აშენებენ, ჩვენ კი გავანადგურეთ, მშრომელებს წავართვით სამუშაო და ვაიძულეთ სხვა ქვეყნებში წასულიყვნენ ლუკმა პურის საშოვნელად. აჭარაში 6000 ჰექტრიდან შემორჩენილია 400 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რომელიც კერძო საკუთრებაშია. კიდევ ოთხასი შეიძლება რეაბილიტაციას დაექვემდებაროს.

ეს წინათქმა იმისათვის დაგვჭირდა, რომ ამ წიგნში მკითხველს წარვუდგინოთ აჭარის გამოჩენილი მშრომელი ადამიანები, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეთამბაქოეობის, მევენახეობის განვითარებაში და უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდებები და ლენინის ორდენი დაიმსახურეს.

საბჭოთა მთავრობამ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მრეწველობის, ქვეყნის კულტურული მშენებლობის, მეცნიერების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დააწესა წარჩინების უმაღლესი ხარისხი, რისთვისაც ბრძანებულება გამოსცა.



# ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო მკრეფავი ქალებისა და ბრიგადირებისათვის პრემიების დაწესების შესახებ

## აჭარის ასსრ ცაკის და საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის 1936 წლის 26 ივლისის დადგენილება

1. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის წარმატებით შესრულება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩატარდება კრეფა აგვისტოში, რომელიც წარმოადგენს გადამწყვეტ თვეს ჩაის ფოთლის კრეფის მთელი სეზონისათვის.

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს კ.პ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტი გამოთქამენ რწმუნას, რომ ქობულეთისა და ბათუმის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ბოლშევიკურად გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას და ამჟამად შექმნილ ხელსაყრელ პირობებს და მიაღწევენ ჩაის ფოთლის კრეფის უნარიანი ხელმძღვანელობის ნიმუშებს, ხოლო კოლმეურნე ქალთა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობის მუშა ქალთა და მუშათა ფართო მასები აგვისტოში გვიჩვენებენ შრომის ნაყოფიერების ახალ აღმავლობას, ჩაის პლანტაციებზე. სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის და მუშაობის სტახანოვური მეთოდების დანერგვის საფუძველზე.

2. ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მკრეფავებისა და ბრიგადირებისათვის, რომლებიც აგვისტოში ჩაის ფოთლის კრეფაზე მიაღწევენ შრომის მაღალი ნაყოფიერების საუკეთესო ნიმუშებს, ცაკი და პარტიის საოლქო კომიტეტი აწესებს შემდეგ პრემიებს.

პირველი პრემია – ექსკურსია ქ. მოსკოვში 15 დღის ვადით (ან სურვილისამებრ 1000 მანეთი ფულად).

ა) იმ მკრეფავებისთვის, რომლებიც აგვისტოში მოკრეფენ 1300

კილოგრამ ფოთოლს და მეტს დაწესებული ხარისხობრივი მოთხოვნების დაცვით;

ბ) იმ ბრიგადირებისათვის, რომლებიც ბრიგადის გეგმას აგვისტოში (წინა თვეების მთელი დანაკლისის ჩათვლით) 150 პროც. შეასრულებენ.

მეორე პრემია – კურორტზე გაგზავნა სანატორიუმში ან დასასვენებელ სახლში 1 თვით (ანდა 750 მანეთი ფულად)

ა) იმ მკრეფავებისათვის, რომლებიც აგვისტოში მოკრეფენ 1100 კილოგრამ ფოთოლს;

ბ) იმ ბრიგადირებისათვის, რომლებიც გეგმას 130 პროცენტით შეასრულებენ.

მესამე პრემია – ძვირფასი საჩუქარი (ანდა 500 მანეთი ფულად)

ა) იმ მკრეფავებისათვის რომლებიც 1000 კილოგრამ ფოთოლს მოკრეფენ;

ბ) იმ ბრიგადირებისათვის, რომლებიც გეგმას 120 პროცენტით შეასრულებენ.

მეოთხე პრემია – 250 მან. ფულად:

ა) იმ მკრეფავებისათვის რომლებიც 900 კილოგრამ ფოთოლს მოკრეფენ;

ბ) იმ ბრიგადირებისათვის რომლებიც გეგმას 115 პროცენტით შეასრულებენ.

მეხუთე პრემია – 200 მანეთი:

ა) იმ მკრეფავებისათვის, რომლებიც 750 კილოგრამ ფოთოლს მოკრეფენ;

ბ) იმ ბრიგადირებისათვის, რომლებიც გეგმას 110 პროცენტით შეასრულებენ. გარდა ამისა, დაწესდეს მეექვსე პრემია 200 მანეთის რაოდენობით ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მკრეფავებისათვის, რომლებიც აგვისტოში მოკრეფენ 500 კილოგრამ ფოთოლს, ჩაქვის, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობების და აჭარის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობის, აგრეთვე ქობულეთის რაიონის ლენინის, ვოროშილოვის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობების და კოლმეურნეობა „წითელი

ოქტომბრის” და ბათუმის რაიონის „სტალინის სახელობის” კოლმეურნეობის გამოკლებით. იმის გამო, რომ ამ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში უფრო ხელსაყრელი პირობები მოიპოვება ჩაის კრეფისათვის (ძველი პლანტაციები, მეტი გამოცდილება და ჩვევები და სხვა).

3) აღნიშნული პრემიების განაწილება დაეკისროს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. მეგრელიძე (მიწსახკომი), იაკოვლევი (საოლქო კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო განყოფილება), ყურ-შუბაძე (ქობულეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე), თ. ჯაში (ბათუმის რაიაღმასკომის თავმჯდომარე) და დიკერმანი (სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის მუშათა პროფკავშირი).

აჭარის ასსრ ცაკის  
თავმჯდომარე **ზ. ლორთქიფანიძე**

საქ. კ.პ(ბ) აჭაროლქკომის  
მდივანი: **ა. გეორქოვი**

გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი” 1936 წლის 28  
ივლისი №172

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

წარჩინების უმაღლესი ხარისხის სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების დაწესების შესახებ.

1. დაწესდეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში წარჩინების უმაღლესი ხარისხი – სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება.

2. იმ პირთ, რომელთაც სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება მიენიჭებათ, ამავე დროს გადაეცემათ „ლენინის ორდენი.“

3. დამტკიცდეს დებულება სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

**თავმჯდომარე: მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

**მდივანი: ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.

1938 წლის 27 დეკემბერი

### დებულება

სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების შესახებ

1. სოციალისტური შრომის გმირის წოდება წარმოადგენს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში წარჩინების უმაღლეს ხარისხს და ენიჭება იმ პირებს, რომელთაც თავისი განსაკუთრებით თვალსაჩინო ნოვატორული მოღვაწეობით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მეცნიერულ აღმოჩენათა და ტექნიკურ გამოგონებათა დარგში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე, და რომელიც ხელს შეუწყობს

სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების აღმავლობას, სსრ კავშირის აღიარებისა და დიდების ზრდას.

2. სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდებას ანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. სოციალისტურ შრომის გმირს: ა) გადაეცემა სსრ კავშირის უმაღლესი ჯილდო „ლენინის ორდენი“

ბ) მიეცემა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული სიგელი.

4. „ლენინის ორდენით“ რომელსაც დაჯილდოებული ღებულთა, სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების მინიჭებასთან ერთად, ეძლევა ფულადი ჯილდო ორმაგი ოდენობით.

5. სოციალისტურ შრომის გმირს ენიჭება უფლება და უპირატესობანი რომლებიც გათვალისწინებულია სსრკ ორდენების საერთო დებულების მე-10 – მე-16 მუხლებით (სსრკ კანონის კრ. 1936 წ. №24 მუხლი 220-ბ).

6. სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

**მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

**ა. გორკინი**

**მოსკოვი, კრემლი**

**1938 წლის 27 დეკემბერი**

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისათვის სოციალისტური გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ითვალისწინებს, რა რომ მოსავლის გადიდება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოფლის მეურნეობის აღდგენისა და აღმავლობის საქმეში. და იმისათვის, რომ კოლმეურნეობები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები წახალისებული იქნენ, ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს.

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მემინდრე ბრიგადების, ბრიგადირებსა და მერგოლურებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, აგრონომებსა და უფროს მექანიზატორებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება ენიჭებათ, ან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ჯილდოვდებიან შემდეგი მოსავლის მიღებისათვის.

ა) სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება ხდება ურწყავი მიწის თითოეულ ჰექტარზე ხორბლისა და ჭვავის, სულ მცირე 30 ცენტნერი ჰექტარზე, მარცვლეული სიმინდის სულ მცირე 70 ცენტნერი, ურწყავ რაიონებში ჰექტარზე შაქრის ჭარხლის სულ მცირე 600 ცენტნერი და სარწყავ რაიონებში 800 ცენტნერი. ჰექტარზე ამერიკული ჯიშის ბამბის სულ მცირე 85 ცენტნერი და ჰექტარზე ეგვიპტური ჯიშის ბამბის სულ მცირე 60 ჰექტარი ფაქტიური მოსავლის მიღებისთვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

**ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:

**ა. გორკინი**

**მოსკოვი, კრემლი**

**1947 წლის 29 მარტი**

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 29 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, 1947 წელს სიმინდისა და ხორბლის უხვი მოსავლის მიღებისათვის და ამასთან კოლმეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარებათა და მტს-ის სამუშაოთა ნატურ საზღაურის შესრულებისას, სახელმწიფოსათვის თამბაქოს, ჩაის მწვანე ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და 1948 წლის თესვის თესლით უზრუნველყოფისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

---

#### ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის მისაღებად კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა წახალისების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს 1948-49 წლებისათვის ხარისხოვანი ჩაის მწვანე



ფოთლის და ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლიანობის შემდეგი მაჩვენებლები, რომელთა შესრულების დროსაც სოციალისტური შრომის გპირის წოდება მიენიჭებათ და სსრ კავშირის ორდნებითა და მედლებით დაჯილდოებული იქნებიან რგოლის წევრები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირები და მერგოლურები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგრონომები, საბჭოთა მეურნეობის დირექტორები, მთავარი და უფროსი აგრონომები და აგროგანყოფილებათა გამგეები:

ა) ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობის დარგში  
(კილოგრამებით ჰექტარზე)

	სოციალისტური შრომის გპირის წოდების მინიჭება	დაჯილდოება		
		ორგანიზაციით	შრომის წითელი დროშის ორდენით	მკლდით "შრომითი მამაცობისა" და "შრომითი წარმატებისათვის"
რგოლის წევრ კოლმეურნეთათვის საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის.	12,000	10,000	8000	6000
კოლმეურნეობის მერგოლურებისათვის	8000	7000	5000	3500
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირებისათვის	7000	5000	4000	3000
კოლმეურნეობათა თავმჯდომარეობისა და აგრონომებისათვის, საბჭოთა მეურნეობის განყოფილებათა გამგეებისათვის	5000	4000	3000	2500
საბჭოთა მეურნეობის დირექტორების, მთავარი და უფროსი აგრონომებისათვის	4000	3000	2500	2000



ბ) ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლიანობის დარგში

(ცალობით ყოველ მსხმოიარე სრულსაკოვანი ხიდან)

	სოციალის-ტური შრომის გემირის წოდებების მინიჭება		დაჯილდოება					
			ლენინის ორდენი		შრომის წითელი დროშის ორდენი		მედიის ორდენი	
	ლიბონი და ფორთოხალი	მანდარინი	ლიბონი და ფორთოხალი	მანდარინი	ლიბონი და ფორთოხალი	მანდარინი	ლიბონი და ფორთოხალი	მანდარინი
რგოლის წვერ კოლმეურნეთათვის საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის.	450-1200		400-1000		350-900		300-800	
კოლმეურნეობის მერგოლურებისათვის	400-100		350-900		300-800		250-700	
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირებისათვის	350-900		300-800		250-700		220-600	
კოლმეურნეობათა თავმჯდომარეობისა და აგრონომებისათვის, საბჭოთა მეურნეობის განყოფილებათა გამგეებისათვის	300-800		250-700		220-600		200-500	
საბჭოთა მეურნეობის დირექტორების, მთავარი და უფროსი აგრონომებისათვის	250-800		220-700		200-600		180-500	

სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება მოხდეს იმ პირობით თუ აღნიშნული მოსავალი მიღებული იქნება შემდეგი ფართობიდან ან მსხმოიარე სრულასაკოვანი ხეების რაოდენობიდან:

	ჩაის სულ მცირე შემადგენი ფართობებიდან და (ჰექტრებიდან)	მსხმოიარე სრულასაკოვანი ხეების რაოდენობიდან	
		ლიმონი და ფორთოხალი	შანდარინი
რგოლის წვეგრ კოლმეურნეთათვის საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის.	0-5	250	400
კოლმეურნეობის მერგოლურებისათვის	2,0	800	2000
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირებისათვის	6,0	1500	4000
კოლმეურნეობათა თავმჯდომარეობისა და აგრონომებისათვის, საბჭოთა მეურნეობის განყოფილებათა გამგეებისათვის	30,0	3000	7000
საბჭოთა მეურნეობის დირექტორების, მთავარი და უფროსი აგრონომებისათვის	100,0	5000	10,000

2. რგოლის წევრი კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობის მუშების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებისა და მერგოლურებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და აგრანომებს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორებს, მთავარ და უფროს აგრანომებსა და საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგეებისათვის, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მინიჭება და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება მოხდეს შემდეგი პირობების აუცილებელი შესრულებით.

ა) თუ ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსოვანთა ხეების დანარჩენი ფართობიდან რგოლი, ბრიგადა, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობის განყოფილება აიღებს ამ კულტურისათვის დაწესებულ გეგმის მოსავალს:

ბ) თუ კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობა აუცილებლად შეასრულებს ჩაისა და ციტრუსოვანთა ახალი ნარგავების გაშენების გეგმას.

გ) თუ კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა შეასრულებს სახელმწიფოსათვის ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლისა და ციტრუსების, მათ შორის მანდარინის 1 კილოგრამში არა უმეტეს 20 ცალისა, სტანდარტულ ნაყოფის ჩაბარების გეგმას, აგრეთვე თუ კოლმეურნეობა შეასრულებს სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყველა სახის მიხედვით და ნატურსახდაურს მტს-მუშაობისათვის, ხოლო საბჭოთა მეურნეობა – სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმას.

დ) თუ კოლმეურნეობა ყველა კულტურის თესლით იქნება უზრუნველყოფილი იმ ოდენობით, რაც საჭიროა მომავალი წლის მოსავლის დასათესად.

3. კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩინენ თავს, დაჯილდოებული იქნებიან ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლით „შრომითი მამაცობისა“ და „შრომითი წარჩინებისათვის“, იმის მიხედ-

ვით თუ რა მონაწილეობა მიიღეს მათ უხვი მოსავლის მიღებაში.

4. დაწესდეს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებს, სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებათა გამგეებსა და მთავარი აგრანომებს, რომლებიც თავისი მუშაობით უზრუნველყოფენ მთლიანად რაიონში ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის და ციტრუსოვანთა ნაყოფის მოკრეფის გეგმის სულ მცირე 15%-ის გადაჭარბებით შესრულებას, მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება; თუ გეგმა შესრულდა სულ მცირე 10%-ის გადაჭარბებით, აღნიშნული მუშაკები დაჯილდოვდნენ ლენინის ორდენით. ხოლო თუ გეგმა შესრულდა სულ მცირე 5%-ის გადაჭარბებით – შრომის წითელი დროშის ორდენით.

აღნიშნული მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება და სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება მოხდება იმ პირობით, თუ რაიონში შესრულებულია სახელმწიფოსათვის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ჩაბარების ვალდებულება, მტს-ის სამუშაოთა ნაბურთაზღაურის გასტუმრების გეგმა, სუბტროპიკული კულტურების სანერგე მასალების გაშენებისა და გამოზრდის გეგმა და თუ რაიონში არის სულ მცირე 250 ჰექტარი მოსავლიანი ჩაის პლანტაცია და სახელმწიფოს ჩაბარდება სულ მცირე 20 მილიონი ციტრუსის ნაყოფი.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების, პარტიის რაიონული კომიტეტებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებათა მუშაკები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიხევენ თავს, დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით იმის მიხედვით თუ რა მონაწილეობა მიიღეს მათ ჩაის ფოთლის და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღების ორგანიზაციაში.

5. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის და ციტრუსოვანთა ნაყოფის

მოსავლის ფაქტიური აღება განისაზღვრება მათი შემოსავალში გა-  
ტარებით სათანადო დოკუმენტების მიხედვით.

რაიონის მიხედვით მოსავლის ფაქტიური აღება დაწესდება  
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის წლიური ანგარიშების  
საფუძველზე.

6. დაწესდეს, რომ ამ ბრძანებულების შესაბამისად სოციალის-  
ტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად და სსრ კავშირის  
ორდნებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენა ხდება სსრ  
კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ თავისი სისტემე-  
ბისა და რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის  
მიხედვით, ხოლო სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტ-  
როს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს მიერ  
თავიანთი სისტემის საბჭოთა მეურნეობების მიხედვით მშრომელთა  
დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტებისა და  
მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შემოწმებული  
მასალების საფუძველზე, სასოფლო სამეურნეო წლის შედეგების მიხედ-  
ვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი

1948 წლის 25 მაისი.

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სოციალისტური შრომის გმირების – სოფლის მეურნეობის მოწინავეების მეორე ოქროს მედლით „ნამგალი და ურო“ დაჯილდოების შესახებ.

1. დაწესდეს, რომ სოციალისტური შრომის გმირები – სოფლის მეურნეობის მოწინავენი, რომლებიც მათთვის სოციალისტური შრომის გმირის მინიჭების შემდეგ სამი წლის განმავლობაში ზედიზედ მიღწევებზე მაღალ მაჩვენებლებს სოფლის მეურნეობაში, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, დაჯილდოვებიან მეორე ოქროს მედლით „ნამგალი და ურო“.

მეორე ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ დაჯილდოებული სოციალისტური შრომის გმირის შრომითი საგმირო საქმეების აღსანიშნავად, აიგება დაჯილდოებულის ბრინჯაოს ბიუსტი სათანადო წარწერით, რომელიც დაიდგმება პოსტამენტზე გმირის სამსობლოში.

– სოციალისტური შრომის გმირები, რომლებიც მათთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შემდეგ პირველ და მეორე წელს მოიპოვებენ ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა მიღწევისათვის უნდა მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იქნებიან ყოველ წელს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე  
ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი  
1949 წლის 3 მარტი.



სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი

## სოციალისტური შრომის გმიხები ქობულეთის ხაიონიდან

### შუქი დევაძე



შუქრი (შალვა) თალიბის ძე დევაძე დაიბადა 1911 წელს ქედის რაიონის სოფელ აგარაში. აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება.

შუქრი დევაძემ 1933 წელს დაამთავრა აჭარის პარტიული სკოლა. 1934-1935 წლებში მუშაობდა საქართველოს ალკა ქედის რაიონის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად.

1935-1936 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის ინსტრუქტორად.

1936 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო.

1936 წლის ოქტომბრიდან – ქედის რაიონის მილიციის უბნის რწმუნებული.

შუქრი დევაძე 1937-1938 წლებში რაიონის მილიციის უფროსად დააწინაურეს.

1938-1939 წლებში შუქრი დევაძე თბილისის მილიციის სამეთაურო სკოლაში სწავლობდა. ხოლო 1939-1941 წლებში ქობულეთის რაიონის მილიციის უფროსი იყო. 1941-1942 წლებში ქობულეთის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელი.

1942-1943 წლებში შუქრი დევაძე ქობულეთის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დაინიშნა.

1943 წლის 6 მაისიდან დააწინაურეს და ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს.

1949 წლის ივლისიდან შუქრი დევაძე მივლინებული იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან პარტიულ სკოლაში მსმენლად.

1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას სოციალისტური შრომის გმირის



წოდება მიენიჭა, რადგან თავისი მუშაობით უზრუნველყო რაიონში ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთლის მოსავლის გეგმის 19,5 % გადაჭარბებით შესრულება.

ორწლიანი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ, 1952 წლის 10 დეკემბერს, შუქრი დევაძე, როგორც გამოცდილი ხელმძღვანელი, დაინიშნა ახლადგახსნილი შუახევის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ხოლო 1954 წლის 2 თებერვლიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის შუახევის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს.

1955 წლის 14 აპრილიდან 1958 წლის 14 აგვისტომდე მუშაობდა ქობულეთის რაიონის აჭყვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. 1958 წლის აგვისტოდან 1961 წლის ივნისამდე ქობულეთის რაიონის ბუენარის ღვინის ქარხნის დირექტორად.

1961 წლის ივნისიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის დასასვენებელი სახლის დირექტორად.

არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად. ქედის, ქობულეთის და შუახევის კომპარტიის რაიონული საბჭოს დეპუტატად და ამავე რაიონების პარტიის რაიკომების ბიუროს წევრად. თავისი კეთილსინდისიერი მუშაობით ქედის, ქობულეთისა და შუახევის რაიონების მოსახლეობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მისი შთამომავლობა ქობულეთში ცხოვრობს.

## ემენ ტაკიძე



ემენ პართენის ძე ტაკიძე დაიბადა 1910 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათში, გლეხის ოჯახში. 1924 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში. 1933 წელს თბილისში დაამთავრა რესპუბლიკური პარტიული სკოლა.

ემენ ტაკიძე 1936 წლიდან სკკპ (ბ) წევრი გახდა. 1939 წელს ის მახარაძის რაიკომის მდივნად აირჩიეს. 1943-1945 წ.წ საქართველოს კპ (ბ) ხულოს რაიკომის პირველ მდივნად, შემდეგ საქართველოს კპ (ბ) ქობულეთის რაიკომის პირველ მდივნად.

ე. ტაკიძემ 1941 წელს დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ხოლო 1948 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. ის არჩეული იყო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად და ასევე იყო საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი, არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე მოწვევის დეპუტატად.

1949 წ. 29 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ე. ტაკიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

1951 წლის 18 თებერვალს ემენ ტაკიძე მეორედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ქობულეთის რაიონის ჩაქვის 334-ე საარჩევნო ოლქიდან.

### ვასილ გოხეჯაძე



ვასილ ალექსანდრეს ძე გორდელაძე დაიბადა 1904 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში, გლეხის ოჯახში. 1928 წელს დაამთავრა გორაბერეჟაულის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო მახარაძის რაიონის მიწვანის აგროტექნიკოსად.

ვასილ გორდელაძე 1930 წლიდან 1967 წლამდე პენიაში გსვლამდე მუშაობდა ქობულეთის რაიონის მიწვანის აგრონომად, უფროს აგრონომად, მიწვანის გამგედ, ჩაის კანტორის მმართველად, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1949 წლის 29 აგვისტო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ვასილ გორდელაძეს, როგორც რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს, ქობულეთის რაიონში ხარისხიან ჩაის ფოთლის გეგმის 19%-ით გადაჭარბებით შესრულებით სათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ვ. გორდელაძე გარდაიცვალა 1973 წელს.

## სოფელი დაგვის უკლმეუხნეობა

1936 წლის 17 თებერვალს გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ №39 წერდა:

### „უკლმეუხნეობა – მილიონეხი

ამს. ვოროშილოვის სახელობის სოფ. დაგვის სასოფლო-სამეურნეო არტელი ამჟამად აერთიანებს 205 მეურნეობას 512 წევრით. ამ სოფლის 97% კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. ეს ბოლშევიკური კოლმეურნეობა ამჟამად მილიონეხია, ის საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო არტელია აჭარაში. მისი წევრები შეძლებული არიან.

კოლმეურნეობას აქვს 127 ჰექტარი ჩაი (მათ შორის, მოსავლიანი 108 ჰექტარი). 24,5 ჰექტარი მანდარინი, ნახევარი ჰექტარი ციტრუსუფონთა სანერგე, 18 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 6 ჰექტარი ტუნგო, 23 ჰექტარი სიმინდი, 7 ჰექტარი ბრინჯი, 58 სული პირუტყვი, საკუთარი ავტომანქანა და სხვა. კოლმეურნეობას აქვს აგრეთვე 24 სამეურნეო მშენებლობა, მათ შორის, 1935 წელს აგებული ბოსელი 60 სული პირუტყვისათვის, სასილოსე კოშკი 35 ტონის ტევადობის, სასუქების შესანახი, მანდარინი 4 საწყობი, კლუბი და გარაჟი სამი მანქანისათვის.

წელს კოლმეურნეობა დამატებით გააშენებს შვიდ ჰექტარ ჩაის, 22 ჰექტარ ტუნგოს და ერთ ჰექტარ ციტრუსებს, ხოლო ამავე დროს სანერგეს აღიდებს 3 ჰექტრამდე.

ჩაის კულტურის აგროტექნიკის დაუფლებისა და ყველა ბუჩქისადმი ინდივიდუალური მიდგომის შედეგად, კოლმეურნეობამ მიაღწია ჩაის სარეკორდო მოსავლიანობას: 1935 წ. მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 352700 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი – გეგმის 107,8 % აქედან 91,4 % პირველი ხარისხისაა. სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ჩაის მწვანე ფოთოლში კოლმეურნეობამ მიიღო 1050950 მან. გარდა ამისა, 29286 კილო ჩაის თესელში

მიიღო 87643 მან. თითოეული სრულმოსავლიანი ჰექტარიდან მოკრეფილია 3254 კილოგრამი. მაგრამ ეს არ არის ზღვარი. მე-15 ბრიგადამ (ხელმძღვანელი პრაკ გონიადი) მასზე გაპიროვნებული 5,78 ჰექტარი პლანტაციიდან მოკრიფა 25124 კილოგრამი: აქედან პირველი ხარისხისაა 93,6 პროცენტი. ბრიგადამ ზოგიერთ ნაკვეთზე მოკრიფა 6200 კილოგრამი. მე-13 ბრიგადამ (ხელმ. ამხ. ირ. სიდროპულა) მოკრიფა ჰექტარზე საშუალოდ 3728 კილოგრამი, ხოლო ზოგიერთი ნაკვეთიდან კიდევ მეტი.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა აგრეთვე 3 მილიონი ცალი მანდარინი. ამნაირად ვოროშილოველების საერთო შემოსავალი 1935 წ. უდრიდა 1761650 მან. შრომადღეზე მოდის 15 მან. 63 კაპ ფულად, გარდა ამისა – ბრინჯი, სიმინდი, თაფლი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ თვითოეულმა კოლმეურნემ რამდენიმე ათასი მანეთი მიიღო აგრეთვე შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებული მანდარინიდან. პერიკლე ხრისტესომიდიმ ცოლთან და შვილთან ერთად გამოიმუშავა 935 შრომადღე და მიიღო 17185 მან. თედორე კოკოსიდიმ კოლმეურნეობიდან და თავისი საკარმიდამოდან მიიღო 20000 მანეთი, ილია სილიდიმ – 19000 მანეთი, 60 წლის მოხუცი იუსუფ ჯინჭარაძის ოჯახმა მიიღო 22000 მან. და ა.შ.

ვოროშილოველების შეძლებულობაზე ლაპარაკობს ისიც, რომ დაგვის სასოფლო კოოპერატივიდან, რომელიც ემსახურება ვოროშილოვის კოლმეურნეობას, ვოროშილოველებმა მარტო გასულ წელს შეიძინეს 300 რკინის ლოგინი, 900 ვენური სკამები, პალტოები, პატეფონები და სხვა.

ვოროშილოველები ცხოვრობენ შეძლებულად და კულტურულად, კოლმეურნეები სწავლობენ ხშირად, დადიან თეატრში, კოლმეურნეობას აქვს საკუთარი სასულე ორკესტრი, ჰყავს მუსიკის მასწავლებელი, 80 კოლმეურნემ ზაფხული კურორტზე გაატარა.

ძველად დაგველი ბერძნები თავის პატარა მიწებზე თესდნენ სიმინდსა და ლობიოს, ხორციის ჭამაზე კი მხოლოდ ოცნებობდ-

ნენ. თვითმპყრობელობა და მენშევიკები აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს და მტრობას, დღეს ძირფესვიანად გამოცვლილია ყველაფერი. დაგველები, ისე როგორც ყველა მშრომელი ჩვენ დიად საბჭოთა კავშირში, საამჟურად ცხოვრობენ. პარტიამ, ლენინ-სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ შეუქმნა ყველა ერს ყველა პირობა ძმური, საამჟური, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ამხ. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ამხ. ქრისტო ლავასასი. ის საქართველოს ცაკის წევრია, კოლმეურნეობის ორგანიზატორი და შესანიშნავი ხელმძღვანელი. დაგველი ბერძნების გადმოცემით, ისინი ამ სოფელში სახლობენ 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ როცა ისინი თურქებმა აიძულეს დაეტოვებინათ მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიები.

### გეხასიმე ანდიუაძე

გერასიმე პანაიტის ძე ანდრეადი დაიბადა 1912 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის მუშაობდა დაგვის კოლმეურნეობის აგრონომად,



1945 წლიდან მისი ხელმძღვანელობით დაგვის კოლმეურნეობამ 33,4 ჰექტარი ჩაის პლანტაციების თითოეულ ჰექტარზე 5295 კილოგრამი ხარისსოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანა, რისთვისაც გერასიმე ანდრეადის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1949 წლის 17 აგვისტოს სოციალისტრი შრომის გმირის წოდება მიენიჭა და ლენინის ორდენი გადაეცა.

როცა დაგვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლეგენდარული პიროვნება ქრისტოვორე ლავასასი 1957 წელს დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, კოლმეურ-

ნეობის თავმჯდომარედ დაგველებმა გერასიმე ანდრუადი აირჩიეს. იგი წარმატებით უძღვებოდა ამ დიდ საქმეს 17 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

გარდაიცვალა 1993 წელს.

### პეჩიყე ჯასიყეიდი

პერიკლე ლუკას ძე კასიტერიდი ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში 1918 წელს დაიბადა. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, ის დაგვის კოლმეურნეობის მეორე



ბრიგადის მეორე რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს, რგოლმა მე-9 ხუთწლედის მე-4 წელს 4,25 ჰექტარზე ორმოცდაცხრა ათას ასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის მოკრეფა ივალდებულა და ვალდებულებას სამი ტონით გადააჭარბა.

პერიკლე კასიტერიდს, როგორც რგოლის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1949 წლის 29 აგვისტოს ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით, პერიკლე კასიტერიდის რგოლმა ჩაის საჰექტარო მოსვლიანობის გაზრდა 14500 კილოგრამამდე გადაწყვიტა, რაც პირნათლად შეასრულა.

### ქისტეფოხე ლავასასი

ქრისტეფორე ელეფთერის ძე ლავასასიმ 14 წლისამ დაიწყო შრომათი საქმიანობა. 1931 წელს იგი დაგვის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა, ხოლო 1933 წელს დაგვის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. მან დაგვაში დაიწყო ჩაისა და ციტრუსის მასობრივად გაშენებისათვის ზრუნვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1949 წელს 23,4 ჰექტარი ჩაის ფართობიდან ყოველ ჰექტარზე 5235 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოყვანისთვის კოლმეურნეო-



ბის თავმჯდომარეს ქრისტეფორე ლავასას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. მისი ხელმძღვანელობით დაგვის კოლმეურნეობამ 450 ჰექტარი ჩაი და ციტრუსი გააშენა. მან თავისი პატიოსნობით და ნაყოფიერი შრომით საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. ქ. ლავასასი 1957 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 1963 წელს.

### ანესტი მუხადოვი



ანესტი ქრისტეფორის ძე მურადოვი დაიბადა 1908 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. 1934-1947 წლებში ის სათავეში ედგა დაგვის კოლმეურნეობის №1 ბრიგადას. 1948 წელს მოსაგულელად 400 ძირი მანდარინის სრულმოსავლიანი ნარგავი ჩაიბარა და თითოეული მანდარინის ხისგან 1436 ცალი მანდარინის ნაყოფი მიიღო, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ა. მურადოვი 1969 წელს დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. გარდაიცვალა 1990 წელს.

### ხაჩიამ ზიმეონიძე

ხარლამპ ევრიპიადის ძე ზიმეონიძე დაიბადა 1929 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში, 1944 წელს დაამთავრა დაგვის არასრული საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში რიგით წევრად, მეჩაიედ. ის მალე მერგოლურად აირჩიეს. 1950 წელს მისმა რგოლმა 3,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან თითოეულ ჰექტარზე 9134,8 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე



ფოთოლი მოიყვანა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1951 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი, ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო.

ხარლამპ ეკვიადის ძე სიმენოიდი 1989 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

გარდაიცვალა 1992 წელს.

### გიორგი ჰავციდი



გიორგი პოლიქრონის ძე ჰავციდი დაიბადა 1910 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. დაამთავრა დაგვის დაწყებითი სკოლა და კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველი დღიდან დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობაში რიგით წევრად. აქტიურად მონაწილეობდა ჩაისა და ციტრუსის გაშენებაში. ის ჯერ მერგოლურად, ხოლო შემდეგ ბრიგადირად მუშაობდა. მისმა ბრიგადამ 1950 წელს 13,4 ჰექტარი ჩაის ფართობის თითოეულ ჰექტარზე 8028,7 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1951 წლის 14 ნოემბერს გიორგი ჰავციდს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. მას გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი. გიორგი ჰავციდი 1970 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

გარდაიცვალა 1995 წელს.

### სოფო სიმველიძე

სოფო დიმიტრის ასული სიმველიძე დაიბადა 1923 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. იქვე დაამთავრა დაწყებითი სკოლა და საკოლმეურნეო შრომაში ჩაება. მუშაობა დაიწყო დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში რიგით წევრად, მქნაიედ.





1948 წელს მასზე გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 7957 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ დიდი წარმატებისათვის სოფო სიმეულიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი, ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო.

გარდაიცვალა 1983 წელს.

### ალკივიდე სიმეულიძე



ალკივიდე ივანეს ძე სიმეულიძე დაიბადა 1908 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში, დაამთავრა დაგვის დაწყებითი სკოლა და საკოლმეურნეო შრომაში ჩაება. მუშაობდა რიგით წევრად, მეჩაიედ. რგოლის ხელმძღვანელად. 1944 წელს ბრიგადის წევრებმა იგი ბრიგადირად აირჩიეს. მისმა ბრიგადამ 1950 წელს 11,3 ჰექტარი ჩაის ფართობის თვითოეულ ჰექტარზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 7604 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით ალკივიდე ივანეს ძე სიმეულიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. ის 1968 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე, მაგრამ კვლავ აგრძელებდა საკოლმეურნეო საქმიანობას. გარდაიცვალა 1995 წელს.

### სატყე ემინაძე

სატყე მემედის ასული ემინაძე ქობულეთის რაიონის დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, მეჩაიე, ყოველწლიურად სანიმუშოდ უგვლიდა ჩაის პლანტაციას. დროზე ატარებდა



ჩაის პლანტაციაში აგროწესებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რის შემდეგ ყოველწლიურად ჩაის ფოთლის მაღალ მოსავალს ღებულობდა. 1948 წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე მოკრიფა 6085 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სატიჯე ემინაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### ფეოფილაქტ ნეამიდი



ფეოფილაქტ ხრისტეფორეს ძე ნეამიდი დაიბადა 1906 წლის 10 აპრილს, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. დაამთავრა სოფლის ახალგაზრდობის წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა, ჩაება საკოლმეურნეო შრომაში და მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში ციტრუსების ბაღების მომვლელად მუშაობდა.

სანიმუშოდ უვლიდა ნარგავებს, დროულად ატარებდა აგროწესებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, მან 1948 წელს მასზე გაპიროვნებული 400 მსხმოიარე სრულასაკოვანი მანდარინის ძირიდან საშუალოდ 1224 ცალი მანდარინი მოკრიფა. რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი, „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“, ნეამიდი ფეოფილაქტი 1966 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 1990 წელს.

### სტილინა საღვაჩიძე

სტილინა ივანეს ძე საღვარიდი დაიბადა 1923 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. იქვე დაამთავრა დაწყებითი სკოლა და მუშაობა დაიწყო დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურ-



ნეობაში, რიგით წევრად – მეჩაიედ. სანიმუშოდ უვლიდა მასზე მიმაგრებულ 0,5 ჰექტარ ჩაის ფართობს და გადაჭარბებით ასრულებდა გვემებს.

მალე სტილინა საღვარიდი მეჩაიეებმა მერგოლურად აირჩიეს, მისმა რგოლმა 1948 წელს 2,1 ჰექტარი ჩაის ფართობიდან თითოეულ ჰექტარზე 8098 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო, სტილინა საღვარიდი პენსიაში გასვლამდე ჩაის პლანტაციებში მუშაობდა. გარდაიცვალა 1994 წელს.

### ლაზარე კიმიციდი



ლაზარე დიმიტრის ძე კიმიციდი დაიბადა 1918 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. დაგვის დაწვევითი სკოლის დამთავრების შემდეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, აქტიურ მონაწილეობას ებუღებდა ჩაისა და ციტრუსის გაშენებაში, რისთვისაც რგოლის წევრებმა აირჩიეს მერგოლურად. 1950 წელს ლაზარე კიმიციდის რგოლმა 2 ჰექტარი ჩაის ფართობიდან თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 8128 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ წარმატებისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 14 ნოემბრის ბრძანებულებით ლაზარე კიმიციდს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი - ნამგალი და ურო, ის პენსიაში გასვლამდე მუშაობდა მეჩაიედ. გარდაიცვალა 1995 წელს.

## ჯალიოზ ჰავციდი



ჯალიოზ ანესტის ასული ჰავციდი დაიბადა 1910 წლის 15 ოქტომბერს, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა მეჩაიედ. სისტემატურად და გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს. 1948 წელს მან 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6619 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1949 წლის 29 აგვისტოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. ის დამსახურებულ პენსიაზე გავიდა 1970 წელს. გარდაიცვალა 1995 წელს.

## ოლღა მუხადოვი



ოლღა პეტრეს ასული მურადოვი დაიბადა 1923 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. მუშაობდა ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის დაგვის კოლმეურნეობაში მეჩაიედ. ოლღა მურადოვმა 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6365 კგ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით ოლღა მურადოვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. გარდაიცვალა 1990 წელს.

## ელენე კასიტყიძი

ელენე ქრისტეფორეს ასული კასიტყიძი დაიბადა 1922 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. მუშაობდა დაგვის კოლმეურნეობის მეჩაიედ, სანიმუშოდ უვლიდა ჩაის პლანტაციას, დროულად



ატარებდა აგროწესებით გათვალისწინებულ სამუშაოებს და ყოველწლიურად ჩაის ფოთლის მაღალ მოსავალს ღებულობდა. 1948 წელს მასზე გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6215 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1949 წლის 19 აგვისტოს ელენე კასიტერიდს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1984 წელს.

## ბობოყვათის ჯორძეუხნეობა

### ვახტო კონცელიძე



ვარლო მურადის ასული კონცელიძე ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის წევრი იყო. მან 1948 წელს 0,5 ჰექტარ ჩაის ფართობზე მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6007 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც 1949 წელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ლენინის ორდენით დაჯილდოვდა და სოციალისტური შრომის გმირი წოდება მიანიჭა. 1951 წელს იგივე ფართობზე 11000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, და ლენინის მეორე ორდენი დაიმსახურა.

ვ. კონცელიძემ მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში დაამთავრა, ხოლო 1961 წელს დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით და აღამბრის აგროქიმიური ლაბორატორიის აგრონომად მუშაობდა.

### მამია (მამუდ) გოგიტიძე

მამია ჯემალის ძე გოგიტიძე დაიბადა 1920 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მამია გოგიტიძე შრომით საქმიანობაში ჩაება, 1945 წლიდან



ბობოყვათის კოლმეურნეობაში მერგოლურად მუშაობდა, 2 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 8589 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და ჩააბარა სახელმწიფოს. რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, ლენინის ორდენით დაჯილდოვდა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

მამია გოგიტიძე შემდეგ მუშაობდა კოლმეურნეობის აგრონომად, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

მან სამშობლოს 5 შვილი აღუზარდა, 2000 წლის ოქტომბერში ბობოყვათელებმა დაბადების 80 წლის იუბილე გადაუხადეს.

მამია გოგიტიძე გარდაიცვალა 2014 წელს.

### ლევან ნელეიძე



ლევან ალექსანდრეს ძე წულუკიძე დაიბადა 1918 წელს, ქობულეთის რაიონ სოფელ ბობოყვათში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობა ქობულეთის სამხედრო კომისარიატში დაიწყო, შემდეგ ხუცუბნის ციტრუსების შემფუთავი ქარხნის დირექტორი იყო. 1944 წელს ქობულეთის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს, შემდეგ – ქობულეთის

ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. იყო ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. 1951 წლის 1 სექტემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 83,8 ჰექტარი ჩაის ფართობის თითოეულ ჰექტარზე 5098 კილოგრამი ხარისხიანი ჩაის ფოთლის მოყვანისათვის, ლენინის ორდენით დაჯილდოვდა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ლევან წულუკიძე არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1952 წელს კოლმეურნეობამ ერთ შრომადღეზე გაანაწილა 35 მანეთი.

ლევან წულუკიძე 1953-1958 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონ-

ული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ, ჩაქვის ჩაის საბჭო-თა მეურნეობის დირექტორად, ხილ-ბოსტანგაჭრობის აჭარის რესპუბ-ლიკური სამმართველოს უფროსად, აჭარის მინისტრთა საბჭოს შრომი-თი რესურსების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ. 1975 წლიდან იყო ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ქობულეთის ტუნ-გოს ქარხნის დირექტორი. ლ. წულუკიძე გარდაიცვალა 1992 წელს.

### ნახევი მახახაძე



ნარგული სკენდერის ასული მახარაძე დაიბადა 1923 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. 1937 წელს დაამთავრა ბობოყვათის არასრული საშუალო სკლა და მაშინვე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა ბობოყვათის კოლმეურნეობაში მეჩაიედ. 1947 წელს რგოლის წევრებმა ის მერგოლურად აირჩიეს. მისმა რგოლმა 1948 წელს 2,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 8442 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, ნარგული მახარაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

### გულნაზ მახაძე



გულნაზ ნურის ასული მახაძე დაიბადა 1925 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში. სოფელ ბობოყვათში გათხოვდა ჩაება საკოლმეურნეო შრომაში.

იგი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა მასზე მიმაგრებული ჩაის პლანტაციიდან ჩაის ფოთლის კრეფის გეგმას.

1949 წლის 29 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის, ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

გულნაზ მახაძე 1972 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა.

## ქეთო გოგიტიძე



ქეთო ახმედის ასული გოგიტიძე დაიბადა 1946 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მენაიედ მუშაობა დაიწყო.

1966 წლის 2 აპრილს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მენაიეობაში მიღწეული დიდი წარმატებისათვის ქეთო გოგიტიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

1970 წელს ქეთო გოგიტიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, 1974 წელს – მეორედ. იგი ასევე არჩეული იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად და საკავშირო ალკკ ცეკას ბიუროს წევრად.

## თევზათ ჯინჭარაძე

თევრათ ოსმანის ძე ჯინჭარაძე დაიბადა 1912 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა სოფლის დაწეებითი სკოლა და აქტიურად მონაწილეობდა სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებაში. წლების განმავლობაში მუშაობდა კოლმეურნეობაში მენაიედ, შემდეგ – მენაიეთა რგოლის ხელმძღვანელად.

1950 წელს თევრათ ჯინჭარაძის რგოლმა 2,5 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა 10201 კგ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თევრათ ჯინჭარაძეს 1951 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. თევრათ ჯინჭარაძე 1972 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. იგი გარდაიცვალა 1988 წელს.

## გუგული ჯინჭარაძე

გუგული ოსმანის ასული ჯინჭარაძე დაიბადა 1920 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. დაწეებითი განათლება თავის სოფელში მიიღო.



1935-1940 წლებში ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრად მუშაობდა. ხოლო 1940-1943 წლებში ბათუმის რაიონის სოფელ ყოროლისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრად. შემდეგ ისევ დაბრუნდა ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობაში.

გუგუელი ჯინჭარაძე ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1949 წლის 5 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა და მიენიჭა სოციალისტური შრომის გამირის წოდება შემდგომში. ის მეორედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

გუგუელი ჯინჭარაძე ქობულეთის რაიონის ხუცუბნის №336 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა, 1951 წლის 18 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. გარდაიცვალა 1990 წელს.

### მაყვალა ჯინჭარაძე

მაყვალა თევრათის ასული ჯინჭარაძე დაიბადა 1937 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში, 1953 წელს დაამთავრა ბობოყვათის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში რიგით წევრად მენაიედ.

მაყვალა ჯინჭარაძე გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა, რისთვისაც 1966 წლის 7 მარტის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას სოციალისტური შრომის გამირის წოდება მიენიჭა.



სამი სოციალისტური შრომის გამირი ერთი ოჯახიდან – თევრათ, მაყვალა და გუგუელი ჯინჭარაძეები

## ხასან გათენაძე



ხასან უსუფის ძე გათენაძე დაიბადა 1910 წელს, სოფელ ბობოყვათში. დიდი სამამულო ომის შემდეგ მუშაობდა ბობოყვათის კოლმეურნეობის აგრონომად. მისი ენერგიული მუშაობის შედეგად, 1950 წელს კოლმეურნეობამ 83,8 ჰა. ჩაის პლანტაციიდან თითოეულ ჰექტარზე 5093 ცილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიწია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით, ხასან გათენაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. ხასან გათენაძე გარდაიცვალა 1999 წელს.

## ჯემალ გომიხაძე



ჯემალ მემედის ძე გიორგაძე დაიბადა 1915 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. 1941 წლიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში.

მუშაობდა ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიედ.

1948 წელს ჯემალ გომიტიძემ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 7359 კგ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, მას გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“.

ჯემალ გიორგაძე 1951 წელს მეორედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. გარდაიცვალა 1996 წელს.

## უსუფ კონცელიძე



უსუფ ილიასის ძე კონცელიძე დაიბადა 1928 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. 1932 წელს მუშაობა დაიწყო ქობულეთის რაიონის ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიედ. 1949 წელს, 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6096 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით, მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი. უსუფ კონცელიძე 1970 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში და გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 1974 წელს.

## ბადრია მახაძე



ბადრია ოსმანის ასული მახაძე დაიბადა 1922 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. ახალგაზრდობიდანვე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიედ. 1948 წელს მასზე გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6058 კგ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. ბ. მახარაძე გარდაიცვალა 1992 წელს.

## ნაზიკო კონცელიძე

ნაზიკო ჯემალის ასული კონცელიძე დაიბადა 1927 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. 1943 წელს დაამთავრა ქობულეთის



თის რაიონის სოფელ ბობოყვათის 8 - წლიანი სკოლა და სწავლა გააგრძელა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში უმცროსი აგრონომის სპეციალობაზე. თან მშობლიურ სოფელში კოლმეურნეობაში რიგით მენაიედ მუშაობდა. 1948 წელს ნახევარ ჰექტარ ჩაის ფართობზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6007 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, უმეტესობა პირველი ხარისხის იყო, რისთვისაც 1949 წლის აგვისტოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“. ნაზიკო კონცელიძე გარდაიცვალა 1992 წელს.

### ბესიყე ჯონცელიძე

ბესირე მუხამედის ასული კონცელიძე დაიბადა 1927 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საკოლმეურნეო შრომაში ჩაება, 1947 წლიდან მუშაობდა ბობოყვათის კოლმეურნეობაში მერგოლურად.



ბესირე კონცელიძის რგოლმა 2 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა 8015 კგ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1948 წლის 4 ივლისს გაზეთი „აჭარა“, (№132,) წერდა: „1948 წლის თებერვლის ცივი ღრუბლიანი დღე იდგა. ბუხართან ცეცხლი გიზგიზებდა. ბესირე და მუხამედი ტკბილად საუბრობდნენ, ეზოში ვიღაცამ ბესირეს უხმო იგი სწრაფად გავიდა... შემოსვლა რომ დაავიანდა, დედამ ვერ მოითმინა, იეჭვიანა დედის გულმა. რაღაც იგრძნო რუქიემ და შვილის დასახედად გავიდა.

– მომილოცავს, ბედნიერი დედა ხარ, რუქიე, ბედნიერიო! რუქიეს არც კი გაუგონია ყმაწვილის მილოცვა – შვილს დაეკითხა. კიდევ დაგწერეს შვილო გაზეთში? ბესირე კი სიყვარულით მოეხვია და წამოიძახა:

– გმირი შვილი გყავარ დედა, გმირი! და ოთახში მოგიზგიზე ბუხრის წინ მჯდომ მამასთან მიირბინა. მუხამედმა კი, თითქოს

არაფერი მომხდარაო, წყნარად ჩამოართვა ბესირეს გაზეთი, გრძელი ყალიონი გააჩაღა.

– ბედნიერი ახალგაზრდობა გაქვთ შვილო! ჩემს სიტყბუკეში ვინ აღირსებდა ქალიშვილს ასეთ სიხარულს?

ბესირე კონცელიძეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 20 თებერვალის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“.

ბესირე კონცელიძე 1980 წლის იანვარში გარდაიცვალა.

### აიშე გოგიტიძე



აიშე ქემალის ასული გოგიტიძე დაიბადა 1928 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში, 1942 წელს ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1948 წელს, აიშე გოგიტიძემ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 9040 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, რაც სარეკორდო მოსავალი იყო. ამ წარმატებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. აიშე გოგიტიძე 1953 წლიდან სოფელ ციხისძირში იყო გათხოვილი და იქ ცხოვრობდა. მან სამჯერ დაიმსახურა ლენინის ორდენი ჩაის კრეფაში. გარდაიცვალა 2017 წლის 17 აპრილს.

### ბესიხე ნემსაძე



ბესირე სულეიმანის ასული ნემსაძე დაიბადა 1928 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. ის ახალგაზრდობიდანვე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობდა ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიედ. მან 1948 წელს, 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6331 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც, სსრ კავშირის

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

### ქვესი შამილიშვილი

ქეთო (ქვესერ) ხასანის ასული შამილიშვილი დაიბადა 1930 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში, გლეხის ოჯახში, დედ-მამას – აიშე მესხიძეს და ხასან შამილიშვილს. ჰყავდათ ხუთი შვილი, ქეთო პირველი შვილი იყო. გოგონა საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. შემდეგ ცოლად გაჰყვა ბობოყვათელ შუქრი ვერულიძეს. 1948 წლიდან მუშაობდა ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიედ. 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6347 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც, 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ქვესერ (ქეთო) შამილიშვილი 1986 წელს გავიდა პერსონალურ პენსიაზე და შემდეგაც აგრძელებდა მეჩაიედ მუშაობას. იგი 2010 წელს გარდაიცვალა.



### თინა (ბეჩია) ოსმანის ასული მახაძე

თინა (ბერდია) ოსმანის ასული მახაძე დაიბადა 1931 წელს, ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათში. დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში მეჩაიედ მუშაობა დაიწყო, თუმცა სკოლაში სწავლის დროსაც ეხმარებოდა მშობლებს ჩაის კრეფაში. 1948 წელს თინა ოსმანის ასული მახაძე უკვე მოწინავე მეჩაიეთა რიგში იყო. ამ წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე, სანიმუშო მოვლით, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6058 კგ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თინა (ბერდია) ოსმანის



ასულ მახადეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა და გადასცა ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“ და ლენინის ორდენი. ამ დროს იგი მეათე კლასის მოსწავლე იყო. თინა მახადემ დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი და ცოლად გაჰყვა წონიარისელ უშანგი ბასილაძეს, რომელიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობდა.

თინა მახადე ჯერ ქედის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობდა, შემდეგ შუახევის საშუალო სკოლის მასწავლებლად. შუახევიდან ქობულეთის №1 საშუალო სკოლის მასწავლებლად გააგრძელა მუშაობა და ბოლოს თავის საყვარელ მშობლიურ სოფლის სკოლაში დამკვიდრდა. გაკვეთილებს რომ ჩაატარებდა, ჩაის პლანტაციას აგრძელებდა მუშაობას. თინა მახადემ და უშანგი ბასილაძემ შექმნეს შესანიშნავი ოჯახი. ქვეყანას აღუზარდეს სამი შვილი, რომლებსაც მიაღებინეს უმაღლესი განათლება.

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თინა მახადეს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

1976 წელს თინა მახადე ავადმყოფობის გამო პერსონალურ პენსიაზე გავიდა.

იგი გარდაიცვალა 1994 წელს. დაკრძალულია სოფელ ბობოყვანში.

## ხუცუნის უცნობეობა

„სოფელი ხუცუნის კიდევ უფრო კეთილმოწყობილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე. რაც უფრო დრო მიდის, მით უფრო ღამაზდება და მშვენიერდება ჩვენი სოფელი. ახლა ხუცუნის პატარა ქალაქს მოგაგონებთ თავისი ქუჩებითა და კაპიტალური ნაგებობებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სამრეწველო საწარმოებით და ტექნიკური აღჭურვილობით. აქ არის ჩაის ფაბრიკა, ციტრუსების შემფუთავი ქარხანა, ფოსტა-ტელეგრაფი, სამალარიო პუნქტი, საექიმო უბანი, აფთიაქი, სკოლები, კლუბი, სამკითხველოები, ხუცუნელთა ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა რადიო და კინო. სოფელში მოსახლეობის ბინებზე ილიჩის ნათურები ანათებენ. ამ უკანასკნელი 3-4



„საპროექტო-საინჟინერო კონსტრუქციის კონსტრუქცია“

წლის მანძილზე კულტურულ საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას ორსართულიანი ქვითკირის სახლები აქვთ აშენებული. სოფელ ხუცუბანში არის ერთი საშუალო, ორი შეიღწლიანი და ერთი დაწყებითი სკოლა, რომელშიც 625 მოსწავლე სწავლობს და მათ ასწავლის 50 მასწავლებელი. შარშან დამთავრდა საშუალო სკოლის მშენებლობა, რომელზედაც ი.ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გაიღო 313022 მანეთი, ასევე დამთავრდა კინკიშ ჰესის მშენებლობა.

გათვალისწინებულია, სოფელ ხუცუბანის ცენტრში აგებული იქნას კულტურის სახლი, სასოფლო სააგადმყოფო, საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი, მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელი სახლი, აბანო, სასოფლო გზების მოასფალტება და სტალინის მოწყობა, რაზედაც კოლმეურნეები არ ზოგავენ სახსრებს. ი.ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტალინის მშენებლობისათვის გამოყოფილი აქვთ 45000 მანეთი. აღნიშნული მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 1960 წლისათვის. სოფლის ცენტრში არის 1 ჩაის ფაბრიკა, რომელმაც ააგო ერთი სახლი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი, სადაც ცხოვრობენ მუშა-მოსამსახურეები. ასევე შემფუთავ ქარხანასაც გააჩნია მუშა მოსამსახურეებისათვის 2 ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა.



1957 წელს სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი შეადგენდა 8100000 მანეთს. აქედან განუყოფელ ფონდში გადაირიცხება 1215000 მანეთი. რატომა უნდა ეს საშუალებას იძლევა დიდი სახსრები გამოყონ მასობრივ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

კულტურულ საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის განხორციელებისათვის სოფელ ხუცუბნის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ მასხარაზის რაიონის მშრომელთა ინიციატივას.”

გაზეთი ქობულეთელი კოლმეურნე №143 1957 წლის 5 დეკემბერი გ. მეგრელიძე

### აიშე (ასმათ) ჯიჯავაძე

აიშე (ასმათ) მემედის ასული ჯიჯავაძე დაიბადა 1910 წელს, ქობულეთის რაიონის ქვედა ულიანოვკაში. 1926 წლიდან ის ხუცუბანში ცხოვრობს, 1930 წლიდან ებმება საკოლმეურნეო შრომაში. 1946 წელს ბეჯითი მამაცური შრომისათვის დააჯილდოვეს.



1948 წელს ხუთი შვილის დედა მეორე ხარისხის მედლით დააჯილდოვეს ჩაის რეკორდული მოსავლის მიღებისათვის.

1949 წლის 3 სექტემბერს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება გადაეცა. ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო” და ლენინის ორდენი.

1968 წელს აიშე ჯიჯავაძეს საკავშირო მნიშვნელობის პენსია დაენიშნა. გარდაიცვალა 2005 წელს.

### ბუღი ჯიჯავაძე

ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის წევრი გული ხუსეინის ასული ჯიჯავაძე დაიბადა 1924 წელს.

ის ახალგაზრდობიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მაღე რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს და დღიურად 70 კილოგრამ პირველი

ხარისხის ჩაის ფოთოლს კრეფდა. თან სათანადოდ უვლიდა პლანტაციას. 1948 წელს გულიკომ 806 შრომადღე გამოიმუშავა 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 6329 კგ. ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა, ის ერთ ოჯახში მეორე გმირი იყო. დედის – აიშე ჯიჯავაძის შემდეგ.



### აიშე ჯიჯავაძე

ასმათ ყიზეთის ასული ჯიჯავაძე დაიბადა 1904 წელს, სოფელ ჭახათში. ის 1920 წლიდან ცხოვრობდა სოფელ ხუცუბანში, მან ბედი დაუკავშირა ხუცუბნელ დავით ჯიჯავაძეს. დიდი სამამულო ომის დროს გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა აიშე ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც მიენიჭა. მეორედ მიიღო ლენინის ორდენი 1948 წელს. მან ლენინის ორდენი მესამედაც დაიმსახურა. ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ მისი შვილები უფროსი ვაჟი ავთანდილი, ხოლო ქალიშვილი მერიკო სოციალისტური შრომის გმირი გახდა.



ასმათ ჯიჯავაძის რგოლმა ორ ჰექტარ ფართობზე 30 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის მოკრიფა იკისრა, რაც 250 პროცენტით შეასრულა.

ასმათ ჯიჯავაძე მოწინავე მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირი, ლენინის სამი ორდენის მფლობელი ქობულეთელებმა საქართველოს მესამე და მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მეუღლე დავითი ისიც ლენინის ორდენოსანი, ძნელბედობის დროს, როცა ქვეყანა ჰიტლერებს ებრძოდა ხუცუბნის მოწინავე კოლმეურნეობის ხელმძღვანელი იყო. ასმათ ჯიჯავაძე 1962 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე, ის 1985 წელს გარდაიცვალა.

## მეჩიკო მუჟანაძე



მერიკო მუჟანაძის ასული მუჟანაძე დაიბადა 1921 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხუცუბნის კოლმეურნეობის წევრად მენაიედ. 1948 წელს მასზე მიმაგრებულ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 6300 კგ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, ეს სარეკორდო მოსავალი იყო, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“.

1976 წელს იგი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა მაგრამ 1986 წლამდე განაგრძობდა მენაიედ მუშაობას. მერიკო მუჟანაძე გარდაიცვალა 2005 წელს.

## უღფეთ შაქაიშვილი



უღფეთ ახმედის ასული შაქარიშვილი დაიბადა 1932 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. მშობლიურ სოფელში მიიღო საშუალო განათლება და მუშაობა დაიწყო სოფლის კოლმეურნეობაში მენაიედ. 1949 წელს, მასზე მიმაგრებული 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6331 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც უღფეთ შაქარიშვილს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 9 ივლისის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

### გუგული შაქაიშვილი

გუგული აღის ასული შაქარიშვილი დაიბადა 1932 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. 1946 წელს სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობაში მეჩაიედ . ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებდა გეგმა-დავალებას.



1948 წელს გუგული შაქარიშვილმა 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და მოკრიფა 6001 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც 17 წლის ახალგაზრდას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა

ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 50 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა 1982 წლის ივნისში.

### მერიკო ოთიაშვილი

მერიკო ხასანის ასული ოთიაშვილი დაიბადა 1928 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. ხუცუბნის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1943 წელს ჩაება საკოლმეურნეო შრომაში.



მერიკო ოთიაშვილმა 1948 წელს მასზე გაპიროვნებული 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6259 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ წარმატებისათვის მას 1949 წლის 29 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო.“ მერიკო ოთიაშვილმა ოჯახი

შექმნა სოფელ წყავროკაში. 1983 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე, გაზარდა 4 შვილი. გარდაიცვალა 2009 წელს.

### ფეხიდე დავითაძე



ფეხიდე სულეიმანის ასული დავითაძე დაიბადა 1927 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში, 1942 წელს სოფლის სკოლაში არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობის მერგოლურად. მისმა რგოლმა 2 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა 8098 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### ემინე გოგიტიძე



ემინე მეჯიდის (მიხეილის) ასული გოგიტიძე დაიბადა 1924 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. დაამთავრა თავისივე სოფლის დაწვებითი სკოლა. საკოლმეურნეო შრომაში სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან ჩაება. სანიმუშოდ უეჭვად ახალგაზენებულ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციას. 1948 წელს მან გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა 6123 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“ ემინე გოგიტიძე გარდაიცვალა 1998 წელს.

## მეხი გოგიტიძე



მერი შუქრის ასული გოგიტიძე დაიბადა 1924 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში, 1940 წელს დაამთავრა სოფელ ხუცუბნის 7 - წლიანი სკოლა და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ხუცუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მეჩაიედ. 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და მოკრიფა 6233 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც იმ დროს სარეკორდო იყო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით მერი გოგიტიძეს სოციალისტური შრომის გმირის „წოდება მიენიჭა, გადაეცა“ ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო და ლენინის ორდენი. გარდაიცვალა 1994 წელს.

## ფადიმე ქათამაძე



ფადიმე ხასანის ასული ქათამაძე დაიბადა 1926 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. დაამთავრა სოფლის სკოლის 8 კლასი და საკოლმეურნეო შრომაში ჩაება. დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდან ჩაის კრეფაში ტოლს არ უდებდა მოწინავე მეჩაიებს. 1948 წელს მან გაპიროვნებული 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6288 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1995 წელს.

## ეთეხ ნოლაიძე

ეთერ მემედის ასული ნოლაიძე დაიბადა 1925 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. 1940 წელს დაამთავრა ხუცუბნის



არასრული საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში მენაიედ – შემდეგ მუშაობდა კოლმეურნეობის მერგოლურად. მან 1948 წელს 2 ჰექტარი ჩაის ფართობის თითოეულ ჰექტარზე 11474 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც 1949 წლის 29 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. 1950 წლის 4 იანვარს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ ეთერ ნოღაიდელი წერდა: „სოციალისტური შრომის გმირებმა მედიკო და ემინე გოგიტიძეებმა შარშან მათთვის მიჩნეულ ნაკვეთებზე 7-8 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. მთლიანად ჩვენმა რეოლმა“ კი ორი ჰექტარი პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე 11474 კილოგრამი. გმირი მენაიე 1997 წელს გარდაიცვალა.

### ბესიხე ნოღაიდელი

ბესირე ნურის ასული ნოღაიდელი დაიბადა 1929 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამებაში. 1945 წელს დაამთავრა ხუცუბანის სკოლის 8 კლასი და კოლმეურნეობაში მენაიედ დაიწყო მუშაობა. 1948 წელს ბესირე ნოღაიდელმა მასზე განპირობებულ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6113 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. გარდაიცვალა 1991 წელს.



ბესირე ნურის ასული ნოღაიდელი დაიბადა 1929 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამებაში. 1945 წელს დაამთავრა ხუცუბანის სკოლის 8 კლასი და კოლმეურნეობაში მენაიედ დაიწყო მუშაობა. 1948 წელს ბესირე ნოღაიდელმა მასზე განპირობებულ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6113 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. გარდაიცვალა 1991 წელს.

### თუნთუქ მჟავანაძე (მონყობიდი)

თუნთუქ სუსეინის ასული მჟავანაძე (მონყობიდი) დაიბადა 1926 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. 1941 წელს, ხუცუბანის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაება



საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობდა მეჩაიედ. 1948 წელს 0,5 ჰექტარ ჩაის ფართობზე მოიყვანა და მოკრიფა 6272 კგ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გამირობის წოდება მიანიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი „ოქროს ვარსკვლავი და ნამგალი და ურო“. გარდაიცვალა 1997 წელს.

### მეჩი შაქიშვილი



მერი ხასანის ასული შაქარიშვილი დაიბადა 1930 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. 1945 წლიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობდა მეჩაიედ, ყოველწლიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. 1948 წელს მიღწეული წარმატებისათვის 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გამირობის წოდება მიენიჭა. გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო.“

### გულვარდ ნემსაძე



გულვარდ ხასანის ასული ნემსაძე დაიბადა 1926 წ. სოფელ ხუცუბანში. ახალგაზრდობიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა ხუცუბანის კოლმეურნეობის მეჩაიედ. 1948 წელს გულვარდ ნემსაძემ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან 6058 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გამირობის

წოდება მიენიჭა.



### ჰეიკე ბაბუცაძე



ჰურიე ახმედის ასული ბაბუცაძე დაიბადა 1930 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. 1946 წლიდან მუშაობდა ხუცუბნის კოლმურნეობის მეჩაიეთა რგოლის ხელმძღვანელად. მისმა რგოლმა 2 ჰექტარი ჩაის ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 9835 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით ჰურიე ბაბუცაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა და გადასცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

### უღბიე გუგუნავა



უღბიე დურსუნის ასული გუგუნავა დაიბადა 1923 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კოლმურნეობაში მეჩაიედ. 1946 წლიდან, ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით ის ცხოვრობდა სოფელ ხალაში. ჩაის კრეფის ყოველდღიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. 1950 წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე მოკრიფა და ჩააბარა 6446 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 1 სექტემბერის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1992 წელს.

## ელვას ჯორმეუხნეობა

### მეჩი მეჯანაძე



მერი მეჯიდის ასული მეჯანაძე დაიბადა 1928 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში, 1947 წლიდან მუშაობას დაიწყო კოლმეურნეობაში მეჩაიედ, პირველ წელს მან 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან 3500 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მეორე წელს უფრო მეტი, 1950 წელს კი იგივე ფართობზე 7000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გამირის წოდება მიენიჭა.

მერი მეჯანაძე 1959 წელს ქობულეთელებმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მერი მეჯანაძე 1962 წელს ფიჭვნარში გათხოვდა და მესამე ბრიგადაში დაიწყო მუშაობა.

გარდაიცვალა 2010 წელს.

### ემინე მესხიძე



ემინე მეველუდის ასული მესხიძე დაიბადა 1927 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში. დაამთავრა სოფლის დაწეებითი სკოლა და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მალე ახალგაზრდა გოგონა მოწინავე მეჩაიეებს ტოლს არ უდებდა, ჩაის ფოთლის კრეფაში საკუთარ გამოცდილებასაც კი უზიარებდა ახალგაზრდებს. დროულად ასრულებდა აგროტექნიკურ ღონისძიებებს და ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი მოჰყავდა.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ემ-

ინე მესხიძის თავდადებულ შრომას.

1948 წელს ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მიღების და მოკრეფისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო 1949 წელს დაჯილდოებული იქნა ლენინის მეორე ორდენით.

ემინე მესხიძე 1951 წლის 18 თებერვალს რაიონის სოფელ ლედვას №63 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ის პენსიაში გასვლამდე მოწინავე მეჩაიე იყო.

გარდაიცვალა 2016 წლის 5 იანვარს.

### ფადიმე მესხიძე



ფადიმე მესხიძე 1927 წელს, სოფელ ლედვაში დაიბადა. 1941 წლიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში და 14 წლისა დღეში 30-40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა. მალე ის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე გახდა.

1967 წელს ფადიმე მესხიძემ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციაზე 12000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, მომდევნო წელს ეს მიღწევა 200 კილოგრამით გაზარდა და ლენინის მეორე ორდენი დაიმსახურა.

### ღაჩიკო (ფერიდე) ქათამაძე

ღარიკო (ფერიდე) ხუსეინის ასული ქათამაძე დაიბადა 1926 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლედვაში. 1941 წელს დაამთავრა სოფლის 8-წლიანი სკოლა და საკოლმეურნეო შრომაში ჩაება. მეშაობდა ლედვას კოლმეურნეობის მეჩაიედ. 1948 წელს ფერიდე ქათამაძემ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან 6274 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ



კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

მალე დარიკო (ფერიდე) ქათამაძე მეორედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. 1962 წელს ქობულეთის №392 ოლქის ამომრჩევლებმა ის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იგი 2017 წლის 20 ნოემბერს გარდაიცვალა.



### ხატყე ბებიძე



ხატყე ხუსეინის ასული გეგიძე დაიბადა 1927 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლედვაში. 1942 წელს ლედვას არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობის მეჩაიე გახდა.

1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6056 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1949 წლის 29 აგვისტოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

გარდაიცვალა 2002 წლის 2 იანვარს.

### ხუჩიე ტაყიძე

ხურიე იუსუფის ასული ტაკიძე დაიბადა 1927 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში. ლედვას არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1945 წლიდან ლედვას კოლმეურნეობის მეჩაიედ დაიწყო მუშაობა. მეჩაიეებმა ხურიე 1947 წელს რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს, მისმა რგოლმა 1948 წელს 2 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოიყვანა და



სახელმწიფოს 8116 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა, რისთვისაც ხურეი იუსუფის ასულ ტაკიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

### ხუჩიე ნაკაშიძე



ხურეი რეჯების ასული ნაკაშიძე დაიბადა 1890 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. 1929 წლიდან ის სოფელ ლეღვას კოლმეურნეობაში მოწინავე მენაივა. 1947 წელს 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან 5000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. 1948 წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე 6017 კგ. რაც რეკორდული იყო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წელს 29 აგვისტოს ბრძანებულებით, მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### თუნთუღ ცაიძე

თუნთუღ იუსუფის ასული ტაკიძე 1930 წლის 5 ივლისს დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში, არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1948 წელს თუნთუღ ტაკიძემ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6397 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.



თუნთუღ იუსუფის ასული ტაკიძე (კახიძის) 2002 წლის 30 მაისს გარდაიცვალა.

## რეხიმე ხახუტაიშვილი

რეხიმე სკენდერის ასული ხახუტაიშვილი დაიბადა 1925 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში, 1939 წელს დაამთავრა სოფლის არასრული საშუალო სკოლა. იმავე წელს დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობაში რიგით წევრად, მენაიედ. რეხიმე ხახუტაიშვილმა თავი გამოიჩინა ჩაის მოვლამოყვანის საქმეში, ის ჩაის კრეფის გეგმას ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. 1948 წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა და მოკრიფა 6013 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. რეხიმე ხახუტაიშვილი 1985 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.



გარდაიცვალა 2002 წლის 17 ივლისს.

## ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეუხნეობა

### კონსტანტინე გოგია

კონსტანტინე გრიგოლის ძე გოგია დაიბადა 1909 წელს, ზუგდიდში. 1928 წლიდან მუშაობდა მასწავლებლად. 1930 წლიდან კომკავშირულ სამუშაოზეა. 1939 წლიდან აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე იყო. 1941 წელს კი პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად აირჩიეს, 1942 წელს კი პირველ მდივნად. 1943 წელს დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაინიშნა 1944 წელს ჩაქვის საბ-



ჭოთა მეურნეობის დირექტორად. მისი ხელმძღვანელობით ჩქარი ტემპით შენდებოდა ჩაის პლანტაციები და დიდი ყურადღება ეთმობოდა ჩაის ხარისხს.

კონსტანტინე გოგიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 5 ივლისს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა, 100,8 ჰექტარი ჩაის ფართობის თითოეულ ჰექტარზე 4368 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოყვანისათვის. იგი არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს მეორე და მესამე მოწვევის დეპუტატად. იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს მესამე მოწვევის დეპუტატი.

გარდაიცვალა 1952 წელს.

### ქსენია ბახტაძე



ქსენია ერმალოს ასული ბახტაძე დაიბადა 1899 წელს, ქალაქ თბილისში, რკინიგზელის ოჯახში, აქვე მიიღო საშუალო განათლება და სწავლა განაგრძო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე, რომელიც 1922 წელს დაამთავრა. 1921 წლიდან მუშაობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის თესლის საკონტროლო სადგურის პრეპარატორად. 1927 წლიდან სამუშაოდ გადადის ჩაქვის ჩაის საცდელი სადგურის უფროს მეცნიერ მუშაკად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ლენინგრადის, მოსკოვის, ოდესის ლაბორატორიებში მეცნიერ მუშაკად.

ქსენია ბახტაძემ 1935 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ჩაის მორფოლოგიური შემადგენლობა საქართველოში“. 1936 წელს გამოქვეყნებული ჰქონდა 10-ზე მეტი ნაშრომი, მისი ხელმძღვანელობით გამოყვანილი იქნა ჩაის 20-ზე მეტი ჯიში.

1941-1973 წლებში ქ. ბახტაძე ჩაის და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალს ხელმძღვანელობდა. 1944 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1949 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1948 წელს ქსენია ბახტაძეს ჩაის სელექციური ჯიშის გამოყვანი-  
სათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. აკადემიკოსი  
ქსენია ბახტაძე 100-ზე მეტი მონოგრაფიისა და ნაშრომის ავტორია.

1966 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.  
მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და აჭარის მეცნიერების დამ-  
სახურებელი მოღვაწის საპატიო წოდება, არჩეული იყო სსრ კავ-  
შირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო ორი  
ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, წითელი დროშის ორდენებით.

ქსენია ბახტაძე გარდაიცვალა 1978 წელს.

### ტატიანა ცინცაძე

ტატიანა მაქსიმის ასული ცინცაძე (მაშინისტოვა) 1927 წელს  
ჩამოვიდა ჩაქვში და ჩაქველ ცინცაძესთან შექმნა ოჯახი. მუშაობა



დაიწყო ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში მეჩაიედ.  
1940 წელს, როგორც მოწინავე მეჩაიე, შრომის  
წითელი დროშა ორდენით დაიმშვენა მკერდი, 1949  
წელს – ლენინის ორდენით, ხოლო 1951 წლის 1  
სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზ-  
იდიუმმა მას სოციალისტური შრომის გმირის  
წოდება მიანიჭა, 0,5 პექტარი ჩაის პლანტაციიდან  
8301 კილოგრამი ჩაის ხარისხიანი ფოთლის და  
მოკრეფისათვის. 1964 წელს მას „საპატიო ნიშნის“  
ორდენი გადაეცა. ტატიანა პენსიაში გასვლის შემ-  
დეგაც მოწინავე მეჩაიე იყო. გარდაიცვალა 1996 წლის 7 იანვარს.

### ვახტანგ მიქელაძე

ვახტანგ ლევანის ძე მიქელაძე დაიბადა 1906 წელს. დაამთავრა  
თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მუშაობდა ლენინის  
სახელობის ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად,  
მთავარ აგრონომად, 1956-1960 წლებში მუშაობდა ჩაქვის ჩაის საბჭო-  
თა მეურნეობის დირექტორად.

ვახტანგ მიქელაძის ხელმძღვანელობით, 1947 წელს მეურნეობამ





100,8 ჰექტარ ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 4368 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვახტანგ მიქელაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### ვერა ფრევევა

ვერა კონსტანტინეს ასული ფრევევა დაიბადა 1926 წელს. 1942 წლამდე მუშაობდა ჩაქვის მეჩაიობის საბჭოთა მეურნეობაში.

ვერა ფრევევას 1949 წლის 5 ივლისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ჩაის უხვი მოსავლისათვის შრომაში მოპოვებული წარმატებისათვის, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ის 1956 წლამდე მუშაობდა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიედ და კვლავ ლენინის ორდენი და შრომის წითელი დროშის ორდენი დაიმსახურა.



ვერა ფრევევა 1957 წლიდან ქობულეთის პურის ქარხანაში მუშაობდა.

იგი 1989 წელს გარდაიცვალა.

### ნესტორი ჯანანდაძე



ნესტორ ანანიას ძე კალანდაძე 1943 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის უფროს აგრონომად, მისი აქტიური მუშაობის შედეგად იყო, რომ 100,8 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე, 1948 წელს, 4388 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანეს, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949

წლის 5 ივლისის ბრძანებულებით ნესტორ კალანდაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

### ვასილ მშვიდლობაძე

ვასილ იოსების ძე მშვიდლობაძე 1946 წლიდან ქობულეთის რაიონის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეობის განყოფილების გამგედ მუშაობდა. 1948 წელს, ციტრუსის ბაღების სანიმუშოდ მოვლით, 7013 მსხმოიარე სრულსაკოვან მანდარინის ხეზე საშუალოდ თითოეულ ძირზე 863 ცალი მანდარინის ნაყოფი მოკრიფა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით ვასილ იოსების ძე მშვიდლობაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.



### უღფეთ ნეხეთეი

უღფეთ (უღბიე) სულეიმიანის ასული წერეთელი დაიბადა 1929 წლის 10 თებერვალს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. მუშაობდა ქობულეთის რაიონის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში მეჩაიედ. 1945 წლიდან რგოლის წევრებმა იგი მერგოლურად აირჩიეს. მისმა რგოლმა 1947 წელს, 2 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 10056 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც უღფეთ წერეთელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.



## ოჩხამურის საბჭოთა მეუღნეობა

### ივანე ფუთუიძე



ივანე სამსონის ძე ფუთუიძე დაიბადა 1906 წელს, ქუთაისის გუბერნიის სოფელ მუხიანში. 1925 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1930 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ნასაკირადის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ აგრონომად. 1937 წელს ლაითურის საბჭოთა მეურნეობის, ხოლო შემდეგ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი იყო. 1941 წელს ივანე ფუთუიძე ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს.

1942-1954 წლებში მუშაობდა ოჩხამურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. ი. ფუთუიძე 1954 წელს აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დააწინაურეს.

1956 წლიდან იგი კვლავ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორია, სადაც პენსიაში გასვლამდე მუშაობდა. მან დიდი წვლილი შეიტანა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეჩაიეობა-მეციტრუსეობის განვითარებაში.

ი. ფუთუიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1951 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულებით, 500 ჰექტარი ჩაის ფართობიდან თითოეულ ჰექტარზე 4029 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. დაჯილდოებული იყო სამი ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით, არჩეული იყო აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 20 წლის განმავლობაში არჩეული იყო საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის ბიუროს წევრად, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, საქართველოს კპ XIX, XXI, XXIII, XIV ე ყრილობების დელეგატად. ი. ფუთუიძე გარდაიცვალა 1990 წელს.

### შალვა გიხეიძე



შალვა სარდიონის ძე გრძელიძე 1946 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის უფროს აგრონომად, 500 ჰექტარი ჩაის პლანტაციების ჩაის სანიმუშოდ მოვლისა და აგროტექნიკურ დონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე ჩატარებით თითოეულ ჰექტარზე 4028 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოიყვანა. რისთვისაც 1951 წლის 27 ივლისის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო.

### ზოია ზოხიჩნა



ზოია ვარლამის ასული ზორკინა 1944 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიედ. 1950 წელს გაპროფუნებული 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6055 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1951 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### აღექსანდრე იმნაიშვილი

აღექსანდრე დიმიტრის ძე იმნაიშვილი 1945 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგედ. 1950 წელს 30 ჰექტარი ჩაის პლანტაციების სანიმუშო მოვლით, თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 5181 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი



სი საბჭოს პრეზიდიუმმა 1951 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### ელენე ჰდახოტნიკოვა



ელენე საველის ასული პლახოტნიკოვა 1943 წლიდან მუშაობდა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიედ, მან 1950 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის სანიმუშოდ მოვლით მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6481 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1951 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### ტატიანა შეველიევა



ტატიანა ალექსანდრეს ასული შეველიევა 1945 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიედ, 1950 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6236 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი რისთვისაც 1951 წლის 31 ივლისის ბრძანებულებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### ჩაისა იუხტაევა

ჩაისა ვასილის ასული იურტაევა 1946 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიედ, 1950 წელს სანიმუშო მოვლით მან 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6372 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი,



რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1951 წლის 31 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### კონსტანტინე სობოლევი



კონსტანტინე ანდრეის ძე სობოლევი დაიბადა 1923 წელს, ნოვოსიბირსკში, ბერეზოვის რაიონის სოფელ ტოლსტეხინში. 1939 წელს მშობლებთან ერთად ჩამოვიდა ოჩხამურში. 1940-1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშად. მან 1950 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6461 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. კონსტანტინე სობოლევი გარდაიცვალა 1972 წელს.

### პელაგია ლისოვა



პელაგია ევდევკიმის ასული ლისოვა 1940 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიედ. 1950 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6424 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 31 ივლისის ბრძანებულებით, მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

## მსხთა სტოიაკინა



მართა ნიკოლოზის ასული სტოიაკინა 1943 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიედ, 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6389 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 31 ივლისის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

## სოფელ ადამბხის ჯოდმეუხნობა

### ხურიე ვასაძე



ხურიე ოსმანის ასული ვასაძე დაიბადა 1924 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ადამბარში გლეხის ოჯახში.

ხურიე ვასაძე 1939 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში მეჩაიედ, ის მალე გახდა ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი, ახალგაზრდული ენერგიით შრომობდა მოსავლიანობის გაზრდისათვის, კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ხურიე ვასაძეს, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და ორჯერ იქნა დაჯილდოებული ლენინის ორდენით.

1951 წელს ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს №335 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ხურიე ვასაძე აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი. გარდაიცვალა 1984 წლის 1 ივნისს.

## ასიე გოგიტიძე



ასიე რეჯების ასული გოგიტიძე დაიბადა 1931 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარში. 1948 წლიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1948 წელს, 0,5 ჰექტარ ჩაის პანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6722 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გამირის წოდება მიენიჭა. ასიე გოგიტიძე გარდაიცვალა 2001 წელს.

## ნაზი ხვიჩია



ნაზი ხუსეინის ასული ხვიჩია დაიბადა 1927 წელს, სოფელ ალამბარში. 1940 წელს დაამთავრა ალამბარის არასრული საშუალო სკოლა და და კოლმეურნეობაში მეჩაიედ დაიწყო მუშაობა. იგი ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ მალე ამ პატარა, ციცქნა გოგონამ ყველა გააოცა. გამოცდილი მეჩაიები უკან ჩამოიტოვა და 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 6100 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. ეს იმ დროისათვის სარეკორდო მოსავალი იყო, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1949 წლის 29 აგვისტოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გამირის წოდება მიენიჭა. ამით აღფრთოვანებული გოგონა უფრო გააქტიურდა და მეორედ ერგო ლენინის ორდენი.

ნაზი ხვიჩია მალე პირველი ბრიგადის პირველ რგოლს ჩაუდგა სათავეში და მეთუე ხუთწლედის განმავლობაში მისმა რგოლმა სარეკორდო მოსავალი მოიყვანა – 207500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და ხუთწლიანი გეგმა 120 %-ით შეასრულა. ნ. ხვიჩია 2017 წელს გარდაიცვალა.



## ქვესეხი ქათამაძე



ქვესერ სულეიმანის ასული ქათამაძე დაიბადა 1931 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარში, 1946 წელს მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობის მეჩაიედ, 1949 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6009 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1950 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

იგი 1992 წელს გარდაიცვალა.

## ფადიმე შახაშიძე



ფადიმე ახმედის ასული შარაშიძე დაიბადა 1923 წლის 30 აპრილს, ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარში. არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ ჩაება შრომით საქმიანობაში. 1940 წლიდან მუშაობდა ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიედ. მან 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. ფადიმე შარაშიძე 1978 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე, მაგრამ კვლავ აგრძელებდა კოლმეურნეობაში მუშაობას. გარდაიცვალა 2004 წელს.

## სოფელ ქვედა ჯვიჩიყეს ყოღმეუხნობა

### ნათელა ჩელებაძე



ნათელა ასლანის ასული ჩელებაძე დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეში, 1933 წლის 29 აგვისტოს. ლეღვას საშუალო სკოლის მოსწავლე ნათელა ჩელებაძე სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ჩაის პლანტაციებს მიაშურებდა, და იქ დედასთან და დასთან ერთად ფუსფუსებდა. ჩაის კრეფაში უფროს დას ტოლს არ უდებდა. კალათს სწრაფად ავსებდა ნაზი დუყებით. 1947 წლის ზაფხულის არდადეგების დროს პიონერმა გოგონამ 3800 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, ჩაის კრეფაში ისე გაიწაფა, რომ მომდევნო წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა და იმ ზაფხულს 6750 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ეს იმ დროისთვის სარეკორდოდ ითვლებოდა, რისთვისაც მოსწავლეს, პიონერს, ჩვენს ქვეყანაში პირველად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1949 წლის 29 აგვისტოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ქვედა კვირიკელ გოგონას, როგორც პირველ გმირ პიონერს, 1949 წელს ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეხვედრა მოუწყვეს: „ტრიბუნასთან ვიდექი, როცა დარბაზში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია შემოვიდა, ეს ომის შემდგომ გერმანელთა პირველი დელეგაცია იყო ჩვენს რესპუბლიკაში, დელეგაციის წევრმა ქალმა რომ დამინახა გმირი მოსწავლე, პიონერი გული შეუღონდა. მაშინ არ ვიცოდი რის გამო, თვალი რომ გაახილა, მეც თავზე ვედექი, შემომხედა და გოცუბით აღმოსდა: შენი ტოლი გოგონა მყავს და ქუჩაში თამამად მარტო ვერ გამიშვია, მეშინია არაფერი შეემთხვეს, ყოველ დღე ქართულ ჩაის ვსვამ და ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ მას ასეთი პატარა ხელები კრეფენო.

როცა სამშობლოში დავბრუნდები, გადავცემ ჩემს თანამემამულეებს,

თუ როგორ იზრდება ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირში და რა გზით უნდა ვიაროთ ჩვენ, თუ გვინდა ჩვენი შვილები სამშობლოსათვის თავდადებულად, პატიოსანი ადამიანები აღვზარდოთ.

ორი თვის შემდეგ გერმანიიდან ჟურნალი მივიღე, სადაც ჩემი ფოტოსურათი და ჩემს შესახებ წერილი იყო დაბეჭდილი, მაშინ ნაკლებად მესმოდა იმ გერმანელი პროფესორი ქალის სიტყვების მნიშვნელობა – ამბობდა ახალგაზრდებთან საუბრისას სოციალისტური შრომის გმირი ნათელა ჩელებაძე.

ნათელა ჩელებაძემ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და სოფელში აგრონომად მუშაობდა. 1961 წლიდან მუშაობდა ჩაქვის მეორე გელაური-მუხაესტატეს ჩაის ფაბრიკების დირექტორად, ხოლო 1976-1997 წლებში – ლეღვას ჩაის ფაბრიკის დირექტორად. მის სახელს ატარებს ქუჩა ქალაქ მინსკში.

### ფადიმე ჩელებაძე

ფადიმე მეგლუდის ასული ჩელებაძე დაიბადა 1919 წლის 15 აგვისტოს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეში.



დაამთავრა სოფლის არასრული საშუალო სკოლა და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, გახდა მოწინავე მეჩაიე. 1948 წელს მან 0,5 ჰექტარ ჩაის ფართობზე მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 7500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც სარეკორდო მოსავალი იყო. ამისთვის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით ფადიმე ჩელებაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

მან ქვეყანას აღუზარდა ხუთი შვილი, რისთვისაც 1964 წლის 22 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებულ იქნა „მეორე ხარისხის დედის მედლით“, 1970 წელს კი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მედლით „თავდადებული შრომისათვის“.

ფადიმე ჩელებადის ქალიშვილი – ნუნუ გორგილაძე, როგორც მოწინავე მეჩაიე, არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და მიღებული ჰქონდა წითელი დროშის ორდენი.

ფადიმე ჩელებაძე 1969 წლიდან გავიდა პერსონალურ პენსიაზე. ის 2010 წელს გარდაიცვალა.

### აიშე გიხეიძე



აიშე ხასანის ასული გრძელიძე დაიბადა 1927 წელს, ქობულეთის რაიონის ზედა კვირიკეში. 1941 წელს დაამთავრა სოფლის არასრული საშუალო სკოლა და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1942 წლიდან მუშაობა დაიწყო კვირიკეს კოლმეურნეობაში მეჩაიედ. მას მალე რგოლის ხელმძღვანელად ირჩევენ. მისმა რგოლმა 1948 წელს 2 ჰექტარი ჩაის ფართობიდან თვითოეულ ჰექტარზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 8071 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 21 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

### მეჩიკო ჯინჭარაძე



მეჩიკო მამულის ასული ჯინჭარაძე დაიბადა 1926 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. კვირიკეს არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1944 წლიდან მუშაობდა კვირიკეს კოლმეურნეობის მეჩაიედ. 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6402 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლი, რაც სარეკორდო მოსავლად ითვლებოდა.

ამ წარმატებისთვის, სსრ კავშირის უმაღ-

ლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, მერიკო ჯინჭარაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

## ზედა ევიჩიკეს ჯორმეუხნობა

### ხიხსტეა ხიონიდი



ხრისტულა მიხეილის ასული ხიონიდი დაიბადა 1917 წელს სოფელ ზედა კვირიკეში. სოფელში არტელის შექმნის პირველი წლიდან გახდა მისი წევრი, იყო რიგითი მენაიე, რგოლის ხელმძღვანელი, საწარმოო ბრიგადის ბრიგადირი, ყველგან თავი გამოიჩინა, როგორც ბეჯითმა მშრომელმა, უნარიანმა ხელმძღვანელმა და კარგმა ორგანიზატორმა.

1947 წელს ხრისტულამ კოლმეურნეობაში მოსაველეად გაიპიროვნა ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია და სანიმუშოდ უვლიდა, 1948 წელს მაღალი მოსავლიც მიიღო, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. ხრისტულა ხიონიდი 1972 წელს გავიდა დამსახურებული პენსიაზე. გარდაიცვალა 1985 წელს.

## ბუენაჩის (უღიანოვკა) ჯორმეუხნობა

### ახმედ ცინაჩიძე



ახმედ ოსმანის ძე ცინაჩიძე დაიბადა 1925 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ უღიანოვკაში (ბუენარში), გლეხის ოჯახში. 1938 წელს დაამთავრა ბუენარის დაწყებითი სკოლა და ბავშვობიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა უღიანოვკის კოლმეურნეობაში რიგ-



ით წვევრად – მეციტრუსედ. უელიდა 250 ძირ სრულასაკოვან ლიმონის ხეს. 1948 წელს თითოეულ ძირი ლიმონის ხიდან საშუალოდ 488 ცალი ლიმონი მოკრიფა.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, ახმედ ცინარიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა და გადასცა ლენინის ორდენი „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. ახმედ ცინარიძე ყოველთვის იყო მოწინავე რიგებში, ხშირად მას ირჩევდნენ გამგეობის წვევრად, იგი 1982 წელს გარდაიცვალა.

### ოსმან ცინახიძე



ოსმან შაქირის ძე ცინარიძე დაიბადა 1900 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკაში (ბუენარში). შინ შესწავლა წერა-კითხვა, სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისთანავე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მონაწილეობდა, ჩაის, ლიმონის, მანდარინის, ტუნგოს გაშენებაში. ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო. 1936 წელს ჩააბარეს 250 ძირი, ახლადგაშენებული ლიმონის ნარგავები. 1947 წელს ოსმანმა საშუალოდ თითოეულ ძირ სრულასაკოვან ლიმონის ხეზე მოკრიფა 468 ცალი ლიმონი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი, ნამგალი და ურო.

ოსმან ცინარიძე გარდაიცვალა 1959 წელს.

### სანთუხ ზოიძე

სანთურ ხუსეინის ძე ზოიძე დაიბადა 1927 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკაში (ბუენარში). 1942 წელს დაამთავრა 7-წლიანი სკოლა და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობა დაიწყო ულიანოვკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მეჩაიედ. გოგონა გამოცდილ მეჩაიეებს ეჯიბრებოდა და გეგმას ყოველთვის



გადაჭარბებით ასრულებდა. 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6094 კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სანთურ ზოიძეს, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური გმირის წოდება მიანიჭა. გადაეცა ლენინის ორდენი, ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო. სანთურ ზოიძე 1982 წელს გავიდა პერსონალურ პენსიაზე, ის გარდაიცვალა 2006 წელს.

### გალინა ჩხახტიშვილი

გალინა სამსონის ასული ჩხარტიშვილი დაიბადა 1912 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკაში (ბუენარში). ბუენარშივე მიიღო დაწყებითი განათლება და სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისთანავე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობა დაიწყო ულიანოვკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მენაიედ.



გალინა ჩხარტიშვილი მალე მერგოლურად აირჩიეს. მისმა რგოლმა 1948 წელს, მიმაგრებული 2,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 8733 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, გალინა ჩხარტიშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო.

გალინა ჩხარტიშვილი 1967 წელს გავიდა პერსონალურ პენსიაზე, გარდაიცვალა 1998 წელს.

## ქაზიმ შავიშვილი



ქაზიმ ოსმანის ძე შავიშვილი დაიბადა 1923 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ტბეთში. 1944 წელს გადასახლდა ქობულეთის რაიონის ქვედა ულიანოვკის (ბუკნარის) კოლმეურნეობაში და დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობაში მეციტრუსედ. 1948 წელს სრულასაკოვან 400 ძირი მანდარინიდან თითოეულ ძირზე საშუალოდ მოკრიფა 1380 ცალი, რისთვისაც 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. გადასცეს ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. შემდგომ წლებში ქაზიმ შავიშვილი მუშაობდა ულიანოვკის კოლმეურნეობაში №2 ბრიგადის ბრიგადირად. გარდაიცვალა 1991 წელს.

## ზელიხე გოციძე



ზელიხე მემედის ასული დოლიძე დაიბადა 1928 წლის 15 ივნისს, სოფელ საჩინოში (ზედა ულიანოვკა). ახალგაზრდობიდანვე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ. 1946 წელს იგი კოლმეურნეობა მერგოლურად აირჩიეს. ჩაის კრეფის გეგმა 1947 წლის აგვისტოს თვეში შეასრულა წლის ბოლომდე 2 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა ივალდეზულა. დღიურად ზელიხე 50-60 კილოგრამ პირველ ხარისხის ჩაის კრეფდა. პირადად ზელიხემ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან 1948 წელს მოკრიფა 6035 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ზელიხე დოლიძე გარდაიცვალა 1997 წელს.



## ჯეიხიჯეს ჯოღმუქნეობა

### სულთან ღღაიშვილი



სულთან იბრაიმიშ ასული ღღაიშვილი დაიბადა 1929 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. სოფელში დაამთავრა არსებული საშუალო სკოლა და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1948 წელს სულთან ღღაიშვილმა 0,5 ჰექტარი ჩაის პღანტაციიდან მოიყვანა 6431 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ის 1957 წლამდე მუშაობდა კვირიკეს კოლმეურნეობაში და მუდამ მოწინავე იყო. 1957 წელს გათხოვდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სატეხიაში და შექმნა ოჯახი. 1984 წელს სულთან ღღაიშვილი გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 2015 წელს.

### ირაკლი ხოინიდი



ირაკლი ისაკის ძე ხოინიდი დაიბადა 1922 წელს, ქობულეთის რაიონის ზედა კვირიკეში. კოლმეურნეობის შექმნისთანავე რიგით მენაიედ დაიწყო მუშაობა, მენაიეებმა 1951 წელს ირაკლი ხოინიდი მერგოლურად აირჩიეს.

1950 წელს ირაკლი ხოინიდი 0,5 ჰექტარი ჩაის პღანტაციიდან 6314 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და 1951 წლის 1 სექტემბერის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 28 წლის ახალგაზრდას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ირაკლი ხოინიდის რგოლმა მე-9 ხუთწლედში 255 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 296,4 ტონა ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი. იგი 1990 წელს წავიდა საბერძნეთში და იქ გარდაიცვალა.

### ჰემიდ ვეხელიძე



ჰემიდ სუშუტის ასული ვერულიძე დაიბადა 1915 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. 1928 წელს დაამთავრა კვირიკეს დაწვებითი სკოლა და ახლად შექმნილ კოლმეურნეობაში მეჩაიედ დაიწყო მუშაობა.

1948 წელს ჰემიდ ვერულიძემ მასზედ გაპიროვნებული 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6259 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“.

### საბრიე ვეხელიძე



საბრიე ალიოსმანის ასული ვერულიძე დაიბადა 1930 წელს, სოფელ კვირიკეში. 1945 წელს, კვირიკეს არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა მეჩაიედ. 1948 წელს მან 0,5 ჰექტარი ფართობი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6250 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. საბრიე ვერუ-

ლიძე 1976 წელს გარდაიცვალა.

## ჩაკე შავიშვილი



რაკე მუხამედის ასული შავიშვილი დაიბადა 1928 წლის 28 ნოემბერს, სოფელ კვირიკეში. ის 1943 წლიდან ჩაება საკლემურნეო შრომაში. მუშაობდა კვირიკეს კლემურნეობის წევრად. უფლიდა 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციას, საიდანაც 1948 წელს მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6239 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. რაკე

შავიშვილი გარდაიცვალა 2010 წელს.

## მეჩემ ჭყონია



მერიემ ხასანის ასული ჭყონია დაიბადა 1929 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1944 წლიდან, ჩაება საკლემურნეო შრომაში. 1948 წელს მასზე განპირობებული 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 7500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც იმ დროს სარეკორდო მოსაგლი იყო. ამისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 2001 წელს.

გარდაიცვალა 2001 წელს.

## სუხიე ჩელებაძე

სურიე თემურის ასული ჩელებაძე დაიბადა 1928 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. 1944 წელს მუშაობა დაიწყო



კოლმეურნეობის წევრად. მან 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან რეკორდული მოსავალი მიიღო, 1948 წეს მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 7500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, სურვიე ჩელებადე გარდაიცვალა 1991 წელს.

## ქვედა აჭყვის ხოღბუხნეობა

### ქრისტეფორე მუხიციდი



ქრისტეფორე აბრამის ძე მერიციდი დაიბადა 1905 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა აჭყვაში გლეხის ოჯახში. 1918 წელს დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა. 1928 წლიდან მუშად მუშაობდა ჩაქვის მეურნეობაში.

1928 წელს ჩამოყალიბდა ჩაქვის მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა, და ქ. მერიციდი ამხანაგობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1932 წელს ამხანაგობა სასოფლო სამეურნეო არტელი „წითელი ოქტომბრის“ სახელით ჩამოყალიბდა და ქრისტეფორე მერიციდი 1960 წლამდე ამ კოლმეურნეობის შეუცვლელი თავმჯდომარე იყო.

1949 წელს ქრისტეფორე მერიციდს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, 31,5 ჰექტარის ჩაის ფართობის თითოეულ ჰექტარზე 5265 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოყვანისათვის.

ქ. მერიციდი გარდაიცვალა 1974 წელს.

## ვასილი პოლიტოვი



ვასილი გეორგის ძე პოლიტოვი დაიბადა 1928 წელს, ქობულეთის რაიონის ქვედა აჭყვაში. დაამთავრა აჭყვის არასრული საშუალო სკოლა და 1941 წელს ჩაება საკლმეურნეო შრომაში. მუშაობდა კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლურად.

1948 წელს ვასილ პოლიტოვის რგოლმა 2 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა 8100 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“.

ვასილ პოლიტოვი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა ბრიგადირად. გარდაიცვალა 1982 წელს.


## აჭყვის ყოცმეუხნეობა

### ელენე უხუცი

ელენე მათეს ასული კურტოვი დაიბადა 1925 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვაში (წითელი ოქტომბერი). 1941 წელს დაამთავრა აჭყვის არასრული საშუალო სკოლა და ჩაება საკლმეურნეო შრომაში. მუშაობდა დაიწყო აჭყვის (წითელი ოქტომბრის) კოლმეურნეობის მეჩაიედ. მან 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6467 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 14 ნოემბრის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1995 წელს.



### ქრისტეფორე კურტოვი



ქრისტეფორე აბრამის ძე კურტოვი დაიბადა 1890 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვაში (წითელი ოქტომბერი). ის წლების განმავლობაში მუშაობდა კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერის“ აგრონომად. მისი ხელმძღვანელობით გაშენდა 31,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. კოლმეურნეობამ 1948 წელს 31,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მიიღო 5265 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც, 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქრისტეფორე კურტოვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

ქრისტეფორე კურტოვი გარდაიცვალა 1960 წელს.

### ივანე კურტოვი



ივანე დემიანის ძე კურტოვი დაიბადა 1920 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვაში (წითელი ოქტომბერი). 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა დაიწყო კოლმეურნეობაში მეჩაიედ. ის 1941 წლიდან რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს. მისმა რგოლმა 2 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 8902 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. 1949 წლის 29 აგვისტოს.

ივანე კურტოვი გარდაიცვალა 1991 წელს.

## ჩაისუბნის ჯორმეუხნეობა

### ეთერ ჯონცელიძე



ეთერ სერდალის ასული კონცელიძე დაიბადა 1928 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში. ახალგაზრდობიდან ჩაება შრომით საქმიანობაში. გახდა მოწინავე მეჩაიე. ეთერ კონცელიძეს 1950 წლის 19 ივლისს სოციალისტური შრომის გამირის წოდება მიენიჭა. შემდეგ ეთერ კონცელიძე დაოჯახდა და ცხოვრება გააგრძელა ხელვაჩაურის რაიონის განთიადის კოლმეურნეობაში. აქაც წარმატებული მეჩაიე იყო. მრავალი ჯილდო დაიმსახურა. ეთერ კონცელიძე გარდაიცვალა 2001 წელს.

### ასიე ყუჩუბაძე




ასიე ქამილის ასული ყურშუბაძე დაიბადა 1917 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხალაში, აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1934 წელს გათხოვდა ჩაქვის ჩაისუბანში და იმავე წელს დაიწყო კოლმეურნეობაში მუშაობა. გახდა მოწინავე მეჩაიე. 1950 წლის 19 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ასიე ყურშუბაძეს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 6200 კილოგრამი ჩაის ხარისხიანის ფოთლის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გამირის წოდება მიანიჭა. მომდევნო წლებში მან უფრო გაზარდა საჰექტარო მაჩვენებელი.

ასიე ყურშუბაძემ გაზარდა 8 შვილი. 1967 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 2010 წელს.

### ახმედ ფაცავანდიშვილი

ახმედ ახმედის ძე ფაცავანდიშვილი დაიბადა 1917 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში. იგი დიდხანს მუშაობდა ბრიგ-



ადირად სოფელ ჩაისუბნის და ხალას კოლმეურნეობებში. 1950 წლის 19 ივნისს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან 6237 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მიღებისათვის. შემდეგ მუშაობდა სოფელ ხალას კოლმეურნეობის მუხრანის ბრიგადირად.

გარდაიცვალა 1986 წელს.

## ზენითის ჯორმეუხნობა

### ფადიმე ქათამაძე

ფადიმე მეველუდის ასული ქათამაძე დაიბადა 1923 წელს, სოფელ ზენითში. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1937-1954 წლებში მუშაობდა სოფელ ზენითის კოლმეურნეობაში, მან თავი გამოიჩინა, როგორც მოწინავე მეჩაიემ.



ფადიმეს 1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის, კერძოდ, 0,5 ჰექტარზე ჩაის პლანტაციიდან 6065 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის მიღებისთვის, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

ფადიმე ქათამაძე 1954 წლიდან საცხოვრებლად გადადის ქობულეთში მუშაობდა კოლმეურნეობაში მეჩაიედ და იქაც მოწინავე იყო.

1978 წელს ფადიმე ქათამაძე დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. გარდაიცვალა 1988 წელს.



## ქაქეთის უღონოეხნეობა

### ემინე ზაქარიაძე



ემინე მურადის ასული ზაქარიაძე დაიბადა 1915 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქეთში. საკლემურნეო შრომაში 1932 წლიდან ჩაება. მთელი სიცოცხლე ჩაის პლანტაციების მოვლაში გაატარა.

1963 წელს ემინე ზაქარიაძე საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალით დაჯილდოვდა. 1963 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ქობულეთის რაიონიდან. 1966 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით, ემინე ზაქარიაძეს შრომაში განსაკუთრებული წარმატებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ემინე ზაქარიაძეს სოციალისტური შრომის გმირის „ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი“ გადასცა საქ.კ. ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მუჟანაძემ. ხოლო 1976 წელს სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედალით დააჯილდოვეს.

1971 წელს ე. ზაქარიაძეს საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა. ის არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად. გარდაიცვალა 1998 წელს.

## ნყავხოყის უღონოეხნეობა

### ნადეჟა ჯინჭარაძე



ნადეჟდა მურადის ასული ჯინჭარაძე დაიბადა 1942 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში. 1973 წლის დეკემბერში, განსაკუთრებული შრომითი წარმატებისთვის, მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და ლენინის ორდენი დაიმსახურა. როგორც მოწინავე მეჩაიემ, პირველი

ლენინის ორდენი მან 1966 წელს მიიღო.

ნ. ჯინჭარაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და ლენინის ორდენი გადასცა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ, თბილისში ფილარმონიის დიდ სასახლეში. ნადეჟდამ მე-9 ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში 30902 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ის დღესაც ამაყად უძღვება ოჯახს, უელის 15-მდე მსხვილფეხა საქონელს.

## ციხისძიხის ჯორმეუხნეობა

### ფადიმე გიოჩაძე



ფადიმე ხასანის ასული გიორგაძე დაიბადა 1903 წელს, ხელჯანაურის რაიონის სოფელ აჭარის აღმართში. 1930 წლიდან ის ციხისძირში ცხოვრობდა და აქტიურად იყო ჩაბმული საკოლმეურნეო შრომაში.

ფადიმე გიორგაძემ 1948 წელს მაზე გაპროექტებულ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა 6115 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ხოლო 1949 წლის 29 აგვისტოს ლენინის ორდენი დაამსახურა. ფ. გიორგაძე გარდაიცვალა 1974 წელს.

### ალიოსმან კონცელიძე



ალიოსმან მემედის ძე კონცელიძე დაიბადა 1929 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში. ახალგაზრდობიდან ჩაება შრომაში მუშაობდა ციხისძირის კოლმეურნეობაში მეჩაიედ., 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6205 კილოგრამი მაღალხარისხოვანი მწვანე

ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1992 წელს.

## გვაჩას ჯოცმეხნეობა

### ეთეხ ჰაპუნაიშვილი



ეთერ მეძედის ასული პაპუნაიშვილი დაიბადა 1927 წლის 27 აგვისტოს, ქობულეთის რაიონის სოფელ გვარაში. იქვე მიიღო არასრული საშუალო განათლება და 1943 წლიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მალე მოწინავე მეჩაიე გახდა, 1948 წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე 6000 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. მოწინავე მეჩაიე ქობულეთელებმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. 1968 წელს, შერჩევითი კრეფისას, დღიურად 80 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის კრეფდა. ის 1997 წელს გარდაიცვალა.

### ფადიმე გუნთაიშვილი

ფადიმე სუღეიმანის ასული გუნთაიშვილი დაიბადა 1929 წლის 23 თებერვალს, ქობულეთის რაიონის სოფელ გვარაში. დაამთავრა გვარას 4-კლასიანი სკოლა. სრულიად ახალგაზრდა ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობდა გვარას კოლმეურნეობის მეჩაიედ. ყოველწლიურ გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა.

1948 წელს ფადიმემ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა



6162 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც მას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. 1956 წელს ფადიმე გუნთაიშვილი ცოლად გააჰყვა სოფელ ქაქუთში ქაზიმ ცეცხლაძეს. მათ შეეძინათ 4 შვილი.

ფადიმე გუნთაიშვილი 1984 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. ის გარდაიცვალა 2006 წელს.

## ხადას ჯორბეუხნოვა

### აიშე დავითაძე



აიშე მუხამედის ასული დავითაძე დაიბადა 1932 წლის 12 მაისს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხალაში. ის 1947 წლიდან მუშაობდა ქობულეთის რაიონის ხადას სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობაში მეჩაიედ. მან 1948 წელს მასზე მიმაგრებული 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6597 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1949 წლის 29 აგვისტოს, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

## მუხაესკატეს ჯორბეუხნოვა

### ჩხიმიე მუავანაძე

ჩხიმიე მამუდის ასული მუავანაძე დაიბადა 1918 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეში. მშობლიურ სოფელში მიიღო არასრული საშუალო განათლება და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში რიგით მეჩაიედ. 1945 წლიდან ის უკვე მოწინავე მეჩაიე იყო. 1948 წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა და სახ-



ელმწიფოს ჩააბარა 7125 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი, რისთვისაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. რეხიმე მუჟავანაძე-გოგიტიძე გარდაიცვალა 1979 წელს.

## სოფელ ქობულეთის ყოღმეუხნეობა

### ემინე გოხიძე

ემინე რეჯების ასული გოხიძე დაიბადა 1930 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში. 1945 წელს დაამთავრა სოფლის შვიდწლიანი სკოლა. 1945 წელს, 15 წლის ახალგაზრდა, ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობის წევრად. თავი გამოიჩინა, როგორც მოწინავე მეჩაიე. 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობზე მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6702 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 1949 წლის 29 აგვისტოს 19 წლის ახალგაზრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდებით დაჯილდოვდა, გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“. ემინე გოხიძე პენსიაში გასვლამდე სანიმუშო მეჩაიე იყო. გარდაიცვალა 2010 წელს.



## სოფელ სტურუას ყოღმეუხნეობა

### სუხიე ხაღვაში

სურიე ხასანის ასული ხაღვაში დაიბადა 1927 წელს ქობულეთის რაიონის ზედა ულიანოვკაში. 1942 წელს მიიღო არასრული საშუალო განათლება და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა ქობულეთის რაიონის სტურუას კოლმეურნეობის მეჩაიედ.



1947 წლიდან მუშაობდა სუცუბნის კოლმეურნეობაში. 1950 წელს 0,5 ჰექტარი ფართობიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6366 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1951 წლის 1 სექტემბერის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა და გადასცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“.



ჩაქვის ჩაის პლანტაციები

ქობულეთის რაიონში ჩაის დამზადება  
1987 წ. 23 სექტემბრის მდგომარეობით (ტონობით)

კოლმეურნეობები	გკგმა.ტ.	შესრულება. ტ.
მუხაესტატეს	2550	2938
ჭახათის	580	635
სოფ. ქობულეთის	130	1415
ალამბრის	2700	2880
ქვ. ულიანოვკის	850	901
ლეღვა	2865	2978
დაგვას	2275	2362
ქვ. აჭყვა	1255	1291
ზ. ულიანოვკის	980	1005
კვირიკეს	1780	1827
ხუცუბნის	4170	4257
ქაქუთის	1510	1541
ხალას	1210	1225
ზ. კვირიკეს	945	943
ბობოყვათის	1855	1846
ციხისძირის	1535	1491
ჩაისუბნის	1160	776
საბჭოთა მეურნეობები		
ჯიხანჯურის	375	457
ონხამურის აგრ.	5990	6046
ჩაქვის აგრ.	3370	3370
ჩაქვის მეციტრუს.	345	345
ჩაქვის ფილიალი	150	144
კვირიკეს	370	345
მებოსტნეობის	760	704
ცეცხლაურის	3855	3437
სულ რაიონში	47500	47610

11. ქობულეთის რაიონული გაზეთი „ლენინელი“ 1987 წ. 24 სექტემბერი

სოციალისტური შრომის გმიხები ხელვაჩაუხის  
ხაონიდან



დურსუნ კომასიძე ამოწმებს მანდარინის სიმწიფეს



ჩაის ფოთლის კრეფა ხელით



## დიომიდე ხელაძე

დიომიდე სეგოიდის ძე ხელაძე დაიბადა 1906 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ კონჭკათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო



განათლება მიიღო ლანჩხუთში. 1921 წელს მიიღეს კომკავშირში. 1925-1928 წლებში ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე იყო. 1928 წელს სკკპ რიგებში მიიღეს და 1935 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა. 1937 წელს აირჩიეს საქართველოს კპ (ბ) ქედის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც 1941 წლამდე მუშაობდა. 1941 წლიდან დ. ხელაძე სწავლობდა მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის სკოლაში, საიდანაც გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. იქ დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით და ორი მედლით.

1946-1952 წლებში დიომიდე ხელაძე საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. 1949 წელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ბათუმის რაიონში ხარისხიანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის 15,2 პროცენტით გადაჭარბებისათვის.

დიომიდე ხელაძე 1952 წელს აირჩიეს საქართველოს კპ (ბ) ქობულეთის რაიკომის პირველ მდივნად. ის ასევე არჩეული იყო აჭარისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად. გარდაიცვალა 1953 წლის ნოემბერში.

## მიხეილ ყუჩუბაძე

მიხეილ (მურთაზ) იუსუფის ძე ყურშუბაძე დაიბადა 1908 წელს, ქ. ბათუმში. რევოლუციის შემდეგ მისი ოჯახი სოფელ ზემო ჯოჭოში დასახლდა. 1926-1932 წლებში ბათუმის სუბტროპიკულ ტექნიკუმში სწავლობდა, 1932-1937 წლებში – საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობის ინსტიტუტში. 1937 წელს ხულოს რაიონის მიწათმოქმედებ-



ის განყოფილების აგრონომად დაინიშნა. შემდეგ აჭარის მიწსახეობის აგრონომად, ხოლო 1938 წლიდან ახალშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორია. 1939-1948 წლებში ბათუმის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო. მისი ინიციატივით ომის დროს აიგო ხიდები მდინარეზე ჭოროხზე და მაჭახელაზე.

ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობის დროს რაიონმა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 15,2 პროცენტით მეტი ხარისხიანი ჩაის ფოთოლი ჩააბარა., რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყოფილი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მიხეილ ყურშუბაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

მიხეილ ყურშუბაძე 1948-1952 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრად, 1953-1959 წლებში – აჭარის ციტრუსების დამამზადებელი კანტორის მმართველად, შემდეგ – ციტრუსკომბინატის დირექტორად და ხის დამამუშავებელი კომბინატის დირექტორად. გარდაიცვალა 1964 წელს.

### სკენდერ ქანკურიძე

სკენდერ (სანდრო) ხასანის ძე ჭანკურიძე დაიბადა 1908 წელს, ქობულეთის რაიონ სოფელ ქობულეთში. 1937 წელს დაამთავრა



საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქედის რაიონში. 1937-1940 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის მიწგანის გამგე, ხოლო 1940-1942 წლებში – ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო. შემდეგ მუშაობდა ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, საქართველოს „აბრეშუმის ტრესტის“ აჭარის განყოფილების გამგედ. 1946-1950 წლებში სკენდერ ჭანკურიძე ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებ-

ის უფროსია, მისი ენერგიული მუშაობით ბათუმის რაიონმა 15,2 პროცენტით გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის გეგმა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სკენდერ ჭანკურიძეს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა. მალე დააწინაურეს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ, საიდანაც სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად გადაიყვანეს. ხოლო 1964 წლიდან პენსიაზე გასვლამდე ხელვაჩაურის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი იყო.

სკენდერ ჭანკურიძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და მედლებით, არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ქედის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაისაბჭოს დეპუტატად და რაიკომის ბიუროს წევრად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება.

გარდაიცვალა 1973 წელს.

### კონსტანტინე მიხაიციძე

კონსტანტინე თევდორეს ძე მიხაიციძე დაიბადა 1904 წელს ქ. ქუთაისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აგრონომიურ ფაკულტეტზე. 1927-1931 წ.წ.



მუშაობდა საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკებში აგრონომად. 1931 წლიდან მუშაობს ბათუმის რაიონში მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ, მთავარ აგრონომად. მისი ხელმძღვანელობით ბათუმის რაიონში გაშენდა 276 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 155,8 ჰექტარი ციტრუსი. 1948 წელს ბათუმის რაიონმა უზრუნველყო ჩაის მწვანე ფოთლის გეგმის 15,2 პროცენტით გადაჭარბებით შესრულება რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. 1960-1963 წლებში მუშაობდა ახალშენის საცდელ-საჩვენებელი კლმეურნეობის მთავარ აგრონომად. ხოლო

შემდეგ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმო-სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორად. 1965-1971 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ და მთავარ აგრანომად. კონსტანტინე მიხაილიძე გარდაიცვალა 1974 წელს.

## სოფელ ეხგეს ყოცმეხნეობა ბუბეი ქანიძე



გუგუელი იუსუფის ასული ჭანიძე დაიბადა 1933 წლის 1 აგვისტოს, ბათუმის რაიონის სოფელ ქვედა ჯოჭოში, გლეხის ოჯახში. ერგეს არასრული საშუალოს სკოლის დამთავრების შემდეგ, 1947 წლიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1975 წელს დაამთავრა ბათუმის რკინიგზის დაუსწრებელი საშუალო სკოლა. 1954 წლიდან კომკავშირის წევრია, ხოლო 1975 წლიდან – საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრი.

1966-1976 წლებში არჩეული იყო საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად და ბიუროს წევრად. 1970 წელს, ლენინის დაბადების 100 წლისთავზე, დაჯილდოვდა საიუბილეო მედლით.

1971, 1976, 1981, 1986 წლებში არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის 24-ე, 25-ე, 26-ე და 27-ე ყრილობების დელეგატად.

1976-1986 წლებში არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, სკკპ 24-ე და 26-ე ყრილობის დელეგატად. სკკპ 24-ე ყრილობაზე არჩეული იყო სამანდატო კომისიის წევრად. 1977-1988 წლებში გახდა საქართველოს პროფკავშირების ყრილობის დელეგატი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

1973-1988 წლებში არჩეული იყო საქართველოს კპ ხელვაჩაურის რაიკომის ბიუროს წევრად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მე-9 და მე-10 მოწვევის დეპუტატად. გუგუელი ჭანიძეს როგორც მოწინავე მეჩაიეს 1971 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

1982 წელს არჩეული იყო საკავშირო საკოლმეურნეო ყრილობის დელეგატად, 1982 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. მიღებული აქვს სასოფლო-სამეურნეო გამოფენების 2 ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის მედალი. გუგული ჭანიძე გარდაიცვალა 2018 წლის 6 ივლისს.

## სახელის უცვლელი

### ზინაიდა მემიშიში



ზინაიდა ხარბონის ასული მემიშიში დაიბადა 1925 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ სარფში. 1938 წელს დაამთავრა სოფელ სარფის დაწყებითი სკოლა და ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა სარფის კოლმეურნეობის რიგით წევრად.

ზინაიდა მემიშიშმა მალე თავი ისახელა ციტრუსოვანთა ბაღების მოვლასა და ხარისხოვანი ციტრუსის უხვი მოსავლის მოყვანით. 1947 წელს ის მერგოლურად აირჩიეს.

ზინაიდა მემიშიშს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით ციტრუსოვანთა ბაღის მოვლისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

1951 წლის 18 თებერვალს ბათუმის რაიონის გონიოს №29 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ზინაიდა მემიშიში გარდაიცვალა 1971 წელს.

### მუხამედ კახაილი

მუხამედ ხასანის ძე კახაილი დაიბადა 1921 წელს, ბათუმის რაიონის საზღვრისპირა სოფელ სარფში. 1934 წელს დაამთავრა სარფის არასრული საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში ციტრუსების ბაღის მომვლელად. ნარგავებს სანიმუშოდ



უვლიდა და გეგმა დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. 1948 წელს მასზე გაპროექტებულ 250 სრულმსხმოიარე ხეზე საშუალოდ 472 ცალი ლიმონი მოკრიფა, არისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი. ის შემდეგ მუშაობდა მერგოლურად და ათეული წლები კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი იყო. 1986 წელს მუხამედ კახაილიში დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.  
 გარდაიცვალა 1996 წელს.

## ჩაისუბნის ჯორმეხნეობა მამია აბაშიძე

მამია ხასანის ძე აბაშიძე დაიბადა 1918 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კაპრეშუმში, მშობლები ადრე გარდაეცვალა და ბავშვობიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში.



მამია აბაშიძე 1941 წელს, ომის დაწყებისთანავე, ფრონტზე გაიწვიეს. ომგამოვლილი 1946 წელს კაპრეშუმელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო შემდეგ – კაპრეშუმისა და წინსვლის გაერთიანებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. 1975 წლიდან 1987 წლამდე, პენსიაში გასვლამდე, ჩაისუბნისა და წინსვლის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

მამია აბაშიძემ 1965 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, მისი ხელმძღვანელობით აშენდა წინსვლის, ზედა წინსვლის, ყოროლისთავის საშუალო და აგარისა და კაპრეშუმის 8-წლიანი სკოლები, კლუბკანტორების შენობები.

ის, როგორც ხალხის წარგზავნილი, საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში იცავდა ქართული სოფლის ინტერესებს, მრავალჯერ იყო არჩეული საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრად, აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, პენსიაზე გასვლის შემდეგ ის სოფელმა საპატიო თავმჯდომარედ აირჩია.

მამია აბაშიძეს ღირსეულად ჰქონდა მინიჭებული ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მას როგორც სოფლის ამაგდარს, საზეიმოდ გადაუხადეს დაბადების 60 წლისთავი.

მ.ხ. აბაშიძე გარდაიცვალა 1992 წელს.

### ანიშე მაჭუტაძე

ანიშე მაჭუტაძე დაიბადა 1929 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბანში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაება შრომით საქმიანობაში. მოწინავე მეჩაიეც გახდა. 1949 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.



ანიშე მაჭუტაძეს 1949 წელს ჩაის კრეფაში მიღწეული წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

შემდეგ მან შრომითი საქმიანობა ქობულეთის რაიონის სუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიედ გააგრძელა, სადაც შექმნა ოჯახი.

ა. მაჭუტაძე გარდაიცვალა 2000 წელს.

### საბრიე მაჭუტაძე

საბრიე ახმედის ასული მაჭუტაძე დაიბადა 1923 წელს, სოფელ ჩაისუბანში, გლეხის ოჯახში. 1937 წელს დაამთავრა ჩაისუბნის არასრული საშუალო სკოლა და იმავე წელს მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში მეჩაიედ.

საბრიე მაჭუტაძეს კოლმეურნეობამ მიამაგრა 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. მისი ნაკვეთი მუდამ სანიმუშოდ იყო მოვლილი, ის



ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებებს დროულად და ხარისხიანად ასრულებდა, რის გამოც ჩაის კრეფის ყოველწლიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა.

1948 წელს საბრიე მაჭუტაძემ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 6265 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიანიჭა. ახალგაზრდა მეჩაიე ენერგიას არ ზოგავდა და უფრო აქტიურად მუშაობდა, მან 1953 წლიდან მუშაობა ბათუმის კოფეინის ქარხანაში გააგრძელა და იქაც მოწინავე იყო.

საბრიე მაჭუტაძე გარდაიცვალა 2007 წელს.

### ასიე ბეჩიძე



ასიე ხუსეინის ასული ბერიძე დაიბადა 1930 წელს, ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში, აქვე დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა. 1947 წლიდან მეუღლესთან ერთად ცხოვრება გააგრძელა ბათუმის რაიონის სოფელ ორთაბათუმში და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. გახდა მოწინავე მეჩაიე. ასიე ბერიძემ 1948 წელს 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 6240 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის

გმირის წოდება მიანიჭა. ასიე ბერიძე 1985 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 2003 წელს.



## ნუნუ კოძიაია



ნუნუ სერდალის ასული კორძიაია დაიბადა 1927 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ კაპრე-შუმში. შრომით საქმიანობაში ჩაება 1941 წელს. 1948 წელს მოწინავე მეჩაიეს 0,5 ჰექტარ ჩაის ფართობიდან 6214 კგ. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოკრეფისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ნუნუ კორძიაიამ 1970 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და კოლმეურნეობაში გააგრძელა მუშაობა. 1970-1972 წლებში ბრიგადირი იყო. შემდეგ დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი და მუშაობდა ექთნად ბათუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქარხანაში. გარდაიცვალა 1979 წელს.

## ხურიე როდინაძე



ხურიე ხუსეინის ასული როდინაძე დაიბადა 1929 წლის 1 იანვარს, ბათუმის რაიონის სოფელ ყოროლისთავში. დაამთავრა ყოროლისთავის დაწყებითი სკოლა და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1943 წლიდან მუშაობდა მეჩაიედ.

1948 წელს ხურიე როდინაძემ 0,5 ჰექტარ ჩაის ფართობზე მოიყვანა და სახელწიფოს ჩააბარა 6233 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

ხურიე როდინაძე 1984 წელს გავიდა პერსონალურ პენსიაზე. გარდაიცვალა 1996 წელს.

## ვასპიე (ვახრო) ბუნჯაძე



ვასპიე იბრაიმის ასული ბრუნჯაძე დაიბადა 1932 წლის 1 იანვარს, ბათუმის რაიონის სოფელ ორთაბათუმში. 1946 წელს დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობის წევრად. ახალგაზრდა მეჩაიე პლანტაციებს სანიმუშოდ უგლიდა და შედეგმაც არ დააყოვნა. 1948 წელს 15 წლის გოგონამ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 6318 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რაც იმ დროისთვის სარეკორდო მაჩვენებელი იყო.

ამ წარმატებისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვასპიე ბრუნჯაძეს 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

ვასპიე ბრუნჯაძე 1987 წელს დამსახურებულ პენსიაზე გავიდა გარდაიცვალა 2012 წელს

## მერიემ ჩამბა



მერიემ სულეიმანის ასული ჩამბა დაიბადა 1931 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ ორთაბათუმში. დაამთავრა ორთაბათუმის დაწყებითი სკოლა. 1944 წლიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა მეჩაიედ.

1948 წელს მერიემ ჩამბამ მასზე გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოიყვანა მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6232 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, მოწინავე მეჩაიეს მერიემ ჩამბას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 2017 წელს.

## ზერა ჩამბა

ზერა ახმედის ასული ჩამბა დაიბადა 1927 წლის 3 მაისს, ბათუმის რაიონის სოფელ ორთაბათუმში. დაამთავრა სოფლის დაწეებითი სკოლა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა გოგონა 1941 წელს ჩაება



საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა მეჩაიედ და სანიმუშოდ უვლიდა ჩაის პლანტაციას. მალე სახელიც გაითქვა, როგორც მოწინავე მეჩაიემ. 1948 წელს მასზე გაპიროვნებული 05 კექტარი ჩაის პლანტაციიდან მიიღო 6195 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ზერა ჩამბას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. გარდაიცვალა 1995 წელს.

## აჭაიხისწყლის ყოცმეუხნეობა

### მურთაზ (მუხმან) ჭელიძე

მურთაზ ხასანის ძე ჭელიძე დაიბადა 1914 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ მირვეთში, დაამთავრა მარადიდის დაწეებითი სკოლა, შემდეგ ბათუმის პარტიული სკოლა, აქტიურად მონაწილეობდა სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებაში. შემდეგ ეს პატარა კოლმეურნეობა აჭარისწყლის კოლმეურნეობას შეუერთდა.



1941 წლის 22 ივნისს ომის დაწყებისთანავე მურთაზ ჭელიძე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მას ერთ-ერთი ჰოსპიტლის გამგეობა მიანდეს, ის დღე-ღამეს ასწორებდა, რომ დაჭრილებს ნორმალური პირობები ჰქონოდათ.

ომის დამთავრების შემდეგ, აჭარისწყლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, მაგრამ მალე წავიდა სოფელში და მეთამბაქეთა რგოლს ჩაუდგა სათავეში. 1949 წლის 5 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს



პრეზიდენტი ბრძანებულებით, მურთაზ (მურმან) ჭელიძეს ბათუმის რაიონის აჭარისწყლის კოლმეურნეობის მერგოლურს, 3 ჰექტარი თამბაქოს ფართობის თვითიუფლ ჰექტარზე 23,2 ცენტნერი „სამსონის“ ჯიშის თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. 1950 წლიდან იგი აჭარისწყლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. სამწუხაროდ, მალე, 39 წლის ასაკში გარდაიცვალა. გაუჭირდა ოჯახს, მაგრამ გვერდში ამოუდგათ ცნობილი პიროვნება – მასოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლევან მჭედლიშვილი, რომელიც მურთაზ ჭელიძის ცოლისძმა იყო.

### შალვა (შაზიღე) ცინცაძე



შალვა სულეიმანის ძე ცინცაძე დაიბადა 1922 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათში, გლეხის ოჯახში, 1939 წელს დაამთავრა აჭარისწყლის არასრული საშუალო სკოლა და საკოლმეურნეო შრომაში ჩაება. მუშაობდა რიგით წევრად, მერგოლურად, ბრიგადირად. 1945-1947 წლებში კირნათის სასოფლო კლუბის გამგე იყო, შემდეგ ორი წელი აჭარისწყლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 1949 წლიდან 1975 წლამდე მუშაობდა კირნათის კოლმეურნეობის ბრიგადირად. შალვა ცინცაძემ 1949 წელს 3,1 ჰექტარი თამბაქოს ფართობის თვითიუფლ ჰექტარზე 19,5 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო მოიყვანა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტმა 1950 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

შაზიღე (შალვა) ცინცაძე გარდაიცვალა 1981 წელს.

### ჩემზი ნითეაძე

ჩემზი მემედის ძე წითელაძე დაიბადა 1924 წელს, ბათუმის, დღევანდელი ხელვაჩაურის, რაიონის სოფელ კირნათში. იქვე დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა რიგით წევრად, მეთამბაქოედ. 1945 წლიდან ის რგოლის ხელმძღვ-



ანელად აირჩიეს. მისმა რგოლმა 1949 წელს. 3 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 18 ცენტნერი სამსონის ჯიშის თამბაქო მოიყვანა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

რემზი წითელაძე 1984 წლამდე მუშაობდა კოლმეურნობაში, ის რამდენიმეჯერ იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად. 1984 წელს გავიდა პერსონალურ პენსიაზე, გარდაიცვალა 2004 წელს.

### ჯემალ მუთიძე

ჯემალ ხასანის ძე მუთიძე დაიბადა 1923 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ (ძაბლავეთში) კირნათის სასოფლო საბჭოში, სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობდა რიგით წევრად მეთამბაქოედ, ის მალე რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს.



ჯემალ მუთიძის რგოლმა 1948 წელს 3 ჰექტარი თამბაქოს ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოიყვანა 18,7 ცენტნერი სამსონის ჯიშის თამბაქო, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

ჯემალ მუთიძე შემდეგ წლებში მუშაობდა მერგოლურად, ბრიგადურად, შრომისმოყვარე ადამიანი კარგი აგტორიტეტით სარგებლობდა სოფელში.

ჯემალ მუთიძე გარდაიცვალა 1982 წელს.

## თენგიზ მჭედლიშვილი



თენგიზ მუსას ძე მჭედლიშვილი დაიბადა 1917 წელს, ხელვაჩაურის რაიონის აჭარისწყლის საბჭოს სოფელ მირვეთში. პირველდაწყებითი განათლება აჭარისწყლის სკოლაში მიიღო. 1932 წლიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობდა რიგით წევრად – მეთამბაქოედ, მერგოლურად, 20 წელზე მეტი იმუშავა ბრიგადირად.

1948 წელს თენგიზ მჭედლიშვილის ბრიგადამ სახელმწიფოს 5 ჰექტარი თამბაქოს ფართობის თითოეული ჰექტარიდან ჩააბარა 18 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

თენგიზ მჭედლიშვილი 1978 წელს გარდაიცვალა.

## გონიოს მეუხნეობა

1936 წლის 6 იანვრის გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ №6 წერდა: „გონიოს საბჭოთა მეურნეობის სტახანოველები.

ღიმილ-მანდარინის ტრესტის გონიოს საბჭოთა მეურნეობის პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მუშათა კოლექტივის უდიდეს საწარმოო აღტკინებას, ბრძოლას აგროტექნიკის დაუფლებისათვის, რამაც უზრუნველყო სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლა.

საბჭოთა მეურნეობაში მრავლად არიან სტახანოველები, რომლებიც ამყარებენ შრომის ახალ სარეკორდო მაჩვენებლებს.

ღაზარე ზეფირიდი აგროტექნიკის დაუფლებით 200 და უფრო მეტი პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმას. მოკრეფილი ციტრუსოვანთა ნაყოფის გადატანის დროს ზეფირიდიმ შრომის უჩვეულო ნაყოფიერების მაჩვენებელი მოგვცა. მანდარინის გატანის დღიური ნორმის 5000 ცალის მაგიერ მან პლანტაციებიდან მთავარ საწყობამდე გადაიტანა 21700 ცალი მანდარინი.

ახლა როცა საბჭოთა მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობაა საწარმოებს ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადების დარგში ზეფირიდიმ 200-250 პროცენტით ასრულებს სამუშაოთა დღიურ ნორმებს, მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი საუკეთესოა.

ა. გიგინეიშვილმა, ვ. მელნიკოვმა, ნ. ზეფირიდიმ და ფ. მაღალტაძემ გონიოს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს უჩვენეს ციტრუსების აგროტექნიკის დაუფლებისა და შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის სახელოვანი ნიმუშები.

შეუწევდა იზრდება სტახანოველების საყოფაცხოვრებო პირობები. თუ ლ. ზეფირიდი წინა თვეში ღებულობდა 250-300 მანეთს, ახლა მისი თვიური ხელფასი 600 მანეთამდე გაიზარდა.

საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციები შეუწევდა ზრუნავენ სტახანოველთა პირობების გაუმჯობესებაზე: სტახანოველებს მიეცათ კულტურულად მოწყობილი ცალკე ბინები, საბოსტნე ნაკვეთები და სხვა.

საბჭოთა მეურნეობას ჰყავს წარჩინებული აგროსპეციალისტები. ა. სალუქვაძე, აგროტექნიკოსები თოდრია და ორაგველიძე რომლებიც საუკეთესოდ უძღვებიან ჩაბარებულ რაიონებს, ეხმარებიან მუშებს

ნორმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში და იბრძვიან თვითოეული მუშის მიერ აგროტექნიკის „ფრიაღზე“ ათვისებისათვის.

ა. ლალაძე”

## გონიოს ჯობეუხნობა

### სალის ბაჟუჩიძე



სალის ოსმანის ძე ბაკურიძე დაიბადა 1913 წელს ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში. გონიოში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან დაიწყო მუშაობა მეციტრუსედ. მინდობილ საქმეს ყოველთვის ერთგულად ასრულებდა, რისთვისაც ის მერგოლურად დააწინაურეს. 1948 წელს სალის ბაკურიძის რგოლმა 800 ძირ სრულასაკოვან ფორთოხლის ხეზე საშუალოდ თითოეულ ძირზე 514 ცალი ფორთოხლის ნაყოფი მოკრიფა, რისთვისაც 1949 წლის 5 ივლისს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

სალის ბაკურიძე გარდაიცვალა 2012 წელს.

### ყელიხ ჯაკაბაძე



ყელიხ ხუშუტის ძე ჯაკაბაძე დაიბადა 1908 წელს ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში. იგი გონიოში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველი დღიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას ჩაისა და ციტრუსების გაშენებაში, 1948 წელს ყადირ ჯაკაბაძემ მასზე მიმაგრებული 250 ძირი მსხმოიარე სრულასაკოვანი ფორთოხლის ნარგავებიდან საშუალოდ თითოეულ ძირზე 638 ცალი ფორთოხლი მოკრიფა, რისთვისაც 1949





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ბსკ

წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ყადორ კაკაბაძე გარდაიცვალა 1984 წელს.

### დუხსუნ იაკუნაძე

დურსუნ რუშენის ძე იაკუნაძე დაიბადა 1910 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში. სოფელში კოლმეურნეობის შექმნისთანავე დაიწყო მუშაობა



რიგით წევრად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების გაშენებაში. სოფელში დაამთავრა დაწყებითი სკოლა, კოლმეურნეობაში მუშაობდა მერგოლურად, ბრიგადირად. მისმა ბრიგადამ 1500 ძირ მსხმოიარე სრულასაკოვან ფორთოხლის ხეზე თითოეულ ძირზე 370 ცალი ფორთოხალი მოკრიფა. რისთვისაც დურსუნ იაკუნაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

დურსუნ იაკუნაძე გარდაიცვალა 1966 წელს.

### დუხსუნ ბაკუჩიძე

დურსუნ ოსმანის ძე ბაკურიძე დაიბადა 1910 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში. სოფელში დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა. 1931 წელს შეიქმნა გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა და მეურნეობის შექმნის დღიდან ჩაება შრომაში, მონაწილეობას ღებულობდა ციტრუსების გაშენებაში.



1948 წელს მან გაპიროვნებული 250 ძირი ლიმონის სრულასაკოვანი ხიდან თითოეულზე 450 ცალი ლიმონი მოკრიფა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 2 აპრილს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

დურსუნ ბაკურიძე გარდაიცვალა 2007 წელს.

## ველოკია ხიჰუნე



ველოკია ეგორის ასული ხრიჰუნი დაიბადა 1920 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში. არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ მუშაობა დაიწყო გონიოს საბჭოთა მეურნეობაში მუშად მეციტრუსედ. მასზედ მიმაგრებულ ლიმონის ნარგავებს ყოველთვის მონდომებით, აგროტექნიკური ღონისძიების გათვალისწინებით უვლიდა. 1948 წელს მან გაპროექტებული 250 ძირი ლიმონის ნარგავებიდან, თითოეული ხიდან საშუალოდ 469 ცალი ლიმონი მოკრიფა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ველოკია ხრიჰუნი 1988 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ ლუგანსკში.

## კლავდია ალექსეევა

კლავდია ილიას ასული ალექსეევა დაიბადა 1919 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში. ადგილზე მიიღო დაწყებითი განათლება და 1934 წლიდან მუშაობა დაიწყო გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში მეციტრუსედ, ის გუდმოდინედ უვლიდა ლიმონის ნარგავებს და წარმატებით ასრულებდა გეგმებს.



კლავდია ალექსეევამ 1948 წელს, მასზე მიმაგრებული 250 მსხმოიარე ლიმონის ნარგავებიდან თითოეულ ძირზე მოკრიფა 458 ცალი ლიმონი, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ის 1989 წელს საცხოვრებლად გადავიდა რუსეთში.

## ვალენტინა ევსტაფიევა



ვალენტინა სიმონის ასული ევსტაფიევა დაიბადა 1920 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ მუშაობა დაიწყო გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში მუშად, მეციტრუსედ. 1948 წელს ვალენტინა ევსტაფიევამ მასზე მოსაველედ ჩაბარებული 250 ძირი მსხმოიარე სრულასაკოვან ფორთოხლის თითოეულ ხეზე საშუალოდ 460 ცალი ფორთოხალი მოკრიფა. რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ვალენტინა სიმონის ასულის ევსტაფიევა გარდაიცვალა 1968 წელს.

## ევლოკია მაქსიმოვა

ევლოკია სტეფანეს ასული მაქსიმოვა დაიბადა 1918 წელს, გონიოში. არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ მუშაობა დაიწყო გონიოს საბჭოთა მეურნეობაში მუშად ციტრუსების მომვლელად. ის ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას დროულად და მაღალხარისხოვნად ასრულებდა. 1948 წელს ევლოკია მაქსიმოვამ 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ლიმონის თითოეულ ხეზე 462 ცალი ლიმონი მოკრიფა. რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1949 წლის 5 ივლისის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.



ევლოკია მაქსიმოვა 1987 წელს საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა.

## სალიბაუჩის საბჭოთა მეუხნეობა

### ბენიამინ მიქაძე



ბენიამინ მიხეილის ძე მიქაძე დაიბადა 1906 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში. 1928 წელს დაამთავრა გორაბერევეულის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ოჩხამურში აგროტექნიკოსად, 1935 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი. 1939 წელს მუშაობა დაიწყო ოჩხამურის საბჭოთა მურნეობაში აგრონომად. 1941 წელს მუშაობდა სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის აგრონომად.

ბ. მიქაძე 1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში იყო, ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის აგრონომად. 1949 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

1951 წელს 34,3 ჰექტარ ფართობზე თითოეულ ჰექტარზე 5581 კგ. ხარისხიანი ჩაის ფოთლის მოყვანისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ბ. მიქაძე 1962-1968 წლებში ბათუმის რაიონის ერგეს კოლმეურნეობის აგრონომი იყო. გარდაიცვალა 1973 წელს.

### ვლადიმეი ყვაჭაძე

ვლადიმერ ესეს ძე კვაჭაძე დაიბადა 1904 წელს ლანჩხუთის რაიონის ზედა ჭინათში, გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო აგრონომის წოდება. მუშაობდა ქობულეთის რაიონის სამკურნალო მცენარეების მეურნეობაში აგროტექნიკოსად, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსად.



ვ. კვაჭაძე 1942 წელს დიდ სამამულო ომში გაიწვიეს, ომიდან



დაბრუნების შემდეგ იყო სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, აგროგანყოფილების მმართველი.

ვლადიმერ კვაჭაძეს, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს 1951 წელს 62 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან თითოეულ ჰექტარზე 8029 კილოგრამი ხარისხიანი ჩაის ფოთლის მოყვანისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1956 წლიდან 1964 წლამდე მუშაობდა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის აგრონომად.

გ. კვაჭაძე გარდაიცვალა 1977 წელს.

### აღუქსანდრე ყვაჭაძე



აღუქსანდრე სიოს ძე კვაჭაძე 1947-1953 წლებში მუშაობდა ბათუმის რაიონის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომად.

მისი ხელმძღვანელობით სალიბაურის საბჭოთა მეურნეობამ 1950 წელს 100,2 ჰექტარის ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე 4219 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანა, რისთვისაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის ბრძანებულებით, აღუქსანდრე სიოს ძე კვაჭაძეს სოციალისტური

შრომის გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო“.

სხვა ინფორმაცია ა. კვაჭაძის შესახებ არ მოიპოვება.

### ელენე ყამბუჩიანი

ელენე ვაგანის ასული კამბურიანი დაიბადა 1922 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ სალიბაურში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდა ჩაება შრომაში. მუშაობდა სალიბაურის მეურნეობაში მეციტრუსედ, მენაიდ. სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა გეგმა დავალებას.



1950 წელს ელენე კამბურიანმა 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 6221 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1951 წლის 1 სექტემბერს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

## უჩების ჯორმუხნეობა

### თამაზ გორგილაძე



თამარ მამიას ასული გიორგაძე დაიბადა 1919 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურესში. 1932 წლიდან მუშაობდა ურეხის კოლმეურნეობაში მეჩაიედ, მეციტრუსედ, მეაბრეშუმედ, ბრიგადირად, აგროტექნიკოსად. თ. გორგილაძე 1939-1940-1941 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე იყო.

თ. გორგილაძეს 1949 წელს მაღალი შრომითი მიღწევებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

თ. გორგილაძე გარდაიცვალა 1985 წელს.

## მეჩინისწყლის ჯორმუხნეობა

### მამუდ მიქელაძე

მამუდ რამიზის ძე მიქელაძე დაიბადა 1928 წელს, ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში. ის ცნობილი პირველი ჟურნალისტიკოსი და საზოგადო მოღვაწის, აბდულ მიქელაძის შვილიშვილი იყო.

მამუდ მიქელაძემ 1943 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა და მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყალში. იგი ახალგაზრდობიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობდა რიგით წევრად, ციტრუსების მომვლელად, რგოლის



ხელმძღვანელად, მალე ის თანამოსაქმეებმა ბრიგადირად აირჩიეს. მამუდის ბრიგადა ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებდა გეგმას და სოციალისტრ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოდიოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავზე მისმა ბრიგადამ, როცა რაიონის მეციტრუსეობაში საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 9,1 ტონა იყო მამუდ მიქელაძის ბრიგადამ საუკეთესო შედეგებს მიაღწია, ციტრუსოვანთა ბაღის სანიმუშო მოვლით, ყველა აგროტექნიკური ღონისძიების გატარებით 13 ჰექტარი ციტრუსოვანთა ბაღის თითოეულ ჰექტარზე 29,1 ტ. მანდარინი მოკრიფა, რისთვისაც მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1978 წლის თებერვალში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

შრომის მაღალი ორგანიზაციის დანერგვით და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით ბრიგადა წარმატებებს აღწევდა მებოსტნეობაში, მეხილეობაში, საკვებწარმოებაში, მეაბრეშუმეობაში და გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებდა, რის გამოც ყველა კოლმეურნე წვერი ბრიგადაში ღებულობდა პრემიალურ ანაზღაურებას.

მამუდ მიქელაძე 1988 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 2004 წელს.

### ხუსეინ ბეჩიძე



ხუსეინ მამუდის ძე ბერიძე დაიბადა 1905 წელს, ქედის რაიონის სფელ ზენდიდში. ქედის სკოლაში მიიღო დაწყებითი განათლება. 1927-1945 წლებში მუშაობდა ზენდიდის კოლმეურნეობაში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კოლმეურნეობაში ვენახების გაშენებაში.

1945 წელს ხუსეინ ბერიძე საცხოვრებლად გადავიდა ბათუმის რაიონის მეჯინისწყლის კოლმეურნეობაში და მუშაობა დაიწყო ციტრუსების მომეღელად. 1948 წელს 400 ძირ სრულასაკოვან მსხმოიარე მანდარინის ხეზე საშუალოდ 1412 ცალი მანდარინი – 28000 კილოგრამი მოკრიფა. რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებ-

უღებოთ ხუსეინ ბერიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. 1970 წელს ხუსეინ ბერიძე გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 1981 წელს.

## განთიადის ჯორძეხნობა დუხუნ ჯომახიძე



დურსუნ ომერის ძე კომახიძე დაიბადა 1927 წელს ბათუმის რაიონის სოფელ განთიადში. 1941 წელს, 8 კლასი დაამთავრა და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, 1947 წელს დურსუნს 250 ძირი ლიმონის ნარგავი ჩააბარეს მოსავლელად და თან ჩაის პლანტაციამდე მუშაობდა. 1948 წელს თითოეული ლიმონის ნარგავიდან 454 ცალი ლიმონი მოკრიფა.

1949 წლის 29 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დურსუნ კომახიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. 1949 წლის დიდთოვლობამ და მკაცრმა ზამთარმა დააზიანა ციტრუსოვანთა ნარგავები, დურსუნმა ამოძირკვა გაყინული დაზიანებული ნარგავები და ფორთოხლის ბალი გააშენა. ოთხი წელი უვლიდა და 1955 წელს ახალგაშენებული ნარგავებიდან 4 ტონა მოსავალი მიიღო. 1958 წელს გმირი საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე იყო გაგზავნილი.

დურსუნ კომახიძე აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრი იყო რამოდენიმე წლის მანძილზე. გარდაიცვალა 1998 წელს.



## ახალშენის საბჭოთა მეუხნეობა გიორგი შიტიშვილი

გიორგი იროდიონის ძე შიტიშვილი დაიბადა 1905 წელს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მზიანში. საშუალო განათლების მიღების



შემდეგ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომის სპეციალობით და წლების განმავლობაში მუშაობდა ცეცხლაურის მეურნეობის დირექტორის მოადგილედ.

1945 წლიდან გიორგი შიტიშვილი ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის უფროს აგრონომად მუშაობდა, თავისი ენერგიული მუშაობით 1948 წელს 5084 ძირ სრულასაკოვან მსხმოიარე ლიმონის ხეზე საშუალოდ თითოეული ძირიდან 274 ცალი ლიმონი მოკრიფეს, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით გიორგი შიტიშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

გიორგი შიტიშვილი 1964 წელს მახვილაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაინიშნა, სადაც 1970 წლამდე მუშაობდა.

გიორგი შიტიშვილი გარდაიცვალა 1971 წელს.

### ვლადიმეხ ლომაძე



ვლადიმერ ნიკიფორეს ძე ლომაძე დაიბადა 1904 წელს, ოზურგეთში. 1928 წელს მუშაობა დაიწყო რაიონის აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხანაში. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1937 წელს მუშაობა დაიწყო მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. 1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში იყო 1945 წელს ომგამოვლილი ვლადიმერ ლომაძე დაინიშნა ბათუმის რაიონის

ნის ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

ახალშენის საბჭოთა მეურნეობამ 1948 წელს სრულასაკოვან 5084 ძირი ღიმონის თითოეულ ხეზე მიიღო 274 ცალი ღიმონი მოკრიფა. ამ წარმატებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით, მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. ვლადიმერ ლომადის მუშაობით ახალშენის საბჭოთა მეურნეობა მუდამ მოწინავე იყო. 1964 წელს ვლადიმერ ლომადე დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. ის გარდაიცვალა 1972 წელს.

### მიხეილ ხუნდაძე



მიხეილ ბარნაბის ძე ხუნდაძე დაიბადა 1908 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ კალაგონში. მუშაობდა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორისტად. 1933 წლიდან მიხეილ ხუნდაძე მუშაობას იწყებს ბათუმის რაიონის ახალშენის ციტრუსების მეურნეობაში მუშად, შემდეგ ბრიგადირად.

მ. ხუნდაძეს 1949 წლის 5 ივლისს ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1983 წელს.

### ახალშენის ჯოცმეუხნეობა

#### მაჩია ჰახასკევეჯილი

მარია ივანეს ასული პარასკევიძე დაიბადა 1918 წელს, ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში. 1932 წელს დაამთავრა ახალშენის არასრული საშუალო სკოლა და მშობლებთან ერთად ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. დედა ელენე პეტრეს ასული და მამა ივანე გიორგის ძე პატიოსანი მშრომელები იყვნენ. მარია პარასკევიძე ღმერთს თავე გამოიჩინა როგორც მოწინავე მეჩაიემ, ის სანიმუშოდ უვლიდა ჩაის პლანტაციას, დროულად ატარებდა აგროტექნიკურ



ღონისძიებებს, და კოლმეურნეობაში სანიმუშო მეჩაიე გახდა. 1948 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის ფართობიდან 6360 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

მარია პარასკევეჭულო 1978 წელს გავიდა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე.

1990 წელს საცხოვრებლად გადავიდა კრასნოდარის მხარეში და იქ გარდაიცვალა.

ხელვაჩაურის რაიონში ჩაის დამზადება  
1987 წ. 28 სექტემბრის მდგომარეობით

კოლმეურნეობები	გეგმა.ტ.	შესრულება. ტ.	
ქედქედი	305	361.6	
აჭარისწყალი	828	950.8	
კირნათი	786	866.8	
მახინჯაური	1128	1212.8	
მახო	1175	1260.3	
სარფი	468	501.3	
ჭარნალი	228	877.1	
ახალსოფელი	1475	1552.6	
ახალშენი	2517	2603	
თხილნარი	1359	1394.5	
ერგე	1124	1154.9	
მეჯინისწყალი	221	225.7	
ჩაისუბანი	3610	3658.5	
ხელვაჩაური	464	470	
გონიო	703	702.4	
ჩხუტუნეთი	170	171.7	
ურეხი	1119	1020.3	
საბჭოთა მეურნეობები			
ახალშენი	234	245.7	
სალიბაური	857	885.8	
თხილნარი	929	950.3	
მახინჯაური	250	251.8	

სულ რაიონში 22265 23061.6

12. ხელვაჩაურის რაიონული გაზეთი „ოქტომბრის ვაი“ 1987 წ. 29  
სექტემბერი

## სოციალისტური შრომის გმიხები ქელის ხაონიდან



თამბაქოს მცენარე ტექნიკურ სიმწიფეში



თამბაქოს საშრობი მერისში 1936 წ.

## ოქროპირ ბეჩიძე

ოქროპირ ნიკოფორეს ძე ბერიძე დაიბადა 1908 წელს, ქ. ქუთაისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიური ფაკულტეტი.



ო. ბერიძე 1930-1941 წლებში მუშაობდა აჭარის ფინანსთა კომისარიატის ინსპექტორად. აჭარხილბოსტან ვაჭრობის ქობულეთის კანტორის ეკონომისტად, ქობულეთის რაიადმასკომის საგვემო კომისიის თავმჯდომარედ, მიწგანის გამგედ, რაიადმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ფინგანის გამგედ.

ო. ბერიძე 1942 წელს აირჩიეს საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის მდივნად კადრების დარგში, ხოლო 1942-1944 წლებში

მუშაობდა რაიკომის მეორე მდივნად. 1944-1949 წლებში საქართველოს კპ ქედის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის დროს რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 26,5 პროცენტით გადაჭარბებისათვის, ოქროპირ ბერიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

1949 წელს ო. ბერიძეს ირჩევენ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. შემდეგ მუშაობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლად აჭარაში.

1953 წლიდან 1976 წლამდე ოქროპირ ბერიძე იყო საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. ო. ბერიძე გარდაიცვალა 1976 წელს.

## ჯახლო მემედის ძე მეხეჯიძე

კარლო მეგრელიძე დაიბადა 1907 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ხუცუბნის დაწყებით სკოლაში. შემდეგ დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი, 1929-1933 წლებში მუშაობდა



ბათუმის მშრომლთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს განათლების განყოფილების გამგედ.

1938 წელს დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და დაინიშნა ბათუმის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორად. ამავე დროს ლექციებს კითხულობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1942 წელს ის ინიშნება ქედის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1949 წლის 2 მაისს კ. მეგრელიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება ქედის რაიონში მაღალხარისხოვანი თამბაქოს გეგმის 26,5 პროცენტით გადაჭარბებით შესრულებისათვის.

1950 წელს კ. მეგრელიძე ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორია. ამავე წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც მუშაობდა 1969 წლამდე, პენსიაში გასვლამდე, პენსიაში გასვლის შემდეგ მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში.

კ. მეგრელიძე რამდენიმეჯერ არჩეული იყო ქედისა და ქობულეთის რაიკომის წევრად და რაისაბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო ლენინისა და წითელი დროშის ორდენებით.

კ. მეგრელიძე გარდაიცვალა 1978 წელს.

### ყელი (ვახტანგ) სუციმანის ძე ჩხეიძე

ყელი ჩხეიძე დაიბადა 1910 წელს, ქედის რაიონის სოფ. აქუცაში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქედაში. შემდეგ დაამთავრა ყვარლის სატყეო ტექნიკუმი. 1930-1931 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის მთავარ აგრონომად. შემდეგ დაამთავრა თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი და მუშაობდა ხულოს რაიმიწვანის მთავარ აგრონომად.

ყელი ჩხეიძე 1943-1947 წლებში მუშაობდა ქედის საშუალო სკო-



ლაში და ქედის პედაგოგიურ სასწავლებელში სადაც ასწავლიდა ქიმია-ბიოლოგიას. ამავდროულად, 1946-1952 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. მისი ხელმძღვანელობით რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად დაიწყო ვენახებისა და ჩაის გაშენება. დიდი ყურადღება ექცეოდა რაიონის შემოსავლის ძირითადი დარგის, მეთამბაქოეობის განვითარებას. მან უზრუნველყო რაიონის მასშტაბით თამბაქოს მოსავლის 26,5 პროცენტით გემის გადაჭარბებით დამზადება, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 ივლისს ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ყედიჩ ჩხეიძეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს დამსახურებული აგრონომის წოდება. 1963-1968 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად.

ყედიჩ ჩხეიძე, როგორც უნარანი და გამოცდილი სპეციალისტი, დანიშნეს შუახევის ახლადშექმნილი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად, შემდეგ მუშაობდა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. გარდაიცვალა 1977 წელს.

ყედიჩის დარჩა ორი შვილი: ნოდარ ჩხეიძე – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, ოთხი შვილის მამა.

ქალიშვილი მზევინარი პედაგოგია.

### თამაჩა სიხაჩიძე



თამარ სიხარულიძე დაიბადა 1917 წელს ჩოხატაურის რაიონში. აქვე დაამთავრა 7-წლიანი სკოლა. შემდეგ დაამთავრა ქ. სოხუმში პედაგოგიური ტექნიკუმი. 1938-1939 წლებში მუშაობდა ჩოხატაურის რაიონის მიწათმოქმედების განყოფილებაში, შემდეგ ჩოხატაურის რაიონის საქმეთა



მმართველად. თ.სიხარულიძემ 1944 წელს დაამთავრა თბილისის სა-სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქედის რაიონში თესლის ლაბორატორიის გამგედ. შემდეგ ამავე რაიონის მთავარ აგრონომად. თ. სიხარულიძეს 1949 წლის 3 მაისს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1952-1954 წლებში ის მუშაობდა პარტიის ქედის რაიკომის მდივნად. 1955-1957 წლებში არჩეული იყო რაიკომის მეორე მდივნად. 1957 წლიდან მუშაობდა სამტრედიის რაიონის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. გარდაიცვალა 1985 წლის დეკემბერში.

### შაღვა (ახმედ) აბაშიძე

შაღვა (ახმედ) შუღვიბის ძე აბაშიძე დაიბადა 1920 წელს, ქედის



რაიონის სოფელ ცხმორისში. სოფელში მიიღო დაწყებითი განათლება. 1938-1939 წლებში დაამთავრა სოფ. ცხმორისის 8-წლიანი სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში რიგით წევრად, შემდეგ მერგოლური იყო.

თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1949 წლის 18 ივნისს, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა და გადასცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

შემდეგ შაღვა აბაშიძემ დაამთავრა საგურამოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეების მოსამზადებელი სკოლა და მუშაობდა დანდალოსა და ცხმორისის საბჭოების უბნის აგრონომად. 1955 წელს აირჩიეს სოფელ ცხმორისის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ამ დროს მან დაამთავრა საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტი სწავლული აგრონომის სპეციალობით. 1959-1960 წლებში კვლავ უბნის აგრონომია. შემდეგ მუშაობდა რაიონის ჰიდრომელიატორად. 1961 წლიდან ქედის რაიონის სახელმწიფო შესყიდვების ინსპექტორად.

შ. აბაშიძე 1963-1965 წლებში ქედის სასოფლო-საწარმო პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-ორგანიზატორი იყო.

1965-1967 წლებში იყო საქართველოს კპ. ქედის რაიკომის

ინსპექტორი, ხოლო 1967-1976 წლებში – ქედის რაიონის თამბაქოს დამზადების კანტორის უფროსი.

შ. აბაშიძე 1976-1979 წლის იანვრამდე ქედის რაიონის ცხმორისის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. 1979 წლის იანვრიდან გავიდა პერსონალურ პენსიაზე. შ. აბაშიძე გარდაიცვალა 1992 წელს.

### ეუბ ანანიძე



ეუბ იუნუსის ძე ანანიძე დაიბადა 1898 წელს, ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფელში შეისწავლა წერა-კითხვა და კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისთანავე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა რიგით წევრად, მერგოლურად, ბრიგადირად.

ეუბი 1936 წელს სოფელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია. შემდეგ სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. 1939 წელს კი კვლავ აირჩიეს სოფლის თავკაცად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით, ეუბ ანანიძეს სოფ კოკოტაურის კოლმეურნეობის „მერგოლურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობიდან თითოეულ ჰექტარზე 25 ცენტ ნერი თამბაქოს ფოთოლი მოიწია”, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი ნამგალი და ურო.

1950-1954 წლებში ეუბ ანანიძე ცხმორისის და კოკოტაურის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, გარდაიცვალა 1971 წელს.

### ისრაფილ ნაკაშიძე

ისრაფილ ოსმანის ძე ნაკაშიძე დაიბადა 1931 წელს, ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში. 1947 წელს დაამთავრა სოფელ ცხმორისის 8-წლიანი სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობის მერგოლურად. 1949 წლის 18 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ისრაფილ ნაკაშიძეს სოციალისტური




შრომის გმირის წოდება მიენიჭა, გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“ – 0,5 ჰექტარ ფართობზე „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქოს ჰექტარზე 25 ცენტნერის და 2,95 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 18 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ისრაფილ ნაკაშიძე 1957 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა ბათუმის რაიონის მეჯინისწყლის კოლმეურნეობაში და 1991 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობის ბრიგადირად.

გარდაიცვალა 2016 წელს.

### ახმედ ნაკაშიძე



ახმედ რიზმანის ძე ნაკაშიძე დაიბადა 1907 წელს, ქედის რაიონის სოფელ ახოში. სოფელში შეისწავლა წერა-კითხვა. კოლმეურნეობის შექმნისთანავე, 1929 წლიდან ჩაება შრომით საქმიანობაში. 1941-1945 წლებში გმირულად იბრძოდა სამშობლოს დასაცავად, საიდანაც მრავალი ჯილდოთი და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა და კვლავ ჩაება საკოლმეურნეო შრომაში.

ახმედ ნაკაშიძეს 1949 წლის 18 ივნისის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, 3 ჰექტარი ფართობის, თითოეულ ჰექტარზე 18,1 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის და გადაეცა ლენინის ორდენი, ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

ახმედ ნაკაშიძემ შემდეგ მუშაობა გააგრძელა მევენახეთა რგოლის ხელმძღვანელად.

გარდაიცვალა 1988 წელს.

## აბდულ (ამირან) ბერიძე



აბდულ (ამირან) აღის ძე ბერიძე დაიბადა 1918 წელს, ქედის რაიონის სოფელ ახოში.

აბდულ ბერიძე ახალგაზრდა ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა მერგოლურად, ბრიგადირად. მისი რგოლი და ბრიგადა ყოველთვის მოწინავე იყო, ამიტომ მას მუდამ გამგებობის წევრად ირჩევდნენ.

1949 წლის 9 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, სოფელ ახოს კოლმეურნეობის მერგოლურს ა. ბერიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, 3 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე 101,1 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

ა. ბერიძე გარდაიცვალა 1985 წელს.

## შუქრი მუხამეის ძე ჯაყელიძე



შუქრი ჯაყელიძე დაიბადა 1898 წლის 9 ოქტომბერს, ქედის რაიონის სოფელ დანდალოში. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება. დანდალოს კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისთანავე ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. წლების განმავლობაში მუშაობდა მერგოლურად, რომელმაც 1948 წელს 3 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 18,7 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო მოიყვანა.

ამ წარმატებისათვის 1949 წლის 3 ივლისის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დანდალოს კოლმეურნეობის მერგოლურს შუქრი ჯაყელიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

შუქრი ჯაყელიძე შემდგომ წლებში მუშაობდა კოლმეურნეობის ბრიგადირად, 1954 წლის 27 დეკემბერს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

### მუხამედ ოსმანის ძე ახქენაძე

მუხამედ არქენაძე დაიბადა 1923 წლის 9 ივლისს, ქედის რაიონის სოფელ დანდალოში, იქვე დაამთავრა დაწვებითი სკოლა, შემდეგ



მიიღო არასრული საშუალო განათლება და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში მეთამბაქოედ. მალე იგი მერგოლურად აირჩიეს, მისმა რგოლმა 1948 წელს 3 ჰექტარ თამბაქოს ფართობის თითოეულ ჰექტარზე 18,6 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო მოიყვანა, რისთვისაც 1949 წლის 3 მაისის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური გმირის წოდება მიენიჭა. 1954 წელს მ. არქენაძემ საგურამოს სამწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაამთავრა. 1955 წ. აგროტექნიკოსად დანიშნეს დანდალოს კოლმეურნეობაში.

მ. არქენაძე შემდგომ წლებში მუშაობდა კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირად.

გარდაიცვალა 1982 წელს.

### მამუდ ხალვაში



მამუდ ახმედის ძე ხალვაში დაიბადა 1918 წელს, ქედის რაიონის სოფელ კანტაურში.

მამუდ ხალვაში კანტაურში კოლმეურნეობის შექმნიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. 1945 წლიდან მუშაობდა მერგოლურად.

1949 წლის 18 ივნისს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა,

გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

მამულ ხალვაში გარდაიცვალა 1965 წელს, 47 წლის ასაკში.

### ალი საფარხიძე



ალი ყედირის ძე საფარხიძე დაიბადა 1909 წელს ქედის რაიონის სოფელ დოლოგანში, გლეხის ოჯახში. სოფელშივე მიიღო დაწვებითი განათლება და ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. მუშაობდა დოლოგანის კოლმეურნეობაში რიგით წევრად, მერგოლურად, ფერმის გამგედ.

ალი საფარხიძის რგოლმა 1948 წელს 0,4 ჰექტარი თამბაქოს ფართობიდან სახელმწიფოს ჩააბარა „ტრაპზონის“ ჯიშის 27,5 ცენტნერი თამბაქოს ფოთოლი და 2,6 ჰექტარი თამბაქოს ფართობიდან 25,5 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის

თამბაქოს ფოთოლი.

ამ წარმატებისათვის ალი საფარხიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ალი საფარხიძე 1974 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 1999 წელს.

### მემედ ღოთქიფანიძე



მემედ სულეიმანის ძე ღოთქიფანიძე დაიბადა 1902 წელს, ქედის რაიონის სოფელ დოლოგანში. სოფელში კოლმეურნეობის შექმნის პირველი დღიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. სოფელშივე დაამთავრა დაწვებითი სკოლა.

მემედ ღოთქიფანიძე წლების განმავლობაში სათავეში ედგა რგოლს, მისმა რგოლმა 1948 წელს 1,4 ჰექტარი ფართობიდან თი-

თოველ ჰექტარზე გაანგარიშებით 25,6 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო მოიყვანა და 1,6 ჰექტარზე თითოეულ ჰექტარზე გადაანგარიშებით 26,5 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით, მემედ ლორთქიფანიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

მემედ ლორთქიფანიძე 1967 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში და გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

იგი გარდაიცვალა 2001 წელს.

### ჰახუნ შილაძე

ჰარუნ სულეიმანის ძე შილაძე დაიბადა 1924 წელს, ქედის რაიონის სოფელ დოლოგანში. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება და




ახალგაზრდობიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, მუშაობდა კოლმეურნეობაში რიგით წევრად. მალე ახალგაზრდა კაცი რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს. 1948 წელს ჰარუნ შილაძის რგოლმა 0,6 ჰექტარზე მოიყვანა 25,1 ცენტნერი ტრაპიზონის ჯიშის თამბაქო და 2,4 ჰექტარზე 18 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო ჰექტარზე გაანგარიშებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით, ჰარუნ შილაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ჰარუნ შილაძე 1950 წლიდან მუშაობდა კოლმეურნეობაში ბრიგადირად, მისი ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებდა თამბაქოს გეგმებს, შემდეგ წლებში ჰარუნ შილაძის ხელმძღვანელობით დოლოგანში გაშენდა ჩაის პლანტაციები და ბრიგადა მეჩაიეობაში მოწინავე იყო.

ჰარუნ შილაძე 1989 წელს გავიდა პერსონალურ პენსიაზე. გარდაიცვალა 2005 წელს.

# სოციალური შრომის გმიხები ხეობს ხაონში



თამბაქოს ფოთლის შრობის პროცესი



## ვლადიმეი სხაპაიძე



ვლადიმერ ტრაპაიძე დაიბადა 1911 წლის 2 სექტემბერს, მახარაძის რაიონში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფინანსისტის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო მშობლიურ რაიონში რაიადმასკომის ინსპექტორად, საფინანსო განყოფილების გამგედ, მოგვიანებით დააწინაურეს პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად.

1947 წლიდან ვლადიმერ ტრაპაიძე საქართველოს კპ(ბ) ხულოს რაიკომის პირველი მდივანი იყო.

ვლადიმერ ტრაპაიძემ თავისი აქტიური და ნაყოფიერი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად ხულოს რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 22,6 პროცენტი გადაჭარბებით შესრულება, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გამირის წოდება მიენიჭა.

ვლადიმერ ტრაპაიძე 1951 წლიდან გადაიყვანეს თბილისში. დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ, შემდეგ – პირველ მოადგილედ, ბოლოს კი განაგებდა ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო სამსახურს.

ვლადიმერ ტრაპაიძე გარდაიცვალა 1994 წელს.

## ლევან მიხეილის ძე დავითაძე

ლევან მიხეილის ძე დავითაძე დაიბადა 1916 წელს, შუახევის რაიონის სოფელ შუახევში. 1937 წელს დაამთავრა სამასწავლებლო ინსტიტუტი, 1950 წელს – ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1952 წელს – სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1937 წლიდან 1942 წლამდე მუშაობდა სახალხო განათლების დარგში. იყო ხულოს განათლების განყოფილების გამგე. 1942 წელს აირჩიეს საქართველოს კპ (ბ)



ხულოს რაიკომის მდივნად, ხოლო 1944 წელს – ხულოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ლევან დავითაძეს 1949 წლის 7 მაისს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ხულოს რაიონში თამბაქოს გეგმის 22,6 პროცენტით გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ლ. დავითაძე 1949-1950 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

1953 წელს ლ. დავითაძე საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად აირჩიეს, ხოლო 1961 წელს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1975 წლიდან მუშაობდა თხილნარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

ლ. დავითაძე არჩეული იყო სსრ კავშირის მეექვსე და მეშვიდე მოწვევის დეპუტატად.

გარდაიცვალა 1992 წელს.

### შალვა ჩხაიძე

შალვა კონსტანტინეს ძე ჩხაიძე დაიბადა 1915 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლა გომში. შრომითი საქმიანობა 1933 წელს, ფოთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ დაიწყო ქ. ბათუმში. შალვა ჩხაიძემ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მუშაობდა ხულოს რაიონის ჭვანის სასოფლო საბჭოს აგრონომად, ხულოს რაიონის მთავარ აგრონომად.



1949 წლის 3 ივლისს შალვა ჩხაიძეს – ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბ-

ჭოს პრეზიდენტი ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, რაიონში თამბაქოს გეგმის ზევით 22,6 პროცენტით გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შალვა ჩხაიძე 1952 წლიდან მუშაობდა ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად და რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს კპ შუახევის რაიკომის მეორე მდივანად, შუახევის და ხულოს გაერთიანებული რაიონების სავარმო სამმართველოს უფროსად.

17 წელი ხელმძღვანელობდა ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობას, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე იყო საქართველოში.

შ. ჩხაიძე სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული ნედლეულის შენახვისა და გადამამუშავებელი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად. შალვა ჩხაიძე გარდაიცვალა 2005 წლის ივლისში.

### უნქეხ ბოლქვაძე

უნქერ ყელემის ასული ბოლქვაძე დაიბადა 1920 წელს, ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში. 1934 წელს დაამთავრა წაბლანის დაწყებითი სკოლა. 1934 წლიდან წაბლანის კოლმეურნეობის წევრი გახდა და მეთამბაქოედ დაიწყო მუშაობა, მალე ახალგაზრდა ქალი რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს. მისი რგოლი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებდა სახელმწიფოზე მაღალხარისხოვანი თამბაქოს მიყიდვის გეგმას. 1950 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა 3 ჰექტარი თამბაქოს ფართობის თითოეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი მაღალხარისხოვანი „ტრაპზონის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის. ის დაჯილდოებული იყო ორდენით 1941-1945 წლებში, დიდი სამამულო ომში ზურგში მამაცური შრომისათვის.



1951 წლის 18 თებერვალს ხულოს რაინის კვატის №44 საარჩევნო

ოლქის ამომრჩევლებმა უნქერ ბოლქვაძე ერთხმად აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

მას, როგორც მოწინავე მეთაშბაქოეს, ხუთი შვილის დედას, 1984 წელს რიგგარეშე გამოუყვეს მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“. გარდა-იცვალა 2014 წელს.

### ბეჟან ფაცაჟანიშვილი



ბეჟან ილიას ძე ფაცაჟანიშვილი დაიბადა 1913 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქეში. სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს სამუშაოდ ხულოს რაიონში, მუშაობდა აგრონომად. 1947 წლიდან დააწინაურეს ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომად. 1948 წელს თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გემის 22,6 პროცენტით გადაჭარბებით შესრულება, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მაისს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

### დემუხად მელაძე



დემურად თალიბის ძე მელაძე დაიბადა 1880 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ალმეში, გლეხის ოჯახში. მშობლები ადრე გარდაეცვალა და პატარა დემურადმა მოჯამაგირედ დაიწყო მუშაობა.

1930 წელს დემურად მელაძე შევიდა სოფელ ალმის კოლმეურნეობაში, შემდეგ რამოდენიმე წელი მუშაობდა სოფლის კოოპერატივში. 1934-1941 წლებში დ. მელაძე მუშაობდა ხულოს რაიონის სოფელ ალმეს კოლმეურნეობის რიგთ წევრად, 1941 წლიდან კოლმეურნეობის მერგოლურია. დემურად მელაძის მევენახეთა რგოლმა 3 ჰექტარი ვენახიდან თითოეულ ჰექტარზე 100,2

ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ის იყო ყველაზე ასაკოვანი გმირი აჭარიდან.

დ. მელაძე დაჯილდოებული იყო მედლით, „1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში მამაცური შრომისათვის“, ის აჭარის უმაღლესი საბჭოს მეორე მოწვევის დეპუტატი იყო.

1951 წ. 18 თებერვალს მელაძე ხულოს რაიონის ხულოს №339 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა საქარველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. გარდაიცვალა 1958 წელს.

### ხამზა მახარაძე

ხამზა შახოს ძე მახარაძე დაიბადა 1909 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ფანხაში, გლეხის ოჯახში. სოფელში მიიღო დაწვეებითი განათლება, კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან მუშაობდა კოლმეურნეობაში მეთამბაქოედ. 1943 წლიდან რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს.



1949 წელს ხამზა მახარაძის რგოლმა 3 ჰექტარი თამბაქოს ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოიყვანა 25 ცენტნერი „ტრაპზონის“ ჯიშის თამბაქო, რისთვისაც ხამზა შახოს ძე მახარაძეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1950 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

ხამზა მახარაძე გარდაიცვალა 1992 წელს.

### ხასან სუქმანიძე

ხასან მაირის ძე სუქმანიძე დაიბადა 1920 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ფანხაში. წლების განმავლობაში მუშაობდა ფანხის კოლმეურნეობაში რიგით წევრად, მერგოლურად, საწყობის გამგედ, ფერმის გამგედ. შრომისმოყვარე და უნარიანი ახალგაზრდა კაცი კოლმეურნე-



ეგმა ბრიგადირად აირჩიეს. 1948 წელს ხასან სურმანიძის ბრიგადამ 3 ჰექტარი თამბაქოს ფართობის თითოეულ ჰექტარზე 25,1 ცენტნერი „ტრაპზონის“ ჯიშის თამბაქო მოიყვანა.

ამ წარმატებისათვის 1949 წლის 3 ივნისის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ხასან მაირის ძე სურმანიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ხასან სურმანიძე 1980 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. გარდაიცვალა 1998 წელს.

### მუხშიდ დეკანაძე

მურშიდ შუქრის ძე დეკანაძე დაიბადა 1908 წელს, ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილებში. დაამთავრა სოფლის დაწვებითი სკოლა. შრომისმოყვარე ახალგაზრდა სოფელმა 1929 წელს ახლადჩამოყალიბებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1932-



1933 წლებში არჩეული იყო ხულოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, 1933-1935 წლებში მუშაობდა სოფელ დეკანაშვილების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, 1935-1936 წლებში კვლავ ხულოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა.

1936-1937 წელს იგი კვლავ დეკანაშვილების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1937 წლის ივლისიდან შუახევის თამბაქო ნედლეულის მიმღები პუნქტის გამგეა, 1938 წლის მარტიდან – ხულოს რაიონის თამბაქო ნედლეულის მიმღები პუნქტის გამგე, 1939 წლის აგვისტოდან – სოფელ დეკანაშვილების კოლმეურნეობის თავმჯდომარე. 1943 წლის მაისიდან ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

1945 წლიდან მურშიდ დეკანაძე სოფელ ქედლების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1947 წლის მარტიდან სოფელ დეკანაშვილების მერგოლური იყო. 1947 წელს მურშიდ

დეკანაძის რგოლმა 3 ჰექტარი სიმინდის ფართობის თითოეულ ჰექტარზე 83,53 ცენტნერი სიმინდის მოსავალი მიიღო. ეს სარეკორდო იყო, რისთვისაც მურშიდ დეკანაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

1948 წლის მარტიდან 1955 წლის მარტამდე სოციალისტური შრომის გმირი მურშიდ დეკანაძე მეხუთედ აირჩიეს დეკანაშვილების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ.

1955-1958 წლებში მურშიდ დეკანაძე მუშაობდა ხულოს რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ დამზადების დარგში, ხოლო 1958 წლის მაისიდან 1962 წლის ივლისამდე ხულოს რაიონის თამბაქონედლეულის მიმღები პუნქტის გამგედ. 1962 წელს მურშიდ დეკანაძე თავის მეუღლესთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა.

### რამიზ ბერიძე

რამიზ ისმაილის ძე ბერიძე დაიბადა 1923 წელს, ხულოს რაიონის სოფელ წინწკალაშვილებში, გლეხის ოჯახში.

სოფელში მიიღო დაწყებითი განათლება. ღორჯომის თემში მუშაობა დაიწყო სტეფანაშვილების კოლმეურნეობაში რიგით წევრად, შემდეგ მერგოლურად აირჩიეს.



1947 წელს რამიზ ბერიძის რგოლმა 3 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 72 ცენტნერი სიმინდის მოსავალი მიიღო, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით, რამიზ ბერიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

რამიზ ბერიძე 1949 წელს მიიღეს სკკპ წევრად და კოლმეურნეობა ბრიგადირად აირჩიეს, სადაც 1963 წლამდე მუშაობდა.

გარდაიცვალა 2007 წელს.

### ხასია ვანაძე



ხასია მურთაზის ძე ვანაძე დაიბადა 1905 წელს, ხულოს რაიონის სოფელ მეკვიძეებში. სოფელში მიიღო დაწყებითი განათლება და კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან ჩაება საკოლმეურნეო შრომაში.

ხასია ვანაძე 1945 წელს კოლმეურნეებმა რეზოლის ხელმძღვანელად აირჩიეს, მისმა რეგულმა 1947 წელს, 3 ჰექტარი სიმინდის ფართობის თითოეულ ჰექტარზე 71,84 ცენტნერი სიმინდი მოიწია, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვალის ბრძანებულებით, ხასია ვანაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ხასია ვანაძე შემდეგ ბრიგადირად და კოლმეურნეობის გამგეობის წევრად აირჩიეს. 1965 წელს იგი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, გარდაიცვალა 1981 წელს.

### მეჯიდ შაინიძე

მეჯიდ დემურალის ძე შაინიძე დაიბადა 1919 წელს, ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში



რიგით წევრად, შემდეგ მუშაობდა მერგოლურად.

მეჯიდ შაინიძის რეგულმა 1948 წელს 3 ჰექტარი თამბაქოს ფართობის თითოეული ჰექტარიდან სახელმწიფოს ჩააბარა 25 ცენტნერი „ტრაპზონის“ ჯიშის თამბაქო, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

მეჯიდ შაინიძე წაბლანელებმა, 1950 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც 17 წელი იმუშავა. ის მუშაობდა სხალთა-ხიხაძირის გზის ოსტატად, არჩეული იყო ხულოს რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის წევრად.

მეჯიდ შაინიძე 1969 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა.



### III ნაწილი საქართველოს საზღვაო სანაოსნო

საქართველოს სანაოსნოს საფუძველი 1967 წლის 20 იანვარს ჩაეყარა. თავდაპირველად მას ნოვოროსიისკის სანაოსნოსაგან გამოცემული 13 მცირეტონაჟიანი გემი ჰყავდა, რომელთა საერთო ტვირთამწეობა 87 ათას ტონას არ აღემატებოდა.

1977 წლის 1 იანვრისათვის კი სანაოსნოს განკარგულებაში 531,3 ათასი ტონა საერთო ტვირთამწეობის 44, მათ შორის, 37 ნავთობშიდი და 7 მშრალი ტვირთის გემი ჰყავდა. ამ დროისათვის ფლოტის ტვირთამწეობა 1967 წელთან შედარებით 6-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, მარტო 1975 წელს, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, სანაოსნოს ფლოტის ტვირთბრუნვამ ერთ მილიონ ტონას მიაღწია, ხოლო საზღვარგარეთ ცურვისგან მიღებული მოგება 1967 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა<sup>19</sup>.


1959 წლის 19 ნოემბერს გაზეთი „ვოლნი ტრანსპორტი“ იტყობინებოდა: „მურმანსკის ქარხანა „კრასნაია კუზნიცმა“ უნიკალური ოპერაცია ჩაატარა. სამშრალტვირთო ორთქლმავალი „თბილისის“ ნაწილს, 36 დღე-ღამეში შეადგულა ამავე ტიპის გემის ცხვირის ნაწილი, რომელიც დიდი სამამულო ომის დროს ორად გაგლიჯა მტრის ტორპედომ. კაპიტალური აღდგენითი სამუშაოები დამთავრებულია. გემმა წარმატებით გაიარა გამოცდა. ახლა იგი მიიღებს ტვირთს და პირველ რეისში გავა“. 1959 წლის 18 დეკემბერს კი გაზეთმა „გეჩენი თბილისმა“ რადიოდეპეშა მიიღო: „სამშრალტვირთო ორთქლმავალი „თბილისი“ ვალდებულებას ღებულობს ღირსეულად ატაროს ყველა ზღვასა და ოკეანეში დიდებული სახელი ჩვენი ერთერთი მსოფლიოს უძველესი ქვეყნისა, საქართველოს დედაქალაქისა. ეკიპაჟმა ვალდებულება აიღო თავისი გემი საზღვაო-სავაჭრო ფლოტის გემების მოწინავეთა რიგში გაიყვანოს ამჟამად მიგდევართ ჰოლანდიაში.“ გამოხდა ხანი და 1960 წლის 15 თებერვალს ორთქლმავალი „თბილისის“ კაპიტნად ანატოლი კაჭარავა დაინიშნა, რომელმაც ამ გემზე 7 წელი დაჰყო, გემი „თბილისი“ ერთ-ერთი

19. (ჯგმალ ნაკაშიძე, „ვახტზეა საქართველოს სანაოსნო“ პათ. 1977 წ. გვ.8)

მოწინავე გახდა საზღვაო სამინისტროს გემებს შორის, მისი კაპიტანი კი 1967 წლის 15 თებერვალს საქართველოს საზღვაო სამაოსნოს უფროსად დააწინაურეს”<sup>20</sup>

ანატოლი კაჭარავა დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, მრავალი სხვა მედლითა და საპატიო სიგელით. ნიჭიერი ორგანიზატორისა და გამოცდილი ხელმძღვანელის მეთაურობით, საქართველოს საზღვაო სანაოსნო ერთ-ერთი მოწინავე გახდა საბჭოთა კავშირის სანაოსნოებს შორის.

1977 წლისათვის საქართველოს საზღვაო სანაოსნოში 135 ბრიგადას, 88 უბანს და 6 გემს მინიჭებული ჰქონდა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება. ასევე, ფლოტის 2136 მშრომელი და ნაპირის 250-ზე მეტი მუშაკი დაჯილდოვდა საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით, 6-ს მიენიჭა „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის” საპატიო წოდება, ხოლო ბოცმან კორონ ოსაძეს – სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.



ბათუმის ნავსადგური

20. (ვოლტერ ჭანტურია „ქართველები ზღვებსა და ოკეანეებში”, 1997 წ. ბათ. გვ. 118-119).

# კოხონ თეოდორეს ძე ოსაძე

კორონ ოსაძე დაიბადა 1924 წლის 20 ივლისს, ზესტაფონში. ერთ დღეს მამამ ის ბათუმში ჩამოიყვანა ნათესავთან. ზღვის სანახავად ბიჭებს გაჰყვა. „იმ დღიდან დაავადდა ზღვის სიყვარულით. (მეზღვაურები ხუმრობით მას ზღვის ავადმყოფობას ეძახიან)... ის მონ-



დომებით სწავლობდა და შავი ზღვის სპირა ქალაქ ბათუმზე ოცნებობდა. თვალწინ ედგა გემის ანძების ტყე, რეიდზე მდგარი მრავალი ქვეყნის აღმებიანი, მიმავალი და მომავალი ხომალდები ელანდებოდა, ნავსადგურის უზარმაზარი ამწეები ედგა თვალწინ – ასეთია საქვეყნოდ განთქმული ბათუმის ნავსადგურის სავიზიტო ბარათი.

ბიჭმა მტკიცედ გადაწყვიტა თავისი ბედი ზღვისთვის დაეკავშირებინა...

იგი ოცნებით უკვე ბათუმის საზღვაო სასწავლებლის თოვლივით თეთრ კო-

რპუსებში იყო, საზღვაო საქმეს ეუფლებოდა, წიგნზე აღამებდა და ათენებდა, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო და ეს გეგმები ჩაეშალა... საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მცურავი შემადგენლობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ თეიმურაზ კახიძემ გვითხრა: დიდად საჭიროა ბოცმან ოსაძის გამოცდილება შეისწავლო და განახოგადო. კიდევ ერთხელ ესტუმრეთ „ასპინძას“... მასზე თვალს მოგტაცებთ სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე, ირგვლივ ყველაფერი კრიალებს, ამას ზოგი ვერ ახერხებს. ხომ საინტერესოა, და მერე როგორ.

მატროსების წარმატებით მუშაობის მთავარი სტიმული ბოცმანის პირადი მაგალითია, მისი ოსტატობა და აკურატულობა, მისი ნებისყოფა. ბოცმანი მხოლოდ განკარგულებებს კი არ იძლევა, მხოლოდ სამუშაოს ორგანიზატორი კი არ არის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნევენებს ყველაფერს. შრომითი მოღვაწეობის, დასვენებისა და საზოგადოებრივი მუშაობის დროს კოლექტივთან ამ განუყოფელ ერთიანობაშია ბოცმანი - მეთაურის პროფესიის თავისებურება.

ვინ მოთვლის, 33 წლის განმავლობაში ზღვები და ოკეანეები რამდენჯერ მოიარა კორონმა, სად არ იყო და რა ხიფათს არ გადაეყარა. შტორმი ბისკაის ყურეში, ნისლი და გემების ინტენსიური მოძრაობა ბრიტანეთის ნაპირებთან. ძნელი სანაოსნო პირობები ჩრდილოეთის ზღვაში და ბოსფორში... ტანკერი წარმატებით გამოდიოდა ყოველგვარი მდგომარეობიდან, სიძნელიდან.

– ეს რეისები დიდი სკოლა იყო ჩემთვის და ეკიპაჟისათვის. – ამბობს კორონი. (მიხეილ მშვიდობაძე „ჩვენი შექუერები ზღვასა და ხმელეთზე“ 1975 წ.).

კორონ ოსაძე ჯერ კიდევ 18 წლის ახალგაზრდა წავიდა ფრონტზე, სამხედრო საზღვაო ფლოტის გემებზე მსახურობდა სევასტოპოლში, მან შავი ზღვის სამხედრო საზღვაო მეთაურებისგან 16-ჯერ მიიღო მადლობა დაჯილდოვდა დიდი სამამულო ომის მე-3 ხარისხის ორდენითა და 6 მედლით.

1948 წლიდან მუშაობას იწყებს შავი ზღვის სანაოსნოს გემებზე მეზღვაურად, შემდეგ ბოცმანად. მსახურობდა ჩრდილოეთის ზღვაში. დაცურავდა არქტიკის წყლებში. ანტარქტიკის რეისებში ებრძოდა აბობოქრებულ ღელვასა და ყინულოვან წყლებს. შემდეგ თბომაველ „ასპინძის“ ბოცმანი იყო.

1960 წელს კორონ ოსაძე დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის ორდენით“ და სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს საპატიო სიგელით.

1965 წლიდან კორონ ოსაძე ახალაშენებულ ტანკერ „ალექსევის“ ბოცმანია. 1971 წლის 4 მაის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კორონ ოსაძეს სოციალისტური შრომის

გმირის წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

კორონ ოსაძე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის 24-ე, 25-ე და სკკპ 25-ე ყრილობების დელეგატად.

1971 წელს არჩეულ იქნა აჭარის უმაღლესი საბჭოს VIII მოწვევის დეპუტატად. 1973 წელს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის მეორე ფულადი პრემიით დააჯილდოვეს.

2015 წლის 9 მაისს საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი მიულოცა კორონ ოსაძეს.

2016 წელს ფაშიზმზე გამარჯვების 71 წლისთავი მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

კორონ ოსაძე ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა საქართველოს მეზღვაურებს შორის, ვინც ასეთი დიდი დაფასება და პატივისცემა დაიმსახურა.

## ჩვენთვის

### ბატონ შალვა აბაშიძის ნაშრომზე „ომისა და შრომის გმირები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკიდან“ (ბათუმი, 2018 წ.)

ბატონმა შალვა აბაშიძემ გამოსაცემად მოამზად ნაშრომი თემაზე „ომისა და შრომის გმირები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკიდან“. ავტორი მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილია. წარმოშობით არის ქედის რაიონის სოფელ ცხმორისიდან, დამთავრებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტი) ისტორიის ფაკულტეტი, რომელსაც მიენიჭა საშუალო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

შრომითი საქმიანობა დაიწყო სკოლაში. დააწინაურეს სოფლის თავკაცად, რომლის ხელმძღვანელობით, ორგანიზატორული საქმიანობით კოლმეურნეობა მილიონერი გახდა, რაც მაშინ იშვიათი იყო აჭარის მთიანეთში. პედაგოგიური, სამეურნეო, საზოგადოებრივი საქმიანობით სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობით დაიმსახურა კარგი ავტორიტეტი მოსახლეობაში და ხელმძღვანელ ორგანოებშიც.

თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად დაისახა რაიონის ისტორიის შესწავლა, გამოჩენილი პიროვნებების ღვაწლის წარმოჩენა. ამ კუთხით მისი მრავალი წერილი და სტატია გამოქვეყნდა გაზეთებსა და ჟურნალებში. ამის ნათელი დასტური გახდა აგრეთვე მისი გამოქვეყნებული შრომები: 1. „მშობლიური სახელები“ და 2. „დედაო-ჩემო ქედაო“ (ფიზიკური თაბახი 67,57 ბათუმი 2017 წ.), რომელშიც დეტალურად წარმოდგენილია ქედის რაიონის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო, ხოლო მეცნიერ-სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს, აღიარეს ქედის შესახებ დაწერილ და გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის ყველაზე სრულყოფილ ნაშრომად.

გამოცდილებამიღებულმა ავტორმა შალვა აბაშიძემ გადადგა მორიგი კარგი ნაბიჯი. მან გამოსაცემად მოამზადა ახალი ნაშრომი

„ომისა და შრომის გმირები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკიდან“  
(ბათუმი 2018 წ.).

ნაშრომი დაწერილი საარქივო დოკუმენტების, პრესის მასალების, თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული ლიტერატურის დამუშავება გაანალიზებისა და თემის ცოცხალ პიროვნებებთან პირადი საუბრით მიღებული შთაბეჭდილებების შეჯერების საფუძველზე.

ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი ნაწილისაგან. შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა და მიზანდასახულობა.

პირველ ნაწილში მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის როლის წარმოსაჩენად მოტანილია სტატისტიკური ციფრები (აჭარიდან გაწვეული 25000 ადამიანი, მათგან 900-მდე ქალი, ორდენებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებით, სიგელებით, სარდლობის მადლობებით დაჯილდოებული 9000-მდე მებრძოლი, ხოლო გაწვეულთაგან 12-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. დახასიათებულია მათი საბრძოლო გზა და დამსახურება სამშობლოს წინაშე.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეძღვნება სახალხო მეურნეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგის – მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის, მეთამბაქოეობისა და მარცვლეული კულტურების შემოტანის, გაშენების, მოვლა-პატრონობის, მოსავლიანობის ზრდის ეკონომიკური ეფექტიანობის ამადლების მოკლე ისტორია და მის საფუძველზე ნაჩვენებია მოსახლეობის სოციალური, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ტენდენციები და დინამიკა.

აქვე სავესებით სწორად დახასიათებულია მეურნეობის დარგების განვითარებისათვის ხელისუფლების მხრიდან გატარებული ღონისძიებები, თუ მშრომელთა აქტივობის გაზრდის მასტიმულირებელი ფაქტორები, კერძოდ შრომის კოლექტივებ შორის გაშლილ შეჯიბრებაში გამარჯვებული მოწინავე რგოლის გამოკვეთილად აღნიშვნისათვის სახელმწიფო ჯილდოების (ორდენი, მედალი, სიგელი, ფასიანი საჩუქარი შრომის გმირის წოდების) დაწესება, რაც ფორმდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, რომლის ტექსტი შეტანილია წინამდებარე ნაშრომში. ავტორი ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან შრომისა და მშრომე-

ლის შეფასების დიდ მნიშვნელობას და მიიხნევს, რომ ეს ყველაფერი ყველა დარგში ყურადსაღებისა.

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია სტატისტიკური მასალა, საიდანაც ჩანს, რომ აჭარაში სოციალისტური შრომის გმირის კავალერი გახდა სხვადასხვა რაიონების 193 მოქალაქე, კერძოდ, ქობულეთის რაიონში 124 შრომის გმირია, ბათუმის (ხეღვაჩაურის) რაიონში 41, ქედის რაიონში – 15, ხულოს რაიონში – 12, სახლვაოსანოსნოში – 1. თვითოეული მათგანის შრომითი წარმატებები დახასიათებულია კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების მიხედვით.

ნაშრომი ომისა და შრომის გმირების სურათებით ილუსტრირებულია. წარმოდგენილი ნაშრომი, რომელშიც აღრიცხულია ომისა და შრომის გმირების საბრძოლო თუ შრომითი გზა, – წარმოადგენს ამ გმირთა საქმიანობისა და მათი სახელების უკვდავყოფის ძეგლს, აქედან ჩანს და მომავალმა თაობებმა იცოდნენ ჩვენი წინა და უფროსი თაობების, ჩვენი წინაპრების მუხლჩაუხრელი, დაუღალავი შრომით შენდებოდა და გმირული ბრძოლით დაცული იქნა ჩვენი ქვეყანა. ასე მოვიდა ჩვენი ქვეყანა ჩვენამდე, ესტაფეტა გადაეცემა მომავალ თაობებს.

შრომა დაწერილია გამართული ქართული ენით, იკითხება ინტერესითა და სიამაყით წინაპრებისადმი, წიგნად დასტამბული ნაშრომი კი გამოადგებათ მკითხველსა და საკითხით დაინტერესებულთ.

ჩვენი აზრით, ნაშრომის გამოქვეყნება მეტად სასარგებლო საქმე იქნება. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ნაშრომი იმსახურებს მწვანე შუქს.

რეცენზენტები:

**სერგო დუმბაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ბსუ-ს პროფესორ-ემერიტუსი

**ტარიელ მამულაიშვილი**

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

2018 წლის 10 ივნისი



## გამოყენებული ლიტერატურა და მასალები

1. სერგო დუმბაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში 1939-1945 წლები. ბათუმი 2005 წ.
2. სერგო დუმბაძე – აჭარის პარტიული ორგანიზაცია დიდი სამამულო ომის წლებში (პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა) ბათუმი გამომცემლობა საბჭოთა აჭარა. 1976 წ.
3. სერგო ტაბაღუა – რაც დავიწყებით არ იბინდება, ბათუმი, 1995 წ.
4. კ. ცქიტიშვილი, ტ. ჩინჩილაკაშვილი – საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან, თბილისი, 1977 წ.
5. კ. ცქიტიშვილი – ამიერკავკასიის ხალხები ფაშიზმის წინაარმდეგ ბრძოლაში. ბათუმი გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. 1979 წ.
6. ი. ცერცვაძე – უკვდავია მათი სახელები, ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1969 წ.
7. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1922-1982 წლებში. საიუბილეო სტატისტიკური ყოველწლიური. თბილისი, „საქართველო“ 1982 წ.
8. კ. ცომაია – საბჭოთა კავშირის გმირები აჭარიდან, 2005 წელი.
9. მარადიული ხსოვნის წიგნი, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1995 წ.
10. თ. ცივაძე, ლ. ბოლქვაძე, ვ. იაკობაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ისტორია, 2014 წელი.
11. თ. კომახიძე – ქობულეთი და ქობულეთლები. გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1997 წელი.
12. ტ. მამულაიშვილი – ქართული სელექციური ჩაის ახალი ჯიშებისა და კლონების კვლევის შესახებ. ბათუმი, ჩაქვი 2009 წ.
13. რ. ჯაბნიძე – ჩაი და ციტრუსები, თბილისი, 2004 წ.
14. ჯემალ ნაკაშიძე – „ვახტანგე საქართველოს სანაოსნო“, ბათუმი, 1977 წ.
15. მ. მშვიდლობაძე – „ჩვენი შუქურები ზღვებსა და ხმელეთზე“, ბათუმი, 1975 წელი.

16. ვ. ჭანტურია – ქართველები ზღვებსა და ოკეანეებში, ბათუმი, 1997 წ.

17. გაზეთები: „კომუნისტი“, „საბჭოთა აჭარისტანი“, „საბჭოთა აჭარა“, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონული გაზეთები.

18. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო არქივის, ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონული არქივის მასალები.

## სარჩევი

1. რედაქტორისაგან -----	2
2. ავტორისაგან -----	3
3. შესავალი -----	5
4. ნაწილი II: საბჭოთა კავშირის გმირები -----	14
5. ნაწილი II: სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები და მთავრობის ღონისძიებები -----	33
6. სოციალისტური შრომის გმირები ქობულეთის რაიონიდან -----	63
7. დავის კოლმეურნეობა -----	65
8. ბობოყვათის კოლმეურნეობა -----	76
9. ხუცუბნის კოლმეურნეობა -----	86
10. ლეღვას კოლმეურნეობა -----	97
11. ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა -----	101
12. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა -----	106
13. ალამბრის კოლმეურნეობა -----	110
14. ქვედა კვირიკეს კოლმეურნეობა -----	113
15. ზედა კვირიკეს კოლმეურნეობა -----	116
16. ბუკნარის (უღიანოვკა) კოლმეურნეობა -----	116
17. კვირიკეს კოლმეურნეობა -----	120
18. ქვედა აჭყვის კოლმეურნეობა -----	123
19. აჭყვის კოლმეურნეობა -----	124
20. ჩაისუბნის კოლმეურნეობა -----	126
21. ზენითის კოლმეურნეობა -----	127
22. ქაქუთის კოლმეურნეობა -----	128
23. წყავროკის კოლმეურნეობა -----	128
24. ციხისძირის კოლმეურნეობა -----	129
25. გვარას კოლმეურნეობა -----	130
26. ხაღას კოლმეურნეობა -----	131
27. მუხაესტატეს კოლმეურნეობა -----	131
28. ქობულეთის კოლმეურნეობა -----	132

29. სოფელ სტურუას კოლმეურნეობა -----	12
30. სოციალისტური შრომის გმირები ხელვაჩაურის რაიონიდან-----	15
31. სოფელ ერგეს კოლმეურნეობა -----	139
32. სარფის კოლმეურნეობა -----	140
33. ჩაისუბნის კოლმეურნეობა -----	141
34. აჭარისწყლის კოლმეურნეობა -----	146
35. გონიოს კოლმეურნეობა და გონიოს მეურნეობა -----	150
36. სალიბაურის საბჭოთა მეურნეობა -----	155
37. ურეხის კოლმეურნეობა -----	157
38. მეჯინიწყლის კოლმეურნეობა -----	157
39. განთიადის კოლმეურნეობა -----	159
40. ახალშენის საბჭოთა მეურნეობა -----	160
41. ახალშენის კოლმეურნეობა -----	161
42. სოციალისტური შრომის გმირები ქედის რაიონიდან-	164
43.სოციალისტური შრომის გმირები ხულოს რაიონიდან-	175
44. საქართველოს საზღვაო სანაოსნო -----	184
45. რეცენზი -----	189
46. გამოყენებული ლიტერატურა -----	192

რედაქტორი: რეზო მსხილაძე  
სტილისტ-რედაქტორი: ლალი კონცელიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და ტექნიკური რედაქტორი: მედეა ზოსიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 10.12.2018  
ქალაქის ზომა 60X84 1/16  
ფიზიკური თაბახი: 12

ტირაჟი 250

---

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა შპს „პოლიგრაფ 2010“-ს სტამბაში  
ბათუმი, ა. აბაშიძის ჩიხი I სახლი 13



შალვა აბაშიძე დაიბადა 1947 წელს სოფელ ცმორისში (ქედის რ.). 1966 წელს დაამთავრა წონიარისის საშუალო სკოლა ხოლო 1972 წელს შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დ/გ. 1968–1971 წლებში მუშაობდა ცხმორისის კოლმეურნეობაში. 1971 წლიდან 1974 წლის მისამდე იყო ცხმორისის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი. 1974 წლიდან 1979 წლამდე არჩეული იყო ცხმორისის

გაერთიანებული კოლმეურნეობის კომიტეტის მდივნად, ხოლო 1979 წლიდან 1990 წლამდე არჩეული იყო ამავე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. 1990–1992 წლებში მუშაობდა აჭარის სოფლის მეურნეობის პროფკავშირების საოლქო საბჭოს ინსტრუქტორად. 1994–2006 წლებში იყო შპს სავაჭრო ცენტრ „ალამი 1“-ის დირექტორი. (1996–1998 წ.ს. მოადგილე) 2006 წლიდან 2016 წლამდე იყო ქედის №80 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, არის ქედის რაიონის საპატიო მოქალაქე.

შალვა აბაშიძეს გამოქვეყნებული აქვს წიგნები „მშობლიური სახელები“ 2011 წელს და „დედაო-ჩემო ქედაო“ 2017 წელს „ქედის რაიონის ისტორია“. გამოქვეყნებული აქვს ათეულობით წერილები და სტატიები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.